ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის
ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი

წელ. VI

ახალ სკოლისაკენ

№ 7-8

აპრილი-მაისი

1929

ტფილისი

ს.ს.ს.რ. განათლების სახალხო კომისარიატის
ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი

წელ. VI

ახალ სკოლისაკენ

4828

№ 7-8

აპრილი-მაისი

1929

ტფილისი

პირველი მაისი, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაული.

რევოლუციონური მოძრაობის ისტორიაში პირველი მაისის დღესასწაულს უაღრესად დიდი ადგილი უჭირავს. ბრძოლა ინტერნაციონალური გაერთიანებისათვის მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების წინასწარი პირობაა. მუშათა განთავისუფლების საქმე, მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრების აზრით, თვით მუშათა კლასის უშუალო და აქტიური მონაწილეობით უნდა გადაწყდეს, ამდენადვე თითოეული ქვეყნის პროლეტარიატის ბრძოლა თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ შესისხლორცებული უნდა იყოს საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებთან.

ყოველწლიურად პირველი მაისის დღესასწაულის დროს ზოგჯერ რევოლუციონური შეტაკების გზით მსოფლიო პროლეტარიატი ამოწმებს თავისი რიგების სიმტკიცეს და თავდადებული ბრძოლისათვის საჭირო და აუცილებელი ინტერნაციონალური გაერთიანების ხელშემშლელ პირობებს. ამ დღესასწაულს არა აქვს მარტოოდენ ზეიმის ხასიათი, მით უმეტეს იმ ქვეყნებში, სადაც დღეს კიდევ ბატონობს ბურჟუაზია და კაპიტალის მაგნატების დიქტატურა არ შეცვლილა პროლეტარიატის დიქტატურად.

საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ბელადი ლენინი, რომლის უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შესძლო რუსეთის პროლეტარიატმა პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღება, დიდ და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერნაციონალური გაერთიანების საქმეს და მის ბრძოლას მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისათვის. „ჩვენ ვცხოვრობთ არა მარტო სახელმწიფოში, არამედ სახელმწიფოთა სისტემაში“ — გვასწავლიდა ამხ. ლენინი. ამიტომ ყოველი ქვეყნის პროლეტარიატი ვალდებულია თვალყური ადევნოს იმ პოლიტიკურ და ეკონომიურ პროცესებს, რომლებსაც ადგილი აქვს კაპიტალისტურ სახელმწიფოებში და აქედან გამოიყვანოს თავისი მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა.

მიმდინარე წელს პირველი მაისის დღესასწაულის გატარება უკავშირდება იმ ამოცანებს, რომელიც შექმნილი საშინაო და საგა-

რეო მდგომარეობის მიხედვით, დასმულია საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე.

ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ, რა არის მთავარი დამახასიათებელი და რა შეიცვალა საერთაშორისო მდგომარეობაში ამ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში.

ამ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში ორი მეტად მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: ა) შეიცვალა იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან ვერსალის ზავით ეკონომიურად დამორჩილებული გერმანიის როლი და ბ) დღეს დროებით სულ სხვა ხასიათი აქვს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამოკიდებულების მაჩვენებელ ძალთა განწყობილებებს.

ეს ორივე ცვლილება ისტორიული განვითარების განსაკუთრებულ საფეხურზე ჩვენს წინააღმდეგ არის მომართული. კაპიტალისტური გერმანიის აღდგენა ფაქტია; საფრანგეთისა და ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ ამერიკის კაპიტალისა და საკუთარი სოც.-დემოკრატიული პარტიის დახმარებით კაპიტალისტური გერმანია ევროპის მასშტაბით კვლავ ტექნიკური რევოლუციის პიონერად ხდება. დღემდე სამხედრო შეიარაღებისაგან იძულებით განთავისუფლებული გერმანია (ამან ნაწილობრივად ხელი შეუწყო გერმანიის კაპიტალიზმის აღდგენის საკითხს) დღეს ლეგალურ უფლებებს იღებს თავისი ფლოტისა და არმიის შესაქმნელად, ხოლო გერმანიის სოციალ-დემოკრატია ეხმარება თავის სახელმწიფო ბურჟუაზიას მილიტარიზმის განვითარების საქმეში.

გერმანიის კაპიტალიზმის აღდგენა - განვითარება გერმანიის კაპიტალისტებს საკუთარი ძალებით არ მოუხდენიათ, ყველაფერი გაკეთდა ამერიკის კაპიტალის შემოტანით, რითაც გერმანია სავსებით დამოკიდებული ხდება ამერიკისაგან. დაუესის გეგმა ამ დამოკიდებულების საუცხოო გამომხატველია.

გერმანიის ცალკე სამრეწველო დარგების ტენდენცია იქითკენ არის მიმართული, რომ დაეწიოს და გაასწროს არამც თუ ინგლისის ტექნიკურ მიღწევებს, არამედ ამერიკასაც. ამისათვის გერმანიას სჭირდება: დაიბრუნოს იმპერიალისტურ ომში დაკარგული ტერიტორია, გაიჩინოს ახალი კოლონიები, რაც თავის მხრივ მოითხოვს მილიტარისტული პოლიტიკის გაძლიერებას.

ეს ამოცანები იმპერიალისტური გერმანიის ბურჟუაზიას დასავლეთის ორიენტაციისაკენ მიაქანებს, მაგრამ თუ ჯერჯერობით ეს ორიენტაცია სავსებით განხორციელებელი არ არის და გერმანია საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ ურთიერთობას არ სწყვეტს, ეს იმი-

ტომ, რომ ამ გზით ევროპის კაპიტალისტური ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი) მეტ დათმობამდე მიიყვანოს. ვერსალის ზავის შემდეგ გერმანიის დაახლოვება საბჭოთა კავშირთან შემთხვევითი მოვლენა როდი იყო. იმპერიალისტური ანტანტისაგან გაყვლეფილ ქვეყანას, რომელმაც ფაქტიურად დაჰკარგა თავისი მრეწველობის უდიდესი რაიონები, არ შეიძლებოდა კავშირი არ დაეჭირა იმ ქვეყანასთან, რომელმაც თავი დააღწია იმპერიალისტური ანტანტის პოლიტიკურ ზეგავლენას და ხელი მიჰყო სოციალისტური საზოგადოების შექმნას. გერმანიის ეკონომიკა აიძულებდა პოლიტიკური ხელისუფლების სათავეში მყოფ ბურჟუაზიას საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებისათვის ეზრუნა. მაგრამ ეს ხანა უკვე გავიდა. გერმანიისათვის დღეს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა იმდენად არის საჭირო, რამდენადაც მას ამით საშუალება ეძლევა გააძლიეროს თავისი დიპლომატიური მოთხოვანი ევროპული სახელმწიფოების მიმართ. გერმანია დღეს მზად არის სასიკვდილო მახვილი ჩასცეს საბჭოთა კავშირს და პროლეტარულ რევოლუციას, თუ ამ საქმის შესრულებაში ის კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან დიდ თანხებს მიიღებს დაჯილდოების სახით. გერმანიის ბურჟუაზიის შედარებით უფრო გავლენიანი ნაწილი მოითხოვს საბჭოთა კავშირთან მდგომარეობის გამწვავებას იმ მიზნით, რომ გერმანია უახლოეს ხანებში დაუბრუნდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ოჯახს. გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში ამ მიმართულებით წარმოებული პოლიტიკის ერთი ეტაპია, რომელსაც მეორე უნდა მოყვეს. საბჭოთა ხელისუფლების მიმართ წარმოებული აგრესიული პოლიტიკის ხელმძღვანელად უდავოდ ინგლისი ითვლება. ამ მიზნის შესასრულებლად ინგლისი მზად არის გამოიყენოს ყოველგვარი საშუალება, რომელიც მის განკარგულებაში მოიპოვება. ინგლისი დაინტერესებულია გერმანიაც ჩაითრიოს ამ ამოცანის შესრულებაში, რადგანაც იცის, რომ გერმანიას საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ წარმოებულ ბრძოლაში დიდი ამოცანის შესრულება შეუძლია. კრედიტორების საერთაშორისო კომიტეტში შესვლა გერმანიის ბანკირებისა, რომელთა მიზანია საბჭოთა კავშირისაგან ძველი ვალების მიღება, იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია ვიფიქროთ გერმანიის მოჩვენებითი ნეიტრალიტეტის შესახებაც კი. მეორე სახის ძირითადი ცვლილება, რომლითაც ხასიათდება საერთაშორისო მდგომარეობის მიმდინარე პერიოდი,—ეს არის კონტრრევოლუციონური დასავლეთის მიერ რევოლუციონური აღმოსავლეთის დროებითი დამარცხება. მხედველობაში გვაქვს იმპერიალისტუ-

რი დასავლეთის დახმარებით ჩანკაიშის მიერ ჩინეთის რევოლუციის ჩახშობა.

ჩინეთის რევოლუცია დროებით დამარცხდა, რაც თავის მხრივ, აუცილებლად საერთაშორისო რევოლუციის გამარჯვების თვალთსაზრისით მის დროებით დამარცხებას მოასწავებს, რადგანაც ამ რევ. გამარჯვება მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება იქნებოდა. რევოლუციონურ აღმოსავლეთსა და კონტრ-რევოლუციონურ დასავლეთს შორის გამართული ბრძოლის პირობებში ჩვენ უზრუნველვყავით ჩვენი არსებობა, მაგრამ რევოლუციის დამარცხება საერთაშორისო ძალთა განწყობილების თვალსაზრისით ჩვენს წინააღმდეგ არის მომართული. **ჩინეთის რევოლუციის ამოცანა—ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გარდაქმნა—კვლავ დღის წესრიგშია დასმული, რაც თავის მხრივ მოითხოვს ახალი რევოლუციონური სიტუაციის შექმნას. საბოლოოდ ჩინეთის რევოლუციონერთა თავგამოდებული ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა, ადრე თუ გვიან, იმპერიალისტური ევროპის საბედისწეროდ უნდა დამთავრდეს.** წინააღმდეგობა ინგლისის-ამერიკისა და იაპონიის კაპიტალისტებს შორის, ჩინეთის ბაზრის საკითხით გამოწვეული, რევოლუციის დამარცხების შემდეგ არ მოხსნილა. ამერიკა დაინტერესებულია ნანკინი თავისი გავლენის ქვეშ დააყენოს; ინგლისის იმპერიალიზმის ინტერესები კვლავ ეწინააღმდეგება ამერიკის კაპიტალიზმს ნანკინის საკითხში, ხოლო იაპონიის მილიტარიზმი ცდილობს ამ წინააღმდეგობით ისარგებლოს. შესძლებს თუ არა იაპონია ამას,—ეს მეორე საკითხია.

ავღანისტანის ამბები, რომლის მოწყობაშიაც ინგლის კაპიტალისტებს დიდი ღვაწლი ძიუძღვით, „კონტრ-რევოლუციონური იმპერიალისტური დასავლეთის“ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს. ასეთივე კურსი აქვთ აღებული ინგლისელებს ქემალის ოსმალეთის წინააღმდეგ. დააყენებს თუ არა ინგლისი კონსტიტუციონურ ოსმალეთს თავის გავლენის ქვეშ,—ამას მომავალი დაგვანახვებს.

ასეთია ის ორი უმთავრესი ცვლილება, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო მდგომარეობის მიმდინარე პერიოდს და რომელსაც მნიშვნელობა აქვს ძალთა გადანაცვლების თვალთსაზრისით. მაგრამ როდესაც ვლაპარაკობთ საბჭოთა კავშირისათვის საშიშროებათა შესახებ, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის ძალთა განწყობილება, წინააღმდეგობა და ქიშპობა, რომელსაც ადგილი აქვს იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის და რომელიც ხელს უშლის მათ შექმნან მთლიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

წინააღმდეგობანი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის დღითი-დღე იზრდება, რადგანაც ასეთია კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების ბუნება და კანონი. ნაწილობრივი სტაბილიზაციის დროს ეს წინააღმდეგობანი მით უფრო ღრმავდება და ფართოვდება.

იმპერიალისტური ომის შემდეგ მსოფლიო მეურნეობის ასპარეზზე ოთხი იმპერიალისტური სახელმწიფო ჩამოყალიბდა (ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი და იაპონია) ნაწილობრივად, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ გერმანიის ეკონომური და პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზის დროს, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ამ კატეგორიას გერმანიაც უნდა მივაკუთნოთ. ევროპის დანარჩენი წვრილბურჟუაზიული თუ ბურჟუაზიული სახელმწიფოები ამ ბუმბერაზ სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიური გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

ის ძირითადი წინააღმდეგობანი, რომლითაც ხასიათდება ნაწილობრივი სტაბილიზაციის პერიოდი, შესაძლებელია შემდეგნაირად მოვიხაზოთ.

პირველი და ძირითადი წინააღმდეგობა, რომლითაც ხასიათდება კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის წარმოებული მეტოქეობის სიმწვავე,—ეს არის ინგლის-ამერიკის ქიშპობა მსოფლიო ბაზარზე.

ამ ორი გიგანტის ეკონომიური ინტერესები ერთმანეთს ეჯახება ჩრდ. ამერიკაში, კანადაში, ჩინეთში, ავსტრალიაში და ნაწილობრივად გერმანიაში. ამერიკა ემზადება არა მარტო ინგლისის, არამედ იაპონიის წინააღმდეგაც. მარტოოდენ საზღვაო ფლოტის გაძლიერების მიზნით ამერიკა მზად არის უახლოესი 20 წლის განმავლობაში გაიღოს 3 მილიარდი დოლარი. წინააღმდეგობა ჩრდილოეთ აფრიკაში, ინგლის-ამერიკას შორის მით უფრო ძლიერდება, რამდენადაც იზრდება ის თანხები, რომელსაც თითოეული ეს სახელმწიფო აბანდებს ამ ქვეყანაში. ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ინგლისის მიერ ჩრდილოეთ აფრიკაში შეტანილი კაპიტალის რაოდენობა 15-20% გაიზარდა, მაშინ როდესაც ამერიკის კაპიტალის დაბანდება 300%-ს აღწევს. მიუხედავად იმ წინააღმდეგობათა სირთულისა, რომელსაც აქვს ადგილი ამ ორ სახელმწიფოს შორის, ეს მეტოქეობა ჯერჯერობით მაინც აქტუალური არ არის, აქტუალური იმ თვალთსაზრისით, რომ მოსალოდნელი იყოს ომის დაწყება ამ ქვეყნებს შორის. ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა სულ სხვა იქნებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ეს შეჯიბრება აქამდე არ მისულა. გერმანია ამ ორი სახელმწიფოს წინააღმდეგობას თავისი ინტერესების გასამტკიცებლად იყენებს, საბჭოთა კავშირისათვის კი ამ წინააღმდეგობას, საერთაშორისო მდგომარეობის გართულების თვალთ-

საზრისით, აუცილებლად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა ისეთი, როგორიც გერმანიისათვის, რადგანაც ამ ორი სახელმწიფოს პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ გაერთიანების შესაძლებლობა უფრო დიდია, ვიდრე მოსალოდნელი ომი ამ ორ სახელმწიფოს შორის. ადრე თუ გვიან, ეს წინააღმდეგობა ამ ორ გიგანტს შორის აუცილებლად შეიარაღებულმა შეტაკებამ უნდა გადაჭრას, რომელიც საფუძვლად დაედება მსოფლიოს სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის საქმეს.

წინააღმდეგობათა შემდეგს რიგს ეკუთვნის იაპონია-ამერიკის უთანხმოება. უთანხმოების მთავარ საფუძველს ჩინეთის ბაზარი წარმოადგენს. ვაშინქტონის კონფერენციაზე ამერიკელებმა შეავიწროვეს იაპონია; ერთ დროს შესაძლებელი იყო ფიქრი იმის შესახებ, რომ ინგლის-იაპონიის წინააღმდეგობანი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ვიდრე იაპონია-ამერიკის, მაგრამ დღეს ეს საკითხი სხვა გვარად შეტრიალდა. ჩინეთის რევოლუციის საკითხში იაპონია-ინგლისის დროებით შეთანხმებამ უფრო გააღრმავა და თვალსაჩინო გახადა ამერიკა-იაპონიის უთანხმოების ძირითადი საკითხები.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა, იაპონიის სამხედრო სამზადისი უმთავრესად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული. ფლოტის სიძლიერე იაპონიას, მით უმეტეს იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია მას შეტაკება მოუხდეს ამერიკასთან, დროებით უზრუნველყოფს ამერიკის თავდასხმისაგან. იაპონიისა და ამერიკის უთანხმოებანი ომით უნდაგა დაწყდეს, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, იაპონიის იმპერიალიზმი შესაძლებელია უფრო ადრე თავს დაესხას საბჭოთა კავშირს.

საერთაშორისო მდგომარეობის განმსაზღვრელ ძალთა გადაჯგუფების თვალთსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმებას. საფრანგეთი მილიტარისტული თვალთსაზრისით გაიზარდა. ეს გარემოება აიძულებს ინგლისს ან დაუახლოვდეს საფრანგეთს და მასთან კავშირი დაიჭიროს, ან კიდეე ეძიოს ახალი მოკავშირე ევროპულ სახელმწიფოებში საფრანგეთის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის იზოლაციით დაინტერესებული დიდი ბრიტანეთი იძულებული ხდება ერთგვარ დათმობაზე წავიდეს საფრანგეთისა და ახალფეხადგმული გერმანიის იმპერიალიზმის წინაშე. ამდენადვე გერმანიის წინაშე იჭრება მეტად აქტუალური საკითხი: დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ორიენტაცია?

ამერიკის კაპიტალის შეჭრა ევროპაში, ევროპული სახელმწიფოების ამერიკისაგან ნახევარკოლონიებად გადაქცევა თავის პოლი-

ტიკურ გამოხატულებას კელოგის პაქტში ღებულობს. რამდენადაც გინდა უმნიშვნელო იყოს ეს თვალთმაქცური შეთანხმება, რომლის უკანათეული სახელმწიფო ემზადება ახალი ომისათვის, ერთი მაინც ცხადი გახდა, რომ ამერიკის კაპიტალის გავლენა დღითი-დღე იზრდება ევროპაში და ამდენადვე ევროპის შეერთებული შტატების საკითხი გადაჯაჭვულია საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის საკითხთან.

წინააღმდეგობათა ზემოაღნიშნულ რიგებს უნდა მივუმატოთ ის უთანხმოებანი, რომელთაც აქვს ადგილი 1) პოლონეთსა და გერმანეთს შორის, 2) უნგრეთსა და რუმინეთს შორის, 3) პოლონეთსა და ლიტვას შორის. 4) ბოლგარეთსა და სამხრეთ-სლავეთს შორის და სხვა.

ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის საფუძველზე აღმოცენებულ უთანხმოებათა გადაწყვეტის ერთადერთი გამოსავალი საშუალება იმპერიალისტური ომია.

ერთა ლიგისა და სოციალ-დემოკრატიის მტკიცების წინააღმდეგ, ევროპულ სახელმწიფოებში მილიტარიზმის გასაძლიერებლად გაცემული თანხის საერთო რაოდენობა მარტოოდენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებული თანხების სახით ყოველწლიურად იზრდება: რიცხვობრივად იზრდება ქვეითი დაქირავებული ჯარი. თუ 1914 წლის იმპერ. ომის დროს ქვეითი ჯარის საერთო რაოდენობა ხუთ უმთავრეს სახელმწიფოში (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, ამერიკის შეერთებ. შტატები, იაპონია) 1.827.000 კაცს უდრ., დღეს ეს რიცხვი 2.145.000-მდე. ადის. ამასთანავე თვისობრივად იზრდება არტილერიის, ტანკებისა და ტყვიისმფრქვეველების დამზადების საქმე. სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ ავიაციის და ქიმიურ საშუალებათა განვითარების საქმე. არანაკლები სისწრაფით იზრდება სამხედრო კრეისერების მშენებლობა. კელოგის პაქტის რატიფიკაციის შემდეგ ამერიკამ გამოიმუშავა 15 კრეისერის აშენების გეგმა, ხოლო მიმდინარე წლის მაისში ინგლისელები გამოუშვებენ 4 სამხედრო კრეისერს. განსაკუთრებული ყურადღება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში არმიის კლასობრივ შემადგენლობას ექცევა. არმია უმთავრესად თავისი სურვილით, ნებაყოფლობით შესული პირებისაგან შესდგა, რაც დიდად უწყობს ხელს ბურჟუაზიას, რომ ასეთი შემადგენლობის არმია მტკიცედ დააყენოს თავისი კლასობრივი ინტერესების სადარაჯოზე. საგრძნობად იზრდება მეთაურთა პროცენტული შეფარდება ჯარისკაცებთან. თუ 1914 წლის ომში ოფიცრობა 34-% შეადგენდა, დღეს ის 45, 5 %-მდე ავიდა.

ბურჟუაზიული ქვეყნების მილიტარისტულ სამზადისში აქტიურ მონაწილეობას იღებს ცალკე ქვეყნების სოციალ-დემოკრატია. მაკდონალდი ინგლისში, გერმანელი და ფრანგი სოციალისტები თავისი პაციფისტური პოლიტიკით ხელს უწყობენ ნაციონალური შემოფარგვლის იდეას და ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ინტერნაციონალური ბრძოლის გაძლიერებას.

ბურჟუაზიული დიქტატურის განმტკიცების საქმეს თავგამოდებით უწყობენ ხელს ფაშისტური ჯგუფები, რომლებიც სოც.-დემოკრატიასთან ხელი-ხელჩაკიდებული იბრძვიან პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ. მუსოლინის ფაშისტური ორგანიზაციები ლ პოლონეთის სოციალისტური პარტია პროლეტარიატთან ბრძოლის დროს ერთსადაიმავე ფუნქციას ასრულებს. საერთაშორისო მდგომარეობის ასეთი გამწვავების პირობებში აუცილებლად საჭიროა ყოველი მუშა, როგორც ინდოეთის, ისე ამერიკისა და საბჭოთა კავშირის, ეცნობოდეს იმ ძირითად წინააღმდეგობათა დამახასიათებელ ფაქტებს, რომლებიც განსაზღვრავს ყოველ ცალკე შემთხვევაში ამა თუ იმ ქვეყნის მუშათა კლასის სტრატეგიასა და ტაქტიკას. ყოველი ქვეყნის პროლეტარიატს უნდა ახსოვდეს რომ წინააღმდეგობა, რომელსაც აქვს ადგილი ვაშინქტონსა და ლონდონს შორის, შეიძლება უფრო გვიან დაიწყოს, ვიდრე წინააღმდეგობანი ვარშავასა და მოსკოვს შორის. ამდენადვე ბრძოლა იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის, კერძოდ კი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, პირველი მაისის დღესასწაულის დროს უნდა იქნას წამოყენებული, როგორც ძირითადი ლოზუნგი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის.

კაპიტალისტური მეურნეობის განვითარების არათანაზომიერების კანონი ცხად ყოფს იმ წინააღმდეგობათა მნიშვნელობას, რომელსაც აქვს ადგილი კოლონიალურ ქვეყნებში. მართალია, ჩინეთის რევოლუცია დროებით დამარცხდა, უშედეგოდ დამთავრდა ინგლისის მემაღაროეთა და ვენის მუშათა თავგამოდებული ბრძოლა, მაგრამ კაპიტალისტური მეურნეობის წინააღმდეგობანი ამით არ ამოიწურება. იწყება რევოლუციონურ მოძრაობათა ახალი ქარიშხალი. ჩინეთიდან ეს ქარბუქი ინდოეთში გადადის. ინდოეთის მუშათა კლასი მზად არის ჩინეთის თანამებრძოლთა დაწყებული საქმე, რომელიც დროებით დამარცხებით დამთავრდა, გამარჯვებამდე მიიყვანოს. პროლეტარიატის უშუალო ხელმძღვანელობით ინდოეთის მრავალმილიონიანი მშრომელი მოსახლეობა მზად არის აღსდგეს საკუთარი ბურჟუაზიის და უცხოეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ. ნაციონალურ-განმანთავის-

უფლებელი მოძრაობის ჩახშობის საქმეში დიდი ბრიტანეთის იმპერიალისტები ინდოეთის ნაციონალურ ბურჟუაზიასა და რეფორმისტებს ეყრდნობიან. ინდოეთის მუშათა კლასმა და გლეხკაცობამ კარგად იცის სოციალისტ-რეფორმისტების როლი რევოლუციონურ მოძრაობაში, მათ კარგად ახსოვს მათი გამყიდველი პოლიტიკაც 1922 წელს თავდადებული ბრძოლის დროს. ჩინეთის დამოუკიდებლობისა და ჩინეთის მუშების და უღარიბესი გლეხობის ბრძოლა, კანტონელების თავდადება საბჭოებისათვის,—ინდოეთის მებრძოლ რევოლუციონერებისათვის საუცხოვო გაკვეთილს წარმოადგენს. ამიტომ საერთაშორისო პროლეტარიატის საპირველმაისო დღესასწაულის ლოზუნგი უნდა იყოს: **„გაუმარჯოს საბჭოთა, დამოუკიდებელ და თავისუფალ ინდოეთს“.**

კოლონიალურ და ნახევრადკოლონიალურ ქვეყნებში ბრძოლა ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისათვის დღითი-დღე მწვავდება და ზოგ ქვეყნებში აშკარა შეტაკებების ხასიათს იღებს. მონების აჯანყება კონგოში, ეგვიპტეში და სირიაში ამ მოძრაობის მთავარი ეტაპებია.

ამ მოძრაობათა ხელმძღვანელობა და გაერთიანება საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უდიდესი პირობაა. ამიტომ მეტროპოლიის ქვეყნის პროლეტარიატი კოლონიის მუშათა კლასის აჯანყებაში უნდა ხედავდეს საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის მოახლოებას და საჭიროა დაირაზმოს თავისი ქვეყნის იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომ ეს მოძრაობა ბოლომდე მიიყვანოს.

ინტერნაციონალური სოლიდარობის ნიშნის ქვეშ საერთაშორისო პროლეტარიატი ვალდებულია ბრძოლა გამოუცხადოს სოციალ-დემოკრატიული პარტიებისა და ფაშისტური ჯგუფების განზრახვას 1 მაისის ნაციონალურ დღესასწაულად გამოცხადების შესახებ.

მე-2 ინტერნაციონალის პირველი კონგრესი ხაზგასმით აღნიშნავდა ამ დღესასწაულის საერთაშორისო ხასიათსა და მნიშვნელობას. სოციალისტური პარტიები ევროპაში ცდილობენ პირველი მაისი ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადონ და ამით წაართვან მას ინტერნაციონალური მნიშვნელობა. ფაქტიურად მეორდება 1914 წლის აგვისტოს ამბები, როდესაც ომის დაწყების შემდეგ 1915 წელს ევროპის სოციალ-დემოკრატია ცალკე ქვეყნებში მოუწოდებდა მუშათა კლასს არ გამოსულიყო ქუჩებში მოთხოვნებით, რადგანაც ეს ხელს შეუშლიდა ეროვნული ბურჟუაზიის იმპერიალისტურ ზრახვებს. ნაციონალური კარჩაკეტილობა და შემოფარგვლა, ინტერნაციონა-

ლური გაერთიანების წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ლოზუნგად გადაიქცა.

ფაქტიურად ასეთი ნაციონალური შემოფარგვლის საწინააღმდეგოდ ლაფარგი თავის შესავალ სიტყვაში მე-2 ინტერნაციონალის პირველი კონგრესის გახსნის წინ ამბობდა:

„დელეგატებს, რომლებიც შეკრებილან ამ დარბაზში ევროპიდან და ამერიკიდან, თავიანთი სანშობლოს წარმომადგენლობა არ აერთიანებს. ისინი არ ერთიანდებიან სამფეროვანი (საფრანგეთის) ან რომელიმე სახის ნაციონალური დროშის ქვეშ, მათ აერთიანებს წითელი დროშა, დროშა საერთაშორისო პროლეტარიატის“.

სოციალ-დემოკრატიამ დაივიწყა ლაფარგის სიტყვები და მასთან ერთად უკუაგდო საერთაშორისო პროლეტარიატისადმი სამსახური.

ნაციონალური პროლეტარიატის ინტერესები — აი მათი მოქმედების გამოსავალი წერტილი, თუნდაც ეს უმთავრეს შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდეს სხვა ქვეყნის პროლეტარების ინტერესებს.

მოქმედების ასეთ შემოფარგვლას კომუნისტურმა ინტერნაციონალმა უნდა დაუპირისპიროს საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ლოზუნგი, რომლის გარშემოც უნდა გაერთიანდეს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი. ამდენადვე ბრძოლა მემარჯვენე გადახრებთან ინტერნაციონალში ძირითადი პირობაა იმისათვის, რომ საერთაშორისო პროლეტარიატი კომუნისტურმა ინტერნაციონალმა თავის გავლენის ქვეშ დააყენოს.

როგორც დავინახეთ, საერთაშორისო მდგომარეობის მიმდინარე პერიოდი განსაზღვრავს იმ ამოცანებს, რომელიც სდგას საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე. ბრძოლა ამ ამოცანების შესასრულებლად და მისი გადაწყვეტა საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის მოახლოებას და გამარჯვებას დაედება საფუძვლად.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მოქმედებას განსაზღვრავს საშინაო და საგარეო პირობები. ის სიძნელენი, რომელიც შექმნილია, საერთაშორისო მასშტაბით, უნდა გადაწყდეს საერთაშორისო პროლეტარიატის აქტიური მონაწილეობით, რაც თავისთავად გულისხმობს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისათვის დახმარების გაწევას.

დაბრკოლებანი, რომელსაც სამეურნეო დარგში აქვს ადგილი საბჭოთა კავშირში, ნაწილობრივად იმითაც აიხსნება, თუ როგორ პირობებში ვიმყოფებით ჩვენ საერთაშორისო გარემოების თვალთ-

საზრისით. ამიტომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის ბრძოლა მეტად აქტუალური საკითხია.

ბრძოლა მეურნეობის სოციალისტურ და კაპიტალისტურ სექტორთა შორის ჩვენი მეურნეობის პირობებში არ დასრულებულა. ის უფრო გამწვავებულ და აშკარა ხასიათს იღებს ამ უკანასკნელ ხანებში, ვიდრე დღემდე იყო. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სწორი სამეურნეო ხაზის გატარებას და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში ბრძოლას მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც ილაშქრებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წინააღმდეგ.

მომავალი ომი, რომელსაც, სამოქალაქო ომის გზით, შედეგად სოციალისტური რევოლუცია უნდა მოყვეს, ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის განვითარებას მეტად მნიშვნელოვან საკითხად ხდის, ამიტომ არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშები და უღარიბესი გლეხობა უნდა იყოს დაინტერესებული ამ საკითხით, არამედ ის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საკითხად უნდა გახდეს.

ყოველი ქვეყნის გაყვლეფილები, კოლონიებში დაბეჩავებული მონები, აფრიკელი ზანგები და ინგლის-ამერიკის ინდუსტრიალური პროლეტარიატი თავის საპირველმაისო დღესასწაულის დროს მთელი ქვეყნის გასაგონად უნდა აცხადებდენ: **„ძირს საერთაშორისო იმპერიალიზმი, გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!“**

საალდგომო ანტირელიგიური კამპანია და სკოლა

> რელიგია რეალური სამყაროს რეფლექსია, ის ბანგია, რომლითაც გაბატონებული კლასები სწამლავდენ ხალხის შეგნებას
>
> კ. მარქსი.

სახელმწიფო ყოველთვის სარგებლობდა რელიგიით ხალხის დასაშონებლად. ეკლესია და მისი მსახურებიც სიამოვნებით ასრულებდენ ექსპლოატატორის როლს და საუკუნეთა განმავლობაში მშრომელ ხალხს მოთმინებისაკენ მოუწოდებდენ, ამიტომ სოციალისტების დროშაზე ყოველთვის ეწერა ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან.

მარქსმა და ენგელსმა ბრწყინვალედ დაამტკიცეს „კომუნისტურ მანიფესტში“, თუ რა დიდი და განუზომელი წინააღმდეგობაა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფაქტის გაგებას შორის, როდესაც, ერთის მხრით, მათ განხილვა-შესწავლას ვაწარმოებთ ბურჟუაზიული

მორალის თვალსაზრისით და, მეორეს მხრით, როდესაც ფაქტები პროლეტარული მორალის პრიზმაში ტარდება.

დღევანდლამდე სკოლა გაბატონებული კლასების ხელში ერთი საუკეთესო იარაღთაგანი იყო მასების დასამონებლად. გაბატონებული კლასი ამ მიზნების განსახორციელებლად ყოველთვის, სადაც კი ისტორიული პირობები ხელს უწყობდა, სარგებლობდა სამღვდელოების სამსახურით. თუ მეცნიერული სოციალიზმის მამამთავრები—მარქსი და ენგელსი—პროლეტარიატს ასწავლიან, რომ: „დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა“, რომ მშრომელ ხალხს თავისუფლების მოპოება და კაპიტალისტური სამყაროს გარდაქმნა კომუნიზმით შეუძლია მხოლოდ განუწყვეტელი ბრძოლით“,—ეკლესიის მსახურნი ქადაგებენ: „გვიყვარდეს მტერიც და მოთმინებით გადავიტანოთ ყოველგვარი შევიწროვება, არ არის ძალა-უფლება, რომელიც ღვთის ნებით არ იყოს მოვლენილი“ და სხვა. ყოველივე ამით ეკლესია,—რელიგიური მორალი, მოუწოდებს ჩაგრულთ ჩაჩუმდენ მჩაგვრელთა წინაშე, დაემორჩილონ მათ, რომ უკანასკნელთ მშრომელთა ექსპლოატაციის მეტი საშუალება მიეცეს. მათე მახარობელი სახარებაში ამბობს: „თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაზე გაგარტყას, მარცხენაც მიუშვირე“. ამრიგად ეკლესია კლასთა ბრძოლის წინააღმდეგ გამოდის, ქადაგებს მოთმინებას მხოლოდ იმ იმედის მიცემით, რომ იქ, სადღაც, მეორე სამყაროში „მონათ და მორჩილთ“ დაუმკვიდრდებათ სასუფეველი, იქ გაირჩევა მართალთა და დამნაშავეთა საქმე, იქ იქნება აღდგენილი სამართალი—ჭეშმარიტება. რასაკვირველია, მშრომელს არ სჯერა მისთვის გამოუსადეგარი მის დასამონებლად გამოგონილი სწავლება და თვითონ არარსებული საიქიოს ნაცვლად აქ, დედამიწაზე, ეძებს სიმართლეს, იბრძვის სიმართლის დასამყარებლად.

ეკლესია ყოველთვის და ყოველმხრივ ამართლებდა ადამიანთა ჩაგვრას და ექსპლოატაციას. „თანამედროვე რელიგია და ეკლესია ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოა, რომელიც მუშათა კლასის ექსპლოატაციას ემსახურება“,—სწერდა ლენინი.

ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასის ჩაგვრაში ეკლესია ყოველთვის აქტიურ როლს თამაშობდა, და დღესაც სამღვდელოება დიდი გავლენით სარგებლობს.

ინგლისის მუშათა მასიური გაფიცვის დროს, 1926 წელს სამღვდელოებამ მოუწოდა მუშათა მასებს დამორჩილებოდენ კაპიტალისტებს და უარი ეთქვათ მოთხოვნილებებზე. ავსტრიაში 1927 წელს ეკლესიისა და მთავრობის წარმომადგენლებმა რამდენიმე ასეული

მუშა ქუჩაში დახვრიტეს. მრავალი სხვა მაგალითიც ნათელყოფს რელიგიის მიზანს, ააშკარავებს მის ბუნებას და ადასტურებს იმ ფაქტებს, რომ რელიგია გაბატონებული კლასის ხელში კლასიური ბრძოლის, ჩაგრულთა დამონების და ექსპლოატაციის საუკეთესო იარაღია.

აქედან ცხადია, რომ რელიგიის და რევოლუციის შეთავსება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ კომუნისტური პარტია და მისი ბელადი ლენინი ყოველთვის სასტიკად ებრძოდენ ყველა იმ მიმართულებას, რომელიც რელიგიის საშუალებით სცდილობდა მშრომელი მასის დაბეჩავებას და დამორჩილებას.

საბჭოთა კავშირში მუშებმა და გლეხებმა ძალაუფლების ხელში აღებისთანავე ეკლესია სახელმწიფოს ჩამოაშორეს. რადგანაც უკანასკნელი (ეკლესია) კლასთა ბრძოლის ნაცვლად კლასთა თანამშრომლობას ქადაგობს, მოგვიწოდებს გვიყვარდეს კლასიური მტრები, მოთმინებით შევხვდეთ მოსალოდნელ ომს „სამშობლოს“ დაცვის მიზნით.

საბჭოთა კავშირისათვის აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნა. პარტია და ხელისუფლება ყოველმხრივ ხელს უწყობენ მრეწველობის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეს, ხოლო რელიგიის წარმომადგენლები მთელი შეგნებით ილაშქრებენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ, რადგან კარგად იციან, რომ სოციალისტური მშენებლობა რელიგიის საფუძვლების საბოლოო განადგურების უტყუარი თავდებია.

ასეთივე დამოკიდებულება აქვს რელიგიას კულტურულ რევოლუციასთან. ეკლესია ილაშქრებს ახალი ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ; ამ ბრძოლაში ის ეყრდნობა მასების უვიცობას. ძველი ცხოვრების ნაშთებს და ამით ადუნებს მასების ინიციატივას. ამიტომ ბუნებრივია. რომ საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია იდეოლოგიურად ებრძვიან რელიგიას და ცდილობენ აღმოფხვრან მისი ნაშთები ჩვენი კავშირის მოსახლეობაში.

მოსახლეობის უკულტურობა და ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები, განსაკუთრებით სოფლად, რელიგიურ ცრუმორწმუნოებას დიდ გასაქანს აძლევს. ამავე უკულტურობით სარგებლობენ ანტისაბჭოთა ელემენტები, რომელნიც რელიგიის საფარ ქვეშ ფარულს თუ აშკარა ბრძოლას აწარმოებენ სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ.

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ გარემოებასთან: ერთი, როდესაც რელიგიური ცრუმორწმუნოება გამოწვეულია უკულტურობით, მეურნეობის დაბალი ტექნიკით, ბუნების ძალთა დაუმორჩილებლობით, და მეორე — როდესაც საბჭოთა ხელისუფლების შინაური მტრები, ცხა-

დია, შეგნებულად, კავშირს იჭერენ ეკლესიასთან და ამით ღარიბ მოსახლეობას აბამენ რელიგიურ ცრუმორწმუნეობაში. ამრიგად, ხელისუფლების მოწინააღმდეგე ელემენტები რელიგიური ცრუმორწმუნეობის შენარჩუნებით ცდილობენ შეაფერხონ ქვეყნის სოციალისტური მშენებლობა, ისარგებლონ ღარიბი მოსახლეობის უკულტურობით და ეს უკანასკნელი თავისი გავლენის ქვეშ მოაქციონ. აქ აშკარა კონტრრევოლუციონურ შემოტევასთან გვაქვს საქმე.

კულტურული რევოლუციის ელემენტები ჯერ კიდევ ნაკლებად არის შეჭრილი სოფლის ცხოვრებაში. მოსახლეობის რაციონალურად დასვენება, გართობა და მიზიდვა სამკითხველოებსა და კლუბებში სუსტად არის მოგვარებული, ამის გამო რელიგია თავისი ატრიბუტებით (საეკლესიო დღესასწაულები და სხვა) საგრძნობ კონკურენციას უწევს კულტურულ ელემენტებს სოფლად. რასაკვირველია, არა კმარა ბრძოლა მხოლოდ ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებთან. ლენინი საკითხის მხოლოდ ამ სახით გადაწყვეტის წინააღმდეგი იყო, ის რელიგიას უაღრესად სოციალურ მოვლენად სთვლიდა და მის ნიადაგს საზოგადოების საწარმოო ურთიერთობაში ეძებდა.

გლეხს მხოლოდ უკულტურობა და ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთები კი არ ხრის რელიგიისა და მისტიციზმისაკენ, არამედ სოფლის მეურნეობის დაბალი ტექნიკა, ბუნებრივი პირობების გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩამორჩენილ სასოფლო მეურნეობაში და წვრილი სასოფლო მეურნეობის და წვრილი მესაკუთრეობის ნიადაგზე აღმოცენებული გლეხის ინდივიდუალური ფსიქოლოგია.

ანტირელიგური პროპაგანდის ხასიათი სწორედ ამ პირობათა აღმოფხვრით უნდა განისაზღვროს; გლეხს მეცნიერულად და პრაქტიკულად უნდა დავუმტკიცოთ, რომ გვალვა, სეტყვა, მოუსავლიანობა და სხვა. სტიქიური, გლეხის დამღუპველი მოვლენები „ღვთის განგებაზე“ არ არის დამოკიდებული. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა სკოლასა აქვს, როგორც სოცისლისტური მშენებლობის და კერძოდ კულტურული რევოლუციის უშუალო მონაწილეს.

საბჭოთა შრომის სკოლის ამოცანა არ განისაზღვრება მხოლოდ იმით, რომ ახალი თაობა სათანადო ცოდნა-ჩვევებით აღიჭურვოს, მხოლოდ ისეთი ცოდნა-ჩვევებით, რომელიც საჭიროა საწარმოო ძალთა განსავითარებლად და სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, არამედ ამასთან ერთად მთავარი მოთხოვნა, რომელიც სოციალისტურ სკოლას უნდა წავუყენოთ, მარქსისტული იდეოლოგიის გამომუშავებაა. სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მარქსისტულ-დიალექტიური მსოფლმხედველობის გამომუშავებას მოზარდ

თაობაში. ეს მეტად აქტუალური ამოცანაა დღევანდელი მომენტისათვის, როდესაც ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობას ახასიათებს, ერთის მხრივ, უდიდესი მიღწევები სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ფრონტზე, მეორე მხრით კი—ბურჟუაზიულ-კონტრ-რევოლუციონური ელემენტების გამოცოცხლება და აქტიური წინააღმდეგობა.

ეს წინააღმდეგობა მკაფიოდ იშლება რელიგიურ ფონზე, მით უმეტეს, რომ სრულიად თავისუფალი პირობებია შექმნილი რელიგიური ქადაგებისათვის. სამღვდელოებამ ძალიან მოხერხებულად გამოიყენა ის გარემოებაც, რომ ანტირელიგიურ აღზრდას სკოლებში დღევანდლამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა.

დღევანდლამდე სკოლა კმაყოფილდებოდა მხოლოდ ურელიგიო აღზრდით და დარწმუნებული იყო, რომ ამ გზით შესაძლებელი შეიქნებოდა ახალი თაობის სწორი აღზრდა, მაგრამ აქ ავიწყდებოდათ ერთი გარემოება, სახელდობრ ის, რომ მოზარდი თაობის იდეოლოგიური აღზრდა ხდება არა მარტო სკოლაში, არამედ ახალგაზრდაზე დიდი გავლენა აქვს გარემოს, ოჯახს, სადაც ის (ძალიან ხშირმდ) ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთების გავლენის ქვეშ ექცევა.

ამ ნიადაგზე დღეს აქტაულურ საკითხად იქცა ანტირელიგიური აღზრდა ურელიგიო აღზრდის ნაცვლად—მხოლოდ ამ გზით შესძლებს სკოლა ყოველგვარი რელიგიური ცრუმორწმუნეობის ამოფხვრას არა მარტო მოზარდ მოსწავლე თაობაში, არამედ შეებრძოლება გარემოცულ საზოგადოებაში გავრცელებულ ცრუმორწმუნეობის ნაშთებსაც და ადვილად შესძლებს მათ მოსპობას.

4878

თუ ჩვენ გვინდა ანტირელიგიური აღზრდის საშუალებით მოსწავლე ახალგაზრდობიდან შეექმნათ ნამდვილი ათეისტები, საჭიროა ტრადიციულ ცრუმორწმუნეობათა მოსპობასთან ერთად მივცეთ წმინდა მეცნიერული მსოფლმხედველობა, მით უმეტეს, რომ სარწმუნოებრივი დოგმების კრიტიკა ნაყოფიერი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მოხდება წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით. ამიტომ სკოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა—ხელი შეუწყოს მეცნიერული მსოფლმხედველობის გამომუშავებას მოსწავლე ახალთაობაში, დღევანდელ მეცნიერულ მსოფლმხედველობად კი ითვლება დიალექტიურ-მატერიალისტური თეორია, რომელიც ადამიანთა კვლევა-ძიებითი აზროვნების სინტეზს წარმოადგენს.

ჩვენ სკოლებში ბავშთა ანტირელიგიური აღზრდა სათანადო დონეზე [illegible] დგას, ხშირად ჩვენი ბავშები რელიგიური ცრუმორ-

ეროვნულ ბიბლიოთეკა

წმუნოების გავლენის ქვეშ იქცევიან, ეს კი დიდ საშიშროებას ჰქმნის ბავშთა კომუნისტური აღზრდის საქმისათვის.

საბჭოთა შრომის სკოლა აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლაში. სკოლა მარქსისტული მსოფლმხედველობით აღჭურვილ ახალგაზრდობას უნდა ამზადებდეს. ჩვენს პროგრამებს, რასაკვირველია, თუ სწორედ დაამუშავებს სკოლა, ამ გზით მივყევართ. მაგრამ ყველა ჩვენ სკოლაში არ არის მთლიანი მუშაობა. პედაგოგიური კოლექტივის შეუკავშირებლობა აძნელებს ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევას. უმეტეს შემთხვევაში ასეთ მუშაობას მხოლოდ საზმეცნიერება აწარმოებს. ბუნებისმეტყველება, ქიმია და ფიზიკა კი გვერდს უხვევენ ანტირელიგიური პროპაგანდის საკითხს, მაშინ, როდესაც სწორად დაყენებული სკოლის მუშაობა უნდა სრულდებოდეს ამ მეცნიერებათა დასკვნების განზოგადოებით და ერთ მთლიან საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ანტირელიგიური პროპაგანდისათვის.

საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმათა განვითარების და ცვალებადობის ანალიზის დროს საზმეცნიერების მასწავლებლს ადვილად შეუძლია წამოაყენოს რელიგიის ევოლუციის საკითხი, გამოარკვიოს ქრისტიანობის, მაჰმადიანობის, ბუდიზმის და სხვა რელიგიათა საფუძველები არა მხოლოდ საერთო სახით, არამედ ზოგიერთი დეტალებიც კი, როგორც, მაგ. საეკლესიო დღესასწაულების წარმოშობა, სარწმუნოებრივი წეს-ადათები და სხვა.

საზოგადოებათმეცნიერებამ უნდა ნათელყოს რელიგიის კლასიური ხასიათი როგორც წარსულში, ისე დღევანდელ პირობებში.

საბუნებისმეტყველო საგნები—ბოტანიკა, ზოოლოგი, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგია, ფიზიკა, ქიმია და ფიზიკური გეოგრაფია მრავალ შემთხვევაში საუკეთესო მასალას იძლევა რელიგიური ცრუმორწმუნეობების გასაბათილებლად, როგორც მაგალითად, სასწაულების მოხდენა და თქმულება სიცოცხლისა და ქვეყნის შექმნის, ადამიანის გაჩენის შესახებ და სხვა. აგრეთვე საუკეთესო ნიმუშებს იძლევა ქართული ლიტერატურის პროგრამებით გათვალისწინებული მასალა, რომელიც შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: „ერთი რიგი ნაწარმოებთა ანტირელიგიური აღზრდისათვის თვალსაჩინო მასალებს იძლევა, ამგვარ ნაწარმოებში ცხადად ჩანს რელიგიის მესვეურთა და თვით რელიგიის „საქმენი საგმირონი“ ხალხის გონების დახშვაში, ჩაგრულთა დაბეჩავებაში. სანიმუშოდ მოვიყვანოთ „სურამის ციხე“ (მღვდელი, გლეხების მჩაგვრელი), „პირველი მაისი“—ჭ. ლომთათიძისა (ადგილები, სადაც ავტორი ეკლესიას და მის მსახურთ უყიჟინებს არ-

სებული წყობილების დაცვას), „ბუშა ბოკულაძე“—გრ. ორბელიანისა (ბუშა ამბობს: „მაშა, მღვდელი ლაპარაკს რომ დამიწყებს... გულს კი უხარიან მათ სმენა! სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშცემისა, გულში ქრება ღელვა სიბოროტისა... ვგრძნობ სიმშვიდეს... მაშინ შრომაც მიადვილდება“...), „ღმერთი დიდია, ღარიბო!“—რაფ. ერისთავისა (გლეხს ავტორი მიმართავს ამ ლექსში: „როცა რომ იასაული უმართლოდ ჩაგაფრინდება, ღმერთი დიდია, ღარიბო, გული ნუ შეგიშინდება“...

ანტირელიგიური აღზრდისათვის გამოსადეგია „განდეგილი“ — ილ. ჭავჭავაძისა, „ფულის ძალა“—ვ. რუხაძისა, „შერისხვა“—დ. კლდიაშვილისა, „ეკლესიის გარშემო“—ან. ერისთავ-ხოშტარიასი და მრავალი სხვა.

მეორე რიგის ნაწარმოებნი მხატვრული სახეებით გადმოგვცემენ ობიექტურად ხალხის რელიგიურ-მისტიურსა და ცრუმორწმუნეობრივ სულისკვეთებას. ასეთია: „ალი“—ნ. ლომოურისა, „ქაჯანა“ —მისივე (რომელიც ანტირელიგიურ მომენტსაც შეიცავს), „ქაჯის ბაწარი“—ირ. ევდოშვილისა, “ბნელო“—მელანიასი, „ალები“ რ.—ერისთავისა, „ღვთისშვილი ალექსი“—ეკ. გაბაშვილისა და მრავალი სხვა. ამგვარ ნაწარმოებთა ანალიზის დროს ერთ-ერთ მომენტად უნდა შევიჩნიოთ აღნიშნული რელიგიურ-ცრუმორწმუნეობრივი იდეოლოგიის გაშუქება და ანტირელიგიური აღზრდისათვის გამოყენება. ამგვარი მასალები ობიექტურად უნდა იქნეს გაშუქებული, როგორც წარსული ცხოვრების შესწავლის მასალა, თავისი ნაკლით თუ დადებითი მხარეებით. მასწავლებელი სათანადო ხელმძღვანელობით, ლიტერატურული ფაქტების მარქსისტული მეთოდით გაშუქებით ეცდება თავიდან ააცილოს მოწაფეებს ის ემოციური ზეგავლენა ამგვარი ნაწარმოებისა, რომელსაც არასასურველი გზით შეუძლია წარმართოს მოწაფის ჯერ გამოურკვეველი მსოფლმხედველობა.

ერთი სიტყვით, ჩვენი პროგრამები საკმაო და მოხერხებულ მასალას იძლევა ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებისათვის.

აღნიშნული დისციპლინების სწავლების დროს თვითეული თემა ბავშთა წინაშე ასე უნდა იშლებოდეს: როგორ სწყვეტს საკითხს რელიგია და როგორ აშუქებს ამავე საკითხს მეცნიერება. მეცნიერული კანონები უნდა დავუპირდაპიროთ რელიგიურ შეხედულებებს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ნათელი შეიქნეს, რომ რელიგია, როგორც წარსულში, ისე აწმყოში, ცდილობს ადამიანთა განვითარება, მათი დამოკიდებულება ბუნების ძალებთან ერთ წერტილზე შეაჩეროს, ხოლო მარქსისტული მეცნიერება კი ცდილობს ადამიანი

გამოიყვანოს პირველყოფილი მდგომარეობიდან, ბუნება დაუმორჩილოს ადამიანს და გასაქანი მისცეს შემდგომი განვითარებისათვის. ამ შემთხვევაში მეტად ძვირფასია კვლევა-ძიებითი მეთოდი, რადგან ის ბავშში იმუშავებს სინამდვილისადმი კრიტიკულ მიდგომას, ამ უკანასკნელს კი რელიგია ვერ უძლებს. საკმარისია სულ პატარა იჭვი, რომ რელიგიურმა რწმენამ გამანადგურებელი რღვევა დაიწყოს.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა შრომის სკოლა კულტურული რევოლუციის ცენტრად უნდა გახდეს. სკოლა მოსწავლე ახალგაზრდობის საშუალებით უნდა შეებრძოლოს მოსახლეობაში გავრცელებულ ძველი ყოფა-ცხოვრების ნაშთებს. ამ ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლა მთელ თავის მუშაობას წარმართავს ბავშთა კომუნისტური და ანტირელიგიური აღზრდის გზით. სკოლამ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყოს ის გარემოება, რომ არ კმარა მხოლოდ ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოება სკოლის ფარგლებში ბავშთა შორის, რადგან, როგორც ითქვა, გარემოს, ოჯახს, სადაც რელიგიურ ცრუმორწმუნოებას საკმაოდ აქვს ფესვები გადგმული, დიდი გავლენა აქვს ბავშზე, მის აღზრდაზე. ამიტომ სკოლამ თანაბარი შეტევა უნდა აწარმოოს მოსახლეობაში გავრცელებულ რელიგიური ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგაც. სკოლამ სწორედ აქ უნდა შ ე ა მ ო წ მ ო ს თავისი მიღწევები ანტირელიგიური აღზრდის საქმეში.

მრავალი სარწმუნოებრივი დღესასწაული, სხვადასხვა დახავსებული წეს-ადათები, ძველი საღოცავები და სხვა,—დიდ ზიანს აყენებს გლეხის მეურნეობას და ახალ ყოფა-ცხოვრებას. ასეთების თავიდან აცილება, მოსახლეობის დაბალი ფენების განთავისუფლება ცრუმორწმუნოებიდან, მრავალი ხარჯის თავიდან აცდენა და მრავალი სხვა, კულტურული წინსვლის, კულტურული რევოლუციის უტყუარი საწინდარია.

ამ საქმეში ყველაზე უფრო დიდი როლი სკოლას ეკუთვნის, როგორც კულტურის კერას.

ყველაზე უფრო გავრცელებულ დღესასწაულად უნდა ჩაითვალოს „აღდგომა“.

სკოლამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ანტირელიგიურ პროპაგანდას „სააღდგომო“ დღესასწაულებში.

სამღვდელოება და მისი მოკავშირე ელემენტები განსაკუთრებულ აგიტაციას რელიგიური ცრუმორწმუნეობის შესანარჩუნებლად აღდგომასთან დაკავშირებით აწარმოებენ. აღდგომასთან დაკავშირებული რელიგიური ტრადიციები, წითელი კვერცხები, „პასკა“, ლი-

ტონიაზე წასვლა, სანთლებით ეკლესიის შემოვლა, სააღდგომო მაგიდის მოწყობა და სხვა,—დიდ გავლენას ახდენს, განსაკუთრებით მოზარდ ახალგაზრდობაზე,—ამიტომ სკოლა მთელი ძალღონით უნდა შეეცადოს ამ დღესასწაულთან დაკავშირებით გაატაროს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც სააღდგომო დღესასწაულს ბავშებისათვის და მოზარდი ახალგაზრდობისათვის ნაკლებად შესამჩნევს გახდის, მეორეც—რელიგიურ ჩვეულებებს დაუპირდაპიროს ისეთი კულტურული და საზოგადოებრივი მუშაობა, რომელსაც შეუძლია ბავშის მიზიდვა-დაინტერესება.

პირველი რიგის ღონისძიებათა გასატარებლად საჭიროა, რომ ყველა საბავშო დაწესებულება (სკოლები, საბავშო ბაღები და სახლები; კლუბები, თეატრები და სხვა) სააღდგომო დღესასწაულების დღეებში (4—6 მაისი) გაცხოველებული ტემპით მუშაობდეს.

მეორე რიგის ღონისძიებათა გასატარებლად საჭიროა:

1) საღამო-წარმოდგენების მოწყობა, ექსკურსიები მინდორში, ტყეში, ნათესების დათვალიერება, სარეველა მცენარეებისა, მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

2) მოწაფეთა და მასწავლებელთა მოხსენებები, სეირნობის, კარნავალის მოწყობა და სხვა. რასაკვირველია, გართობამ დღესასწაულის ხასიათი კი არ უნდა მიიღოს, არამედ ყოველგვარი გართობა უაღრესად საზოგადოებრივ საქმიანობას თან უნდა სდევდეს.

საზოგადოებრივი საქმიანობის მრავალ სახეს შორის შეიძლება დავასახელოთ სკოლის კოლექტივის მიერ—ხეების დარგვა, არხების ამოწშენდა და ახლების გაყვანა, გზების, ბოგირების და ღობეების შეკეთება, ქვრივ-ობოლთა მამულების დამუშავება და სხვა.

მოსახლეობის საერთო კრებებზე სააღდგომო ანტირელიგიური კამპანიის პერიოდში სკოლის კოლექტივმა შემდეგი საკითხები უნდა გააშუქოს.

1) რელიგია და კულტურული რევოლუციის საკითხები.

2) როგორ უშლის ხელს რელიგია სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევათა გამოყენებას.

3) იყო თუ არა ქრისტე და ვის სასარგებლოდ არის მოგონილი აღდგომა?

4) პირველი მაისი და აღდგომა (პირველი მაისი, როგორც მსოფლიოს მუშათა კლასის გაერთიანების დღე, აღდგომა კი, საწინააღმდეგოდ, მისი გამთიშველი).

სააღდგომო ანტირელიგიურ კამპანიასთან დაკავშირებით უნდა გაძლიერდეს სკოლასთან არსებულ უღმეთოთა უჯრედების მუშაობა

და ჩამოყალიბდეს ახალი უჯრედები იქ, სადაც ასეთები არ არსებობს.

აღნიშნულ მუშაობის გატარების დროს, ისე როგორც ყოველთვის, სკოლა შეთანხმებული უნდა იყოს ადგილობრივ პარტიულ, ა. ლ. კ. კ., საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან.

განათლების სახალხო კომისარიატი.

ტყის დღე და სკოლა

ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეს სოფლის მეურნეობისათვის, ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში ტყის მეურნეობას უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა დაეთმოს, ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება ტყის დაცვა-მოვლა-მოშენებას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა, რადგანაც ის ამით მრავალ სახელმწიფოებრივ ეკონომიურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, როგორიცაა, მაგალითად, ხე-ტყის სამრეწველო ქარხნების მოთხოვნილება, აღმშენებლობა, რკინის გზის საჭიროება, ზადმეტი დამუშავებული თუ დაუმუშავებელი ხე-ტყის მასალის სხვა სახელმწიფოებში გატანა და სხვა.

გარდა ამ ეკონომიური მნიშვნელობისა, ტყეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვით ბუნებაში. ტყე ბუნების საუკეთესო და თვალსაჩინო დარაჯია: ის იფარავს ქვეყანას წყალდიდობისა და წალეკვისაგან, ნიადაგის გადარეცხვისა და გვალვისაგან. წყაროებს და მდინარეებს იცავს შემცირება-დაშრობისაგან. ტყე აპოხიერებს ნიადაგს, ანელებს და აყუჩებს ქარებს, აგრილებს ჰავას, სწმენდს და აჯანსაღებს ჰაერს. მაგრამ ხალხმა ჯერ კიდევ არ იცის მისი რაციონალური გამოყენება.

ტყის მეურნეობის საკითხებს შორის მთავარი და მნიშვნელოვანია ტყის მოვლა და დაცვა. ტყე დაცული უნდა იქნეს გაჩეხვა-განადგურებისა, საქონლისა, ხანძრისა, მწერებისა და სოკოებისაგან.

თუმცა ტყის დაცვა თანდათან უმჯობესდება, მაგრამ ეს საქმე ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ არის დაყენებული.

მიუხედავად ტყის ბუნებრივი განახლების იდეალური პირობებისა, ზოგ ადგილებზე, ტყის გაჩეხვის შემდეგ, ან სულ არ არის მოზარდი ახალი ტყე, ან თუ არის, მცირე რაოდენობით. ამიტომ ტყის

ნიადაგა, ტყის არარაციონალური ექსპლოატაციის შემდეგ, ხშირად გადაიქცევა ხოლმე უვარგის სივრცედ, რომელიც გამოუსადეგარია ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის.

ტყის ექსპლოატაციის დროს წარმოებს უახლოესი ტყეების უზომო გაჩეხვა, ზოგ შემთხვევაში კი სრული გაჩანაგება, იმავე დროს კი ადგილი აქვს მიუვალი ტვის სრულ გამოუყენებლობას. მიუვალ ტყეში ტყე ლპება და სახელმწიფოსათვის უსარგებლოდ იღუპება. ტყის ექსპლოატაციის დროს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი (30—35%) ხმარდება თავის დანიშნულებას, დანარჩენი კი რჩება ტყეში, რაც ჰქმნის ხანძრისათვის უშუალო ნიადაგს და ტყის მავნებლების გამავრცელებელ საშუალებას წარმოადგენს.

ჩვენს პირობებში ტყის ექსპლოატაციას ტყის მოვლის ხასიათი უნდა ჰქონდეს. ეს კი ერთ-ერთ უძნელეს და საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს.

ამისათვის ძლიერ დიდი მუშაობაა საჭირო და ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტყის მოვლა-მოშენების საქმეს. ამ მიზნით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი წელსაც აწყობს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ტყის დღეს, რომელიც ადგილობრივი კლიმატიური პირობების მიხედვით ჩატარებული იქნება 1 აპრილიდან 15 მაისამდე.

ტყის დღის ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს რესპუბლიკის ყველა სკოლამ და ამით ხელი შეუწყოს ამ დიდი საქმის მოწესრიგებას.

ჩვენი სკოლის მუშაობის ძირითად საფუძველს ფართო საზოგადოებრივ-აუცილებელი შრომა წარმოადგენს. ტყის დღე ერთ ასეთ სამუშაოდ უნდა მიიჩინიოს რესპუბლიკის თითოეულმა სკოლამ და მის ჩატარებაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს. მაგრამ, ვინაიდან ამ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ისე, როგორც სკოლის მიერ ჩასატარებელ სხვა ამგვარ საქმიანობას, საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ამიტომ ეს სკოლის საპროგრამო მასალას უნდა დაუკავშირდეს. ამასთანავე ამ სამუშაოს შესრულება არ უნდა აღემატებოდეს მოწაფეთა ძალ-ღონეს და საზარალო არ უნდა იყოს მათი ჯანმრთელობისათვის, პირიქით, ის ხელს უნდა უწყობდეს ბავშის ორგანიზმის გაჯანსაღებას და ნორმალურ ზრდა-განვითარებას.

ტყის დღის ჩასატარებლად სკოლამ წინასწარ უნდა აწარმოოს მოსამზადებელი მუშაობა, სადაც უნდა გამოირკვეს სკოლის რაიონში არსებული ტყის მოვლა-მოშენების ყველა მორიგი საჭიროება,

აგრეთვე სკოლის მონაწილეობის კონკრეტული სახე და პირობები. ამისათვის საჭირო იქნება სკოლამ უშუალო კავშირი დაიჭიროს ადგილობრივ სატყეო საქმის ხელმძღვანელ ორგანოებთან.

ტყის დღის კამპანიაში ორი მთავარი მხარე უნდა განვასხვაოთ: 1) სააგიტაციო და 2) საწარმოო. პირველი შეიცავს იმ საკითხების ფართოდ გაშუქებას, რცმლებიც ეხება ტყის ცხოვრებასა და მნიშვნელობას. ამ მხრივ ტყის კამპანიის მიზანი იქნება: ჩავუნერგოთ მოსახლეობას ტყის სიმდიდრეთა მიზანშეწონილად გამოყენების შეგნება, ჩავაგონოთ, რა დიდი ბოროტებაა ტყის განადგურება, გავურკვიოთ, რა მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისათვის მწვანე ფართობს და სხვა.

ამ მიზნით სკოლამ უნდა ჩაატაროს:

1) წინასწარ შედგენილი გეგმით ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე მოხსენება ტყის მნიშვნელობისა და მისი მოვლა-მოშენების შესახებ;

2) ლიტერატურული დილა საზოგადოებისათვის (შესაფერისი ლიტერატურული მასალის შერჩევა—ლექსებ, ინსცენირობა, ცოცხალი სურათი და სხვა).

3) ტყის გამანადგურებელთა გასამართლება და სხვა.

მეორე—კამპანიის საწარმოო მხარე კი შეიცავს სკოლის პრაქტიკულ მუშაობას, რომელიც თავის მიზნად ისახავს უახლოესი ტყის, ქალაქის ბაღების გაუმჯობესებას და ხეების დარგვა-მოვლას.

ამისათვის სკოლამ შემდეგი მუშაობა უნდა აწარმოოს:

1) მოაწყოს სკოლის ნაკვეთზე შერჩეული ტყის ჯიშების საწერგე; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სუბტროპიკულ მხარეებში ისეთი ჯიშების გაშენებას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს სადაბაღო საქმეში. სადაბაღო ნივთიერების საკითხი მეტად აქტუალურია საქართველოსათვის ორი მთავარი მოსაზრებით: საქართველო, როგორც ნაწილობრივ მესაქონლეობის ქვეყანა, იმდენად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სადაბაღო ნივთიერებით, რომ ტყავის წარმოებას შეეძლოს საკმაოდ განვითარება. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია უზრუნველჰყოს სადაბაღო ნივთიერებით საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება იმდენად, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ნივთიერებათა იმპორტის შემცირება საზღვარგარეთიდან, რაზედაც დღეს იხარჯება დაახლოებით 11—15 მილ. მანეთი. სადაბაღო ექსტრაქტის დასამზადებლად უნდა გავაშენოთ უმთავრესად მიმოზა, რომელიც კარგად ხარობს შავი ზღვის სანაპიროებში. საქართველოში შესაძლებელია აგრეთვე სუბერინი მუხის

(საცობის ხის) მოშენება და ისიც არა მარტო სუბტროპიკებში, არამედ აღმოსავლეთითაც (ჯერჯერობით კი სუბერინი მუხის მეურნეობის განსავითარებლად მიღებულია განსაკუთრებული ზომები ქუთაისის მაზრაში).

2) აწარმოოს ხეების დარგვა ქუჩის ნაპირებზე;

3) მახლობელი ტყიდან გამოჰყოს პატარა ნაკვეთი და აწარმოოს მისი სანიმუშო მოვლა-დაცვა. რისთვისაც საჭირო იქნება: ა) თავისუფალ ადგილებზე ხეების დარგვა-დათესვა; ბ) ახალგაზრდა ტყისა და სანერგის გაწმენდა მავნე მცენარეებისა და მწერებისაგან; გ) იქნეს მიღებული ზომები საქონლისაგან ტყის დასაცავად; დ) პატარა ხრამებისა და ხევების ნაპირების გამაგრება; ე) სკოლის ეზოში ხეების დარგვა; ვ) შეაგროვოს საუკეთესო ხის ჯიშების თესლები და მიაწოდოს სათანადო დაწესებულებას და სხვა.

სასწავლებლები იმუშავებენ ტყის დღის ჩამტარებელ სამაზრო ან სათემო კომისიებთან ერთად.

თითოეულმა სკოლამ უნდა წარუდგინოს განათლების განყოფილებას დაწვრილებითი ცნობები იმის შესახებ, თუ რა გააკეთა და როგორ ჩაატარა მან ტყის დღე.

განათლების განყოფილება კი, სკოლების ნამუშევრის შეჯამების შემდეგ, ცნობებს უდგენს განათლების კომისარიატს.

განათლების სახალხო კომისარიატი

ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ

I ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ.

ცვლილებები გარემოში, დროს ცვალებადობით გამოწვეული; ბუნების გამოფხიზლება, გამოღვიძება. ზამთრის ტანისამოსის შეცვლა საგაზაფხულო ტანისამოსზე. ბინებში ფანჯრების ხანგრძლივი გაღება. ქუჩებში ყვავილების, მწვანეულობის და გაზაფხულის ხილის გაყიდვა. ბოსტნებში, ბაღებში საგაზაფხულო სამეურნეო მუშაობის გაჩაღება. ბავშები შინაც უფრო ხანგრძლივად სარგებლობენ ჰაერზე ყოფნით. დაწესებულებებში მუშაობის ერთი საათით ადრე დაწყე-

ბა. პირველი მაისისთვის მზადება დაწესებულებებში, ქუჩებში, მაღაზიების ვიტრინებში.

ცვლილება ბავშთა კოლექტივში და საბავშო დაწესებულებაში

სოციალურ-კოლექტიური ჩვევების მხრით:

ზამთარში ჯგუფის მთელი ცხოვრება ოთახებში მოემწყვდა. ჯგუფი უნდა დაკმაყოფილებულიყო ვიწრო ბინით, შეჩვეოდა ამ სივიწროვიდან გამომდინარე რეჟიმს. ეს სიძნელე სავსებით დაძლეული იყო: ბავშებმა იციან დრო და ადგილი თამაშის, შრომის, დასვენების; სავსებით ერკვევიან არა მარტო თავის დღის, რეჟიმში, არამედ მე-II და მე-III ჯგუფის რეჟიმშიც.

დამოკიდებულება ჯგუფში საერთოდ ბავშებს შორის მეგობრული და კარგია, მაგრამ ყველაზე უფრო უყვართ გაიოზი და მიტო. ყველაზე მეტი მზრუნველობით ეკიდებიან ყველაზე პატარა ნანას. თამაშისა და ყოველდღიური შრომის დროს მშვიდი, საქმიანი და მხიარული ატმოსფერა. თამაშში ყველა აქტიურია, თამარის, მიშასი და კუკურის გარდა, ბიჭები უფრო ხშირად არიან ასაშენებელ მასალასთან, გოგოები სხვა სათამაშოებთან, მაგალითად: პირამიდა, მოზაიკა და საოჯახო სათამაშოები. შემოდგომასთან შედარებით სჭარბობს კოლექტიური თამაში. საერთო წესრიგს ძნელად ეთვისებიან მიშა და მარო. პირველობა სუყველას უყვარს, განსაკუთრებით კი თამრიკოს, მაყვალას, ლუბას; მწკრივში დადგომის დროს ეს იწვევს უწესრიგობას და ამის გარშემო ჯერ კიდევ დიდი მუშაობა უხდება ხელმძღვანელს.

შ რ ო მ ი თ ი ჩ ვ ე ვ ე ბ ი ს მ ხ რ ი თ: ბავშები უკვე დამოუკიდებლივ აწყობენ, ალაგებენ სათამაშო და სამუშაო ოთახებს და ნაწილობრივ საწოლსა და სასადილოს. აქვთ ტექნიკური ჩვევები: ჩაცმაგახდა, ხელების დაბანა, ფანქრის, მაკრატლის ხმარება.

კ ულ ტ უ რ ულ-ჰ ი გ ი ე ნ უ რ ი ჩ ვ ე ვ ე ბ ი ს მ ხ რ ი თ: სადილის და საუზმის დროს ეჩვევიან სუფთად ჭამას, კოვზის სწორად დაჭერას, ცხვირსახოცის და ხელსახოცის სწორად ხმარებას (ზურიკოს, მიშას და კუკურის გარდა). ჰიგიენის მხრივ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში არიან მარო და ომარი, მშობლები აქამდე არ აქცევენ ყურადღებას მათ ტანისამოსს, საცვლებს, სხეულს და ჭუჭყიანს გზავნიან საბავშო ბაღში. ჯგუფის საერთო განვითარება მაღალია. ზამთრის პროგრამა ჯგუფმა ადვილად შეითვისა. აღსანიშნავია ისიც, რომ I ჯგუფის ბავშებშიც, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფში ბავშებთან წერაკითხვის გარშემო მუშაობას სრულიად არა აქვს ადგილი, გაიღვიძა წერაკითხვი-

ადმი ინტერესმა. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს თვით საბავშო ბაღის გარემო, წარწერები პირსახოცებზე, ნახატებზე და სურათებიანი წიგნები. ჯგუფში კითხულობენ შეგნებულად, ნელა: გაიოზი, ჩიტო, ნანა; კითხულობენ ნაცნობ სიტყვებს ეთერი, მიტო, შოთა, თენგიზი; ასოები იციან მარინემ, თამაზმა. თავის სახელს ყველა ზემოჩამოთვლილი ბავში წერს.

უფროსი ბავშების მიერ მოწყობილი უქმეების დროს I ჯგ. ბავშებმა შესაფერისი შთაბეჭდილება მიიღეს. აქვთ წარმოდგენა ლენინზე, როგორც მუშების მასწავლებელზე და პატარა ბავშების კეთილ ძიაზე, ცნობენ მას სურათზე, არჩევენ პიონერს და ოქტომბრელს. საბავშო ბაღის გარემო, ნაცვლად ზამთრის სივიწროვისა, გაზაფხულზე ბავშებს მისცემს დიდ სივრცეს, თავისუფალი თამაშის, მოძრაობის სრულ გასაქანს. ეზო, სააღმშენებლო მასალით (ქვიშა, ქვები, ჯოხები, ნაფოტი, მიწა, წნელი, წყალი, აგური) მოწყობილი, დააკმაყოფილებს ბავშების თამაშ-მოქმედიანობას და ბაღ-ბოსტანი, ყვავილნარი, სამეურნეო იარაღი, მოწყობილი ექსკურსიები ბუნებაში—გაამდიდრებს ბავშების შთაბეჭდილებას გაზაფხულის მოვლენებზე.

პედაგოგიური ამოცანები

1. გ ა ჯ ა ნ ს ა ღ ე ბ ი ს და კ უ ლ ტ უ რ უ ლ - ჰ ი გ ი ე ნ უ რ ი მ ხ რ ი თ: ბავშებს მიეცეს საშუალება, რაც შეიძლება მეტად ისარგებლონ ჰაერით, მზით და სივრცით (იხ. ექიმის გეგმა). გაგრძელდეს მუშაობა, რომ ჯგუფი შეეჩვიოს მწკრივში დადგობას, გადაეჩვიოს ყვირილით ლაპარაკს, მიშასა და მაროს განუმტკიცდეს კულტურულ-ჰიგიენური ჩვევები.

2. ს ო ც ი ა ლ უ რ - კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი ჩ ვ ე ვ ებ ი ს მ ხ რ ი თ: გაგრძელდეს მუშაობა ბავშებისთვის კოლექტიური შრომის და თამაშის ჩვევების მისაცემად. 1 მაისის დღესასწაულის ჩატარებაში მონაწილეობის მიღება.

3. შ რ ო მ ა შ ი: გარდა ჩვეულებრივი ყოველდღიური თვითმსახურებისა, ელემენტარული მორიგეობის შემოღება. ელემენტარული შრომა ბოსტანში.

4. ბ უ ნ ე ბ ა: მიეცეს წარმოდგენა გაზაფხულზე. გარჩევა-დასახელება: ხე, ბუჩქი, ტოტი, ფოთოლი, ფესვი, ბელურა, ყვავი, მერცხალი, ბუზი, პეპელა, ჭია, ჭიანჭველა, ბაყაყი. ბოსტანში, ყვავილნარში ცნობა და დასახელება ზოგიერთი ყვავილის და მწვანილისა.

5. სენსორულ-მოტორული ჩვევები: ბუნებრივ მასალაზე განმტკიცება ძირითადი ფერების ცოდნის. ანგარიში: თვლა ბუნებრივი საგნებისა 10-მდე, წარმოდგენის განმტკიცება კოლექტიურ რიცხვზე ისევ სამამდე. გაგრძელდეს მუშაობა მოძრაობის კოორდინაციის გარშემო ჯგუფში და ინდივიდუალური მუშაობა ჩამორჩენილ ბავშვებთან (კუკური, ზურიკო, ჩიტო).

6. მეტყველების გაფართოების გარშემო: ჯგუფში იმავე მუშაობის გაგრძელება, რაც ზამთარში, ხოლო გაზაფხულის ფონზე, შემდეგ ბავშვებთან ინდივიდუალური ვარჯიშის ჩატარება ენის დეფექტის გამოსასწორებლად (კლარა, ლუბა, თენგიზი, მერი).

ცვლილება ბავშთა რეჟიმში

1. მთელი მუშაობის ჰაერზე ჩატარება.
2. ჰაერის და შემდეგ ზზის აბაზანების სისტემატიური მიღება.
3. მოძრავი, თავისუფალი თამაშისთვის მეტი რდროს დათმობა.

მუშაობის შინაარსი

1. გაჯანსაღების ირგვლივ საუბარი კულტურულ-ჰიგიენური ჩვევების და წესრიგის ირგვლივ. წინამძღოლობა რიგრიგობით.

2. საერთო იარაღების, სათამაშოების ჩაბარება, შენახვა, ხმარება. ბოსტანში საერთო კვლის მოვლა, ერთმანეთის მოსმენა თხრობა-ბაასის დროს. პირველი მაისის დღესასწაულში მონაწილეობის მიღება, საპირველმაისო სიმღერა, დროშის გაკეთება.

3. მორიგეობა სამუშაო და სასადილო ოთახებში. თეფშებზე ქერის და ხირბლის დათესვა-მოვლა. ბოსტანში კვლის გასუფთავება კენჭებისაგან, ნაფოტებისაგან, დათესილის მორწყვა უფროსი ბავშვების დახმარებით და ჩვეულებრივი თვითმსახურების სახეების ჩატარება.

4. დაკვირვება გაზაფხულის სხვადასხვა მოვლენაზე: თოვლის დნობა, ყველგან რუები; თბილა. ყვავილები, ფოთლები იშლება; მათი გარჩევა ფორმისა და ფერის მხრით და დასახელება. ფრინველებზე დაკვირვება, გარჩევა-დასახელება. საუბარი ბუნებიდან გამომდინარე შთაბეჭდილების გარშემო.

ექსკურსია-გასეირნება ბუნებაში. ბავშვების მიერ გაზაფხულის შესახებ სახლიდან მოტანილი ლექსების შერჩევა. თხრობა ცხოველებისა და ფრინველების ცხოვრებაზე ამ სეზონში, ბოსტანში ყოველდღიური მუშაობის და დაკვირვების დროს გარჩევა-დასახელება ფერისა და ფორმის მხრით ბოლოკის, სტაფილოს, ხახვის, კამასი, მზის-უმზირისა, ლობიოსი და სიმინდის. მწვანილეულობის გარჩევა გემოთი.

5. ძირითად ფერებზე ვარჯიშის გაგრძელება: წითელი ყაყაჩო, მწვანე ფოთოლი, ყვავილის ყვითელი გული (გვირილის) და შესაფერისი ლურჯი ყვავილი. კონკრეტულ ბუნებრივ მასალაზე თვლა 10-ის, ბუნებრივი მასალის საშუალებით კოლექტიური რიცხვის მოძებნა სამის ფარგალში. მოძრაობის განვითარებისთვის სიარული, გადახტომა $^1/_3$ მეტრის სიმაღლე ფიცრიდან, სირბილი მიმართულების შეცვლით, სიარული წყვილად. ხელმძღვანელის დაუხმარებლივ ზოგიერთი ნაცნობი, ადვილი სიმღერის უაკომპანიმენტოდ შესრულება, სიმღერის კილოთი ცნობა.

6. ინდივიდუალური ვარჯიში ჩამორჩენილ ბავშვებთან ენის განვითარების გარშემო: საუბარი, სურათებიანი წიგნების გასინჯვა, სურათის აღწერა კითხვების საშუალებით, ვარჯიში ენის დეფექტის გამოსასწორებლად.

მუშაობის მეთოდი

1. გ ა ჯ ა ნ ს ა ღ ე ბ ა, კ უ ლ ტ უ რ უ ლ-ჰ ი გ ი ე ნ უ რ ი ჩ ვ ე ვ ე ბ ი: ექიმის თანადასწრებით აბაზანების ჩატარება. მწკრივში დადგომის დროს წესრიგის დასამყარებლად ხელმძღვანელი ირჩევს ორ მორიგეს—გოგოსა და ბიჭს; ბავშვები დგებიან რიგში მორიგეების უკან, ხელმძღვანელი მტკიცედ მოითხოვს, რომ მწკრივში დადგომა არ მოხდეს სირბილით. პასიური ბავშვების გამოცოხცლებისთვის (მიშა, კუკური, თამარა, ზურიკო) მათთვის ხშირად პატარ-პატარა დავალებების მიცემა, მორიგეობაში მათი ჩაბმა, კითხვების საშუალებით მათი ალაპარაკება ბაასის დროს.

2. ს ო ც ი ა ლ უ რ-კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი ჩ ვ ე ვ ე ბ ი: ხელმძღვანელი აბარებს ჯგუფს ახალ იარაღებს, სათამაშოებს, ბავშვებთან ერთად არჩევს ადგილს, სადაც ეს მასალა და იარაღები შეინახება. მორიგეები, ხელმძღვანელის მითითებით, მუშაობა-თამაშის წინ არიგებენ და შემდეგ ინახავენ ყველაფერს. შესანახავი ადგილი ბავშვებისთვის მოხერხებული და მისაწვდომი უნდა იყოს. ბოსტანში მუშაობის წინ

ხელმძღვანელი მიუთითებს ბავშებს იმაზე, რომ უმცროს ჯგუფს კვალი მოუმზადა მე-III ჯგუფმა, რომ კვალი საერთოა მთელი I ჯგუფისათვის, ყველამ უნდა ვიმუშაოთ. მუშაობის დროს ხელმძღვანელი ამყარებს სიჩუმეს, მაგრამ ცდილობს ბაასის დრო 5-10 წუთს არ აღემატოს. ორი-სამი დღის წინ I მაისის დღესასწაულის ჩატარებამდე, როდესაც გარემოში საკმაო ნიშნებია მე-III და მე-II ჯგუფის მიერ ამ უქმის ჩატარების ირგვლივ, ხელმძღვანელი აწყობს შესაფერ საუბარს; მოკლე და მარტივი გადაცემა, რომ ეს ყველა მშრომელის უქმეა; უქმის წინადღით ერთი ბაირაღის გაკეთება მთელი პირველი ჯგუფისათვის.

3. შ რ ო მ ა: მორიგეებს ირჩევს ხელმძღვანელი სხვადასხვა სახის მუშაობის დროს (ხატვა, ძერწვა) ცოტა ხნით. მორიგეებს მიჰყავთ ბავშები სავარჯიშოდ, პირსაბანებისკენ. მორიგეები ეხმარებიან ხელმძღვანელს დილ-დილობით ფრჩხილების და ყურების გასინჯვის დროს. ხელმძღვანელი ბოსტანში ბავშებთან ერთად მუშაობის დროს აქცევს ყურადღებას იმას, რომ ბავშები არ იღლებოდეს. ფხიზლად უკვირდება ბავშებს და ყველგან, სადაც საჭიროა, უწევს ანგარიშს ბავშის განწყობილებას, ინიციატივას.

4. ბ უ ნ ე ბ ი ს გ ა რ შ ე მ ო: ბავშები უშუალოდ აკვირდებიან ბუნების მოვლენებს. ხელმძღვანელი ცდილობს, რომ საბავშო ბაღის გარემო ხელს უწყობდეს ბავშებს ბუნებიდან მდიდარი შთაბეჭდილების მიღებაში. თვალსაჩინო მოწყობილი ბოსტანი, ყვავილნარი, ექსკურსიები ბუნებაში. როდესაც ბავშებს უკვე საკმარისი შთაბეჭდილება აქვთ გაზაფხულის ირგვლივ, ხელმძღვანელი მხოლოდ მაშინ აწყობს პატარ-პატარა საუბარს ბავშებთან მათი შთაბეჭდილების გარშემო.

5. ს ე ნ ს ო რ უ ლ-მ ო ტ ო რ უ ლ ი ჩ ვ ე ვ ე ბ ი ს მ ხ რ ი თ: სისტემატიური ვარჯიში ბუნებრივ და ყოველდღიურ მუშაობა-თამაშის დროს საჭირო მასალაზე. ხელმძღვანელი ვარჯიშს არ აძლევს გაკვეთილის სახეს—მოკლე საერთო განმარტება მთელ ჯგუფში იცვლება საუბრის, თამაშის და მუშაობის დროს ინდივიდუალური ვარჯიშით კონკრეტულ მასალაზე, მოვლენაზე. ხელმძღვანელი ცდილობს, რომ რიტმული ვარჯიშის სახეები იცვლებოდეს: მარშის შემდეგ რიტმული მოძრაობა, შემდეგ სიმღერა, თამაში და სხვა... ხელმძღვანელი აქტიურია ახალი მასალის მიცემის დროს; ახალი სიმღერის მიცემის დროს ხელმძღვანელი თვითონ ასრულებს სიმღერას.

მასალა

თ ა მ ა შ ი: ბურთი, თოკი, საქანელა, გორგოლაჭები, ქვიშა, ქვიშაში სათამაშო ფორმები, აქანდაზები, ქვები, ფიცრები.

შ რ ო მ ა: სარწყავი, ცოცხი, საზიდი.

ს ე ნ ს ო რ უ ლ-მ ო ტ რ უ ლ ი ჩ ვ ე ვ ე ბ ი: ასაშენებელი მასალა, ფიცარი, ბუნებრივი მასალა.

თ ხ რ ო ბ ა: ცუღლუტი კნუტი“ და „როგორ გააკეთეს პატარებმა ბოსტანი“ რუსულიდან: — Что и как рассказывать детям“, „ჩიტების ომი“ — მგალობლიშვილის.

ს ი მ ღ ე რ ე ბ ი: „დღეს პირველი მაისია“ — შავერზაშვილისა, ყაყაჩოსა სიწითლითა“ — ხალხური კილო, „ჩემი ცხენი“ — კომპოზიციატერიევისა, „ნანა, ჩემო ციცუნა“ — ლექსი ძარიჯანისა, „გაზაფხულო, გაზაფხულო“ — ნ. ძიძიგურისა.

ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ ი თ ა მ ა შ ი: 1. „ცხენობანა“ — კომპოზიციატერიევისა, „ჩიტები მოფრინდენ“ — მუსიკა რახმანინოვისა.

რ ი ტ მ უ ლ ი ვ ა რ ჯ ი შ ი: ვალსი არენსკის, ნაწყვეტი „პიკის ქალი“ დან, ლისტის რაპსოდიიდან.

საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობა.

ყველა ჯგუფისთვის

1. ჯგუფების მშობლებისთვის გაზაფხულის გეგმის გაცნობა.

2. ექიმის მოხსენებები მშობლების საერთო კრებაზე:

ა) კანის სანიტარია-ჰიგიენა გაზაფხულზე, მსუბუქი ტანისამოსის მნიშვნელობა კანის სუნთქვისთვის.

ბ) ჰაერის და მზის აბაზანების მნიშვნელობა, მათი ჩატარების ტექნიკა.

3. მოედნის ბავშვების მშობლების შეკავშირება მოედნის მოწყობის გარშემო, კრებების ჩატარება მათთან (იხ. მესამე ჯგუფის გეგმაში მესამე ორგანიზ. მომენტი).

4. მოედნის ორგანიზაციაში ჩაბმა საბინაო კოოპერაციის გამგეობისა, № 14.

5. 1 მაისის დღესასწაულზე მშობლებთან და სტუმრებთან პოლიტიკური ხასიათის მოხსენების გაკეთება.

6. ინდივიდუალური მუშაობა ჯგუფში ჩამორჩენილი ბავშვების მშობლებთან.

პედაგოგიური კოლექტივის მუშაობა.

ყველა ჯგუფისთვის

1. პედოლოგთან ერთად დამუშავება საპროგრამო საკითხის: „ფორმა და რიცხვი“.

2. ოჯახებში სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების გადატანისათვის ხელმძღვანელების მისვლა ბავშვების ბინაზე.

II ჯგუფი

ცვლილებები დაწესებულების გარეთ

იხილე I ჯგუფის გეგმაში

ცვლილება ბავშთა კოლექტივში და თვით საბავშო ბაღში

მე-II ჯგუფში 40 ბავშია. ზამთრის ტრიმესტრში დასახული ამოცანების განხორციელება მე-II ჯგუფის მთელ შემადგენლობასთან არ მოხერხდა, რადგან საშინელი სიცივეებისა და ყინვების გამო, ბავშები ხან მოდიოდენ, ხან ვერა, თანაც აკლდებოდენ არა ერთიდაიგივე ბავშები.

ბავშებმა დასახული კულტ-ჰიგიენური ჩვევები სავსებით შეითვისეს (ხელების დაბანა საუზმისა და სადილის წინ, კბილების გამორეცხა ნასადილევს, წინსაფრების და ცხვირსახოცების აუცილებლობა, ყოველ ორშაბათობით სუფთა საცვლებით და პირსახოცებით მოსვლა). დასახელებული ჩვევები, რამდენიმე ბაშის გამოკლებით, ყველამ შეითვისა (ქეთო, შოთა სულაქველიძე, პეტო, რომელთაც მუდამ შეხსენება სჭირდებათ). ყველაზე უორგანიზაციო ბავშია ჯგუფში საშა ნორია, რომელმაც შედარებით გვიან დაიწყო ბაღში სიარული. შრომითი ჩვევები საკმაოდ შეითვისეს; შრომა, თვითმსახურების სახით, თითქმის დაძლეულია—დასვენების დროს თავისით იშლიან ლოგინებს, იხდიან ტანისამოსს, დასვენების შემდეგ დამოუკიდებლად იცვამენ ტანისამოსს, იკრავენ ფეხსაცმელებს, კეცავენ და ალაგებენ თავის ადგილას თავის ლოგინებს, ყოველ ბავშში დიდი სურვილი და მიდრეკილებაა მორიგეობისადმი—წინათ შედარებით ზარმაცი პეტოც კი ხალისით მორიგეობს. ძალიან ახალისებთ პატარებისთვის მუშაობა: მათი დასასვენებელი ოთახის მოწყობა, ლოგინების დაგება საწოლებზე, დახმარება გახდა ჩაცმის დროს.

ბავშთა დიდი რიცხვის გამო ხშირად აქვს ჩხუბსა და გაუგებრობას ადგილი, რაც ხელს უშლის კოლექტიურ-ორგანიზაციულ შრომა თამაშს; უფრო მეტად ჩხუბი მოსდით თავისივე ჯგუფის ბავშებთან, უფროს ჯგუფს მორიდებით ექცევიან, პატარებისადმი მზრუნველობას იჩენენ. საგრძნობად წაიწია წინ ყველა ბავშმა მეტყველებაში; ყოველდღიური ბაასის საშუალებით დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ბავშები გაცილებით უფრო მკაფიოდ გამოსთქვამენ აზრს, შედარებით სწორად ხმარობენ წინადადებებს, ახალი სიტყვების მარაგი გაუმდიდრდათ. საგრძნობი წინსვლა ემჩნევა ილოს, რომელიც წინათ

თითქმის ვერ ლაპარაკობდა. თხრობის სურვილი აქვს მხოლოდ განსაზღვრულ რიცხვს (ტარიელი, ბიჭიკო, სულიკო, გივი, ეთერ სონღულაშვილი), დანარჩენებს გაუბედაობა ახასიათებს. ძირითად ფერებში ყველა ერკვევა, მცირე გამონაკლისით. ელფერებს ყველა ვერ არჩევს. თვლაში უმეტესი ნაწილი დასახულ მიზანს აჭარბებს: იციან თვლა 20-ზე ზევით. მიმატება-გამოკლება 10-ის ფარგალში რამდენიმე ბავშს შეუძლია. ძლიერია ანგარიშში ლეილა, ჯილდა, გივი; თვლაში სუსტია შოთა სულაქველიძე. ქეთო მეტრეველი. ბუნებრივ გარემოში საკმარისად ერკვევიან; ერევათ მხოლოდ ოთხი დროს სახელი, არჩევენ ყოველ დროს მათი სეზონური თვისებების მიხედვით (ზამთარს ახასიათებს თოვლი, ყინვა, ზაფხულს—სიცხე და სხვა და სხვა.). იციან დღეების სახელები უწესრიგოდ, ზოგი თანმიმდევრობით ასახელებს კვირის დღეებს.

საბავშო ბაღის რეჟიმი კარგად ახსოვთ, იციან ცალკ-ცალკე რეჟიმის მომენტები—დრო (საუმზის, სადილის, დასვენების, მუშაობის და შინ წასვლის). ყოველი გადახვევა ჩვეულებრივი რეჟიმიდან ბავშებში კითხვებს იწვევს. გამოხატულებითს შემოქმედებაში გაირჩევიან თავისი განსაკუთრებული მხატვრობით ხიც (რომლის ნახატებში ბევრი მოქმედებაა) და სულიკო (ორიგინალურად საგნების გამოძერწვა). ხატვა და ძერწვა, მათივე სურვილით, ხშირად ეძლევათ ბავშებს, ახალისებთ გამოჭრა-დაწებება. გოგონები ხშირად ხატავენ ყვავილებს, ოჯახურ გარემოს; ბიჭების ფანტაზია უფრო შორს მიდის—ნადირობა, გემები, ავტომობილები, ჰაეროპლანები და სხვა შეადგენს მათი მხატვრობისა და ძერწვის თემებს. ჯერ კიდევ არ ეტყობათ სიმტკიცე მაკრატლის ხმარებაში, დასაწებებელ საგნებს ხშირად გუმირაბიკით სთხუპნიან. თავისუფალი თამაშის დროს გოგონები მიბაძავენ უფროსებს; ხშირად თამაშობენ მასწავლებლობას, ოჯახობანას; ბიჭები თამაშით გამოხატავენ მეზღვაურებს, ყაჩაღებს, მონადირეებს და სხვა. თამაშობების ორგანიზატორები არიან გოგონებში—ნინო ხოსროშვილი, ეთერ სონღულაშვილი, ბიჭებში—ტარიელი, სულიკო, ბიჭიკო; დანარჩენები სავსებით ემორჩილებიან თავის მეთაურებს. რამდენიმე ბავში გარკვეულად კითხულობს. თავისი ამხანაგების სახელებს (ეთერ ცხომელიძე, ივლიტა, ნანუ, ეთერ სონღულაშვილი და სხვ.). საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამომჟღავნების მხრივ წარმოდგენა აქვთ ოქტომბრელზე, პიონერზე, ლენინზე, როგორც მუშებისა და ბავშების მოყვარულ ადამიანზე, იციან, რომ ის უკვე გარდაიცვალა; მე-III ჯგუფთან ერთად მღერიან რევოლუციონურ

სიმღერებს, ლენინზე—სამგლოვიარო სიმღერას („ოქტომბრის ყვავილები“, „საბავშო ინტერნაციონალი“); უყვართ ბაღში მოსიარულე პიონერები, რევოლუციონური უქმეები სიხარულის ემოციებს იწვევს მათში. სიამოვნებით ესწრებიან მოზრდილთა ჯგუფის მიერ გამართულ უქმეებს.

პედაგოგიური ამოცანები ამ დროისთვის

I. კონკრეტული გარკვევა ბუნებრივ გარემოში—გაზაფხულზე ბუნების გამოცოცხლებაზე დაკვირვებით. გაზაფხულის დამახასიათებელი თვისებები: თბილი დღეები, გაზაფხულის მახარობელი მერცხალი, სხვა ჩიტების მოფრენა თბილი ქვეყნებიდან. გაზაფხულის პირველი ყვავილები—ია, ენძელა.

2. შინაური ცხოველებისა და ფრინველების ცოდნა—მათი ჩვეულებები, რა სარგებლობა მოაქვთ ადამიანისთვის; ჩვენი ბაღის ყვავილებისა და ხეების სახელების ცოდნა.

3. შრომითი ჩვევების გაღრმავება ბოსტანში საგაზაფხულო მუშაობით.

4. უკვე ნაცნობი ფერების გამოყენება ბუნებრივ გარემოში (კონკრეტულ მასაზე).

5. მეტყველების გამდიდრება ბაასით, პატარა ლექსების თქმა ბავშების მიერ.

6. მიმატება-გამოკლება 10-ის ფარგალში (კონკრეტულ მასალაზე).

7. სანიტარულ-ჰიგიენური ჩვევების მტკიცედ შეთვისება სანიტარულ კუთხეში მორიგეობით.

8. სადურგლო მუშაობა: ჩაქუჩის, ხერხის და გაზის მიზანშეწონილად ხმარება.

9. სოციალურ-ყოფა-ცხოვრებითი ორიენტირება — წარმოდგენა მაისზე, როგორც მშრომელთა საერთო დღესასწაულზე, კოლექტიური შრომის გაცნობა (ექსკურსია ღუნვილი ავეჯის ქარხანაში). ტრამვაიზე მომუშავეების ცნობა — კონდუქტორი, ვატმანი; მჭედლის შრომაზე წარმოდგენა (ექსკურსია მახლობელ სამჭედლოში), წარმოდგა ოქტომბრელზე და პიონერზე, მათი წესდების პრიმიტიულად გაცნობა.

10. მოძრაობითი ჩვევების გასავითარებლად და მუსიკალური აღზრდისათვის—მეტი რიტმული თამაშობანი მუსიკით, თამაშის რიტ-

მის დაცვით. სმენის და ყურადღების გასავითარებლად პატარ-პატარა მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა. ინსცენირობა ფრინველების, პეპლების და ნაცნობი ცხოველების (მუსიკით).

მთავარი ორგანიზაციული მომენტები

1. საგაზაფხულო მუშაობა ბოსტანში (15/III—7/IV-მდე).
2. 1 მაისი—ყველა მშრომელთა დღესასწაული (20/IV—1/V-მდე).
3. სანიტარულ-ჰიგიენური კუთხის მოწყობა ჩვენი საბავშო ბაღის ეზოში (7/V—17/V-მდე).

ცვლილება ბავშთა ცხოვრების რეჟიმში

იხილე I ჯგუფის გეგმაში

მუშაობის შინაარსი

1. ჩვენი ბაღის ყოფილი ბოსტნის გაწმენდა-გასუფთავება (ხმელი ფიჩხების, ქვების, გამხმარი ფოთლების აღება). მე-II და მე-III ჯგუფისთვის ერთი საბოსტნე ადგილის მიცემა; კვლების დაყოფა, შემოლამაზება, მიწის დაფშვნა; სიმინდისა და ლობიოს რიგ-რიგობით კვლებში დათესვა (წვრილ თესლს სთესავს მე-III ჯგუფი). სახელოსნოში პატარა საზიდების და ფირფიტების დამზადება (ზედ დათესილი ბოსტნეულის სახელების წარწერით). შესაფერის ადგილზე ფირფიტების ჩარჭობა. ყოველ დილით ნათესების მორწყვა, გაწმენდა ზედმეტი, მავნე ბალახებისგან. ამოსული ბოსტნეულის სახელების სწორი დასახელება, მისი ჰრაქტიკულად გამოყენება საბავშო ბაღის ცხოვრებაში—მწვანილი სადილის დროს, სხვადასხვა მხალეულობა სადილზე. ექსკურსია ვერის ბაღებში ავტომობილით—ლამაზად ჩამწკრივებული კვლების უფრო ახლოს ნახვა, გაზაფხულის მდიდარ ბუნებასთან უშუალო დაახლოება. ცნობა და გარჩევა სხვადასხვა ბოსტნეულის (ფერის, ფორმის, სუნისა და სიდიდის მიხედვით).

2. 1 მაისისთვის ბავშების წინასწარი მომზადება: მათი ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით 1-ლი მაისის მნიშვნელობის გაცნობა, მშრომელების შრომის გაცნობა (მათი შრომა წინათ და ეხლა, სამუშაო დღის ხანგრძლივობა). ამ დღისთვის ბინის მორთვა შესაფერისად მე-III ჯგუფთან და პიონერებთან ერთად. წითელი დროშების დამზადება ამ დღისთვის. უქმის ჩასატარებლად კომისიის გამოყოფა, საჭირო მასალის თავის მოყრა ბინის მოსართავად.

სტუმრების გასამასპინძლებლად მე-III ჯგუფის კომისიისთვის წევრის გამოყოფა. ექსკურსია ღუნვილი ავეჯის ქარხანაში. მუშების დაპატიჟება დღესასწაულზე; მათთვის საჩუქრების დამზადება (წითელი ვარსკვლავები წარწერით: „I საბ. ბაღი"). უქმის ჩატარება.

სანიტარულ-ჰიგიენური კუთხის მოწყობა ჩვენს ეზოში

მთელი მუშაობის თანდათან ეზოში გადატანასთან დაკავშირებით ეზოს ერთ კუთხეში ჰიგიენური კუთხის მოწყობა: პირსაბანის ამოტანა ეზოში, ყველა ჯგუფისთვის პირსახოცების დასაკიდის ადგილის მიჩნევა, თვალ-ყურის დევნება ყველა ჯგუფზე—საუზმის და სადილის წინ ხელების დაბანა; მუშაობის წინ ქვიშით გასვრილი ხელების და ტანისამოსის გასუფთავება; ყოველ შაბათობით ყველა ჯგუფს უნდა მოაგონონ ჭუჭყიანი პირსახოცებისა და ხელსახოცების შინ წაღება; ორშაბათობით სუფთად მოსვლის მოთხოვნა, სუფთა პირსახოცებისა და ხელსახოცების მოტანა. ფრჩხილებისა და ყურების გასინჯვა ყოველ ორშაბათს ყველა გჯუფში. საერთოდ მთელი ეზოს სუფთად შენახვა, ქაღალდების და სხვა ნაგვის დაყრის აკრძალვა.

მეთოდები

1. **მიზანი**—შრომითი ჩვევების გაღრმავება ბავშებში. ბოსტანში მუშაობით ბუნებასთან უშუალო დაახლოება.

2. **სტიმული**—ბავშების ბაასი ბოსტნის გარშემო და ხელმძღვანელის წინადადება.

3. **მუშაობის ორგანიზაცია**. ბავშების მთელი შემადგენლობა, მუშაობის მიხედვით, იყოფა სამ თანასწორ ჯგუფად ბოსტნის ადგილის გასაწმენდად. **პირველი ჯგუფი** ფოცხებით და ცოცხებით ასუფთავებს ბაღს ხმელი ფიჩხებისა და ფოთლებისაგან, აგროვებს ერთ ადგილას; **მეორე ჯგუფი** საზიდზე ყრის მოგროვილ ნაგავს, **მესამე ჯგუფს** საზიდებით მიაქვს ნაგავი ერთ მიჩნეულ ადგილას. მოგროვების შემდეგ ნაგავს ცეცხლს წაუკიდებენ. ბოსტნის დათესვის დროსაც იგივე დაყოფა ხდება. პირველი ჯგუფი ბავშებისა საბოსტნე ადგილს კვლებად ყოფს, დამიჯნავს (4—5 კვალი), მე-II ჯგუფი პატარა ბარებით მიწას დაფშვნის, მე-III ჯგუფი კი თესლებს დათესავს, ნათესებთან ფირფიტებს ჩაარჭობს. ბოსტნის დათესვის შემდეგ მოვლა პატრონობაში ბავშები იყოფიან კვლების რიცხვის მიხედვით; ყოველ ჯგუფს თავისი კვალი აქვს მოსავლელი: ჯგუფის ბავშები რიგ-

რიგობით რწყავენ კვლებს, ასუფთავებენ ბალახებისაგან, აკვირდებიან ნათესების ამოსვლას. გამოყოფილი კომისია ანაწილებს ჯგუფებში დასათესად საჭირო თესლს.

ხელმძღვანელის როლი. შველის ბავშებს მუშაობის განაწილებაში, თვალ-ყურს ადევნებს მუშაობის ბოლომდე მიყვანას; ბავშების წასახალისებლად, ასამოქმედებლად, მაგალითისთვის თვითონაც აქტიურ მონაწილეობას იღებს ყოველ გვარ საჭირო მუშაობაში.

1 მაისის დღესასწაული

მიზანი—მიეცეს ბავშებს კონკრეტული წარმოდგენა I მაისზე, როგორც ყველა მშრომელის შემაერთებელ დღეზე.

სტიმული—საერთო დღესასწაული.

მუშაობის ორგანიზაცია. I მაისის დღისთვის მწვანით რთავენ ლენინის სურათს, რთავენ ბინას. მონაწილეობას იღებენ მე-II ჯგუფის ჟურნალში თავისი ნახატების მოთავსებით. ხელმძღვანელის დავალებით არჩევენ თავისი ნახატებიდან შესაფერის ნახატებს; ათავსებენ მე-III ჯგუფის ეიერ დაარსებულ სადღესასწაულო ჟურნალში. თავისი ჯგუფისთვის ამზადებენ წითელი ქაღალდებისაგან დროშებს გამოყოფილი კომისია პატიჟებს მუშებს თავის ბაღში, ურიგებს საჩუქრად პატარა წითელ ვარსკვლავებს ზედ წარწერით: „I საბავშო ბაღი“. ამ დღეს მე-III ჯგუფთან ერთად მე-II ჯგუფი ჩაატარებს უქმეს. ბავშები ნაწილდებიან კომისიებში: სამნეო, სტუმრების მომწვევი, ბინის მომრთავი და სხვა.

ხელმძღვანელის როლი. უქმის ჩასატარებლად აწესრიგებს სხვადასხვა დავალებებს კომისიებში (ინდივიდუალურად).

სანიტარული კუთხე

მიზანი—ჰიგიენური ჩვევების გაღრმავება ბავშებში.

სტიმული — სისუფთავის და წესრიგის მოთხოვნილება ყველა ჯგუფში და ხელმძღვანელის წინადადება.

მუშაობის ორგანიზაცია. ყოველდღიურად ირჩევენ სამ მორიგეს, რომლებიც ინაწილებენ შემდეგ სამუშაოს: ყოველ დილით მათ მიერ პირსაბნის დათვალიერება, შიგ წყლის ჩასხმა, შემოწმება, ადგილზე ჰკიდია თუ არა ბავშების პირსახოცები, მოდიან თუ არა ბავშები სუფთად. მორიგეები უკრძალავენ ბავშებს ეზოს დანაგვიანებას (მორიგეებს ირჩევენ ერთი დღით).

ხელმძღვანელის როლი. ახსენებს მორიგეებს მათ მოვალეობას, შველის მათ მუშაობის ორგანიზაციულად ჩატარებაში

მასალა

ბოსტანში სამუშაოდ. პატარა ბარები, ფოცხები, პატარა ცოცხები; ფიცრები ფირფიტებისა და საზიდების დასამზადებლად; სხვადასხვა თესლეულობა. პატარა სარწყავები. მოთხრობა: „ჩვენი ბოსტანი“ („ნაკადული“-დან), „გომბეშო“ (რუსულიდან გადმოკეთებული).

1 **მასალისთვის.** ბინის მოსართავად—მწვანეულობა, ლენინის სურათები, წითელი დროშები, მუშებს საჩუქრად წითელი ვარსკვლავები, **სიმღერები**—„გაზაფხული“ (ხალხურ კილოზე), „დღეს პირველი მაისია“ (თ. შავერზაშვილი), „ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ“ (ხალხურ კილოზე). **მოძრავი თამაშობანი**—„კურდღელი და მონადირე“—ვალსი № 2 (Дворак); „ოქტომბრელების გადარბენა“—არაყიშვილის რომანსი („შენ ჩემი ვარსკვლავი ხარ“). „ცხენობანა“—შოპენის ბალადა, № 2, პირველი ნაწილი; „დათვები და კურდღლები“—აიდის—ეფიოპების ცეკვა.

მუსიკის მოსასმენად—„ჩიტების მოფრენა“—მუსიკა გრიგის; „ბაყაყები“—პოლკა, „ქარი და ხეები ტყეში“—შოპენის ეტიუდი.

თხრობის მასალა—მოთხრობა „თინიკოს I მაისი“ (რუსულიდან გადმოკეთებული), „ძალა ერთობაშია“ („წითელი სხივი“-დან), „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის“ (რუსულიდან გადმოკეთებული).

სანიტარული კუთხის—პირსაბნები, პირსახოცების დასაკიდი, ეზოს გასასუფთავებლად პატარა ცოცხები, ნაგვის ყუთი: მე-III ჯგუფის მიერ დამზადებული პლაკატები წარწერით: „დაიცავით სისუფთავე“.

საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობა

იხ. I ჯგუფის გეგმაში.

III ჯგუფი [1])

ცვლილებები გარემოში საბავშო ბაღის გარეშე

იხ. I ჯგ. გეგმა

ცვლილება ბავშთა კოლექტივში და თვით საბავშო დაწესებულებებში

წარსულ კვარტალში დამუშავებული ორგანიზაციული მომენტების ძირითადი მიზანი,—ჰიგიენურ-კულტურული, კოლექტიური, სოციალისტური, შრომითი, ყოფა ცხოვრებითი და ფორმალური ცოდნის მიმართულებით კოლექტივის დონის აწევა,—მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. ორგანიზაციული მომენტები ბავშების ძალ-ღონის შესაფერისი იყო, თვით ბავშები აქტიურ მონაწილეობას იღებდენ მათ აგეგმვა-ალრიცხვაში, რამაც ბავშების ამოქმედების ფართოდ გადაშლას ხელი შეუწყო, გააღრმავა მათი გამოცდილება, შეჰქმნა ჯგუფში სოლიდარობა, მიაჩვია ბავშები მიზანდასახულ მუშაობას, მაგრამ ჯერჯერობით კიდევ ვერ არის დაძლეული თავისუფალი დაჯგუფების დროს ვაჟებისა და ქალების ცალკ-ცალკე ჯგუფებად გამოყოფა. პროგრამის ფარგლებში ჩვევები და ფორმალური ცოდნა ჯგუფის მიერ შეთვისებულია (არ აქვთ შეთვისებული შოთასა და მიტოს—ძმებს, რომელნიც წელს შემოვიდენ საბავშო ბაღში; მათი ჰიგიენის და კოლექტიური ჩვევები და მეტყველების დონე მე-III ჯგუფის მოთხოვნილებას არ შეესაბამება). სუსტივე დარჩენ თამარა და შალიკო პედოლოგიური და პედაგოგიური შემოწმების მიხედვით, რაც შემოდგომაზე იქნა ჩატარებული; ისინი საერთო განვითარების მხრივ $1^1/_2$ წლით ჩამორჩებიან თავის წლოვანებას; თამრიკოს ემჩნევა შრომის ჩვევებში აქტივობა და შალიკოს წინსვლა წერა-კითხვაში და ზეპირ თვლაში. ქეთო, საერთო მომზადების მხრივ, საშუალო ბავშთა რიცხვს ეკუთვნის, ხოლო მისი სასიცოცხლო ძალები მოდუნებულია, მისი ინდიფერენტობა თამაშისადმი ზამთრის განმავლობაში უფრო გაიზარდა, მიზეზი პედაგოგებმა და ექიმმა ვერ გამოსძებნეს (ბავში დაიბადა და ამჟამადაც ცხოვრობს ნოტიო უმზეო ბინაში). ჯგუფის თავისუფალი თამაში და მშენებლობა ზამთრის განმავლობაში ღარიბი და უფერული იყო (მიზეზი: ბავშთა დიდი რიცხვი, ბინის სივიწროვე).

---

[1]) ჯგუფში წრეულს 45 ბავშია: 8 წლ.—1, 7-ის—37, 6-ის—7.

ცვლილებანი საბავშო ბაღის გარემოში და პედაგოგიური ამოცანები

იგივე, რაც I ჯგუფში.

ფიზიკური აღზრდა

ბავშების ფიზიკური გაჯანსაღება (იხ. ექიმის გეგმა).

სანიტარულ-ჰიგიენური წესების შემუშავება, მათი დამოუკიდებლად შესრულება; ქვიშით, მიწით თამაშისა და შრომის შემდეგ ხელების აუცილებლად დაბანვა, ტანისამოსის სუფთად შენახვა.

საერთო მოძრაობათა გართულება: თავისუფალ თამაშს დაერთოს მეტი საათები, ორგანიზაციულად მოწყობილი სირბილი, ხტუნვა თოკზე (ტრიალის დროს), ხეზე ასვლა, ამერიკულ კიბეზე თოკზე ხელის მოჭიდებლად არბენა, ბოძზე სიარულის დროს წონასწორობის შენარჩუნება.

შრომითი აღზრდა

საგაზაფხულო მუშაობის ფონზე ბავშებში მიზანდასახული და ორგანიზაციული შრომის მოწყობის უნარის გაფართოება: 1) მაწის ნაკვეთის დამუშავება, 2) ბოსტნის იარაღის სწორი მოხმარება: ა) ბარის სწორედ დაჭერა ფხვიერი მიწის დაბარვის დროს, ბ) საზიდზე ნიჩბით დაყრა (დაუფანტავად) მიწისა და პატივისა და დანიშნულ ადგილზე გადატანა, გ) დამოუკიდებულად და ტანისამოსის, ფეხსაცმლის დაუსველებლად სარწყავად დანიშნული კვლის ზომიერად მორწყვა, 3.) ორგანიზაციული მომენტების დასამუშავებლად საჭირო მასალისა და ნივთების დამზადება, 4) დაბრკოლებათა გადალახვით შრომის პროცესის ბოლომდე მიყვანა: ბოლომდე გამარგვლა, მავნე მწერების მოსპობა, 5) შემაკავებელი რეფლექსის განვითარება: სამეურნეო და მიწის ნაკვეთზე პატარების მუშაობაში ჩარევა მხოლოდ საჭიროების დროს (საერთოდ ჩვენ უფროს ბავშებს ვამჩნევთ, რომ მორიგეობის დროს უმცროს ბავშებს ჯგუფში თავისი ზედმეტი დახმარებით ხელს უშლიან უმცროს ბავშებს აქტივობის გამომჟღავნებაში).

ბუნების სფერო

1. ბავშების ყურადღების მიმართვა ბუნების გამოცოცხლებასა და მზის სითბოს შორის დამოკიდებულებაზე: დღის გადიდება, მზის სხივების მეტი სიცხოველე, თოვლის, ყინულის დნობა, რუები, კვირტების გაფუება-გადაშლა, ფრინველების მოფრენა, მწერების ამოძრავება.

2. ბუნების მოვლენებზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და კვლევა-ძიების უნარის გაღრმავება ბავშებში; ცდები: წყლის, სინათლისა და სითბოს მნიშვნელობა მცენარის ზრდისთვის. დაკვირვება აბრეშუმის ჭიის ზრდაზე, ბაყაყის ქვირითის განვითარებაზე, წიწილის გამოჩეკასა და თესლის ამოსვლაზე.

3. ბავშების გარკვევა ზოგიერთ მათთვის ნაცნობ ცხოველთა და მცენარეთა მნიშვნელობაში ადამიანისთვის: კულტურული მცენარე, სარეველა მცენარე, ბოსტნის მტერი და მოყვარე.

საზოგადოებრივ-კოლექტიური აღზრდა

1. ბავშებში საზოგადოებრივი კოლექტიური მიმართების გაღრმავება: 1 მაისის უქმის მოწყობა.

2. ბავშების მიერ თავისი უნარის, ცოდნის და გამოცდილების მოხმარება საბავშო მოედნის მოწყობაში.

ორიენტირება ზომებში: მეტრის, სანტიმეტრის, კილოგრამისა და გრამის პრაქტიკულად გამოყენება (კვლების გადაზომვა, სანოვაგის აწონა).

ორიენტირება დროში: გაზაფხულის თვეების ცოდნა. დღის ნაწილები: დილა, შუადღე, საღამო. დღის განსაზღვრა დროსთან დაკავშირებით.

ფორმალური ცოდნა, წერაკითხვა, ანგარიში: ჯგუფის ბავშებთან მუშაობის გაგრძელება მათი ცოდნის ერთ დონეზე ასაყვანად, სკოლაში გადასასვლელად (მთელი ჯგუფი, გარდა 6 წლის 7 ბავშისა, ენკენისთვეში გადავა შრომის სკოლაში. ამ მიზნით განსაკუთრებული მუშაობა უნდა ჩატარდეს თამრიკოსა და შალიკოსთან. ყველა ჩვევისა და განსაკუთრებით კი მეტყველების განსავითარებლად—ინდივიდუალური მუშაობა მიტოსა და შოთასთან. ქეთოს შემოწმება დისპანსერში.

ორგანიზაციული მომენტები

1. მიწის ნაკვეთზე შრომის ორგანიზაცია: მოწყობა ა) სანერგის, ბ) ბოსტნის და გ) ყვავილნარის (15/III—15/IV-მდე).

2. 1 მაისის უქმის მოწყობა (20/IV—1/V-მდე).

2. საბ მოედნის მოწყობა (5/V—1/VI-მდე).

მუშაობის შინაარსი

I ორგანიზაციული მომენტი.

ზამთრის უქმეს ჩატარების შემდეგ ჯგუფის ოთახიდან ზამთრისთვის დამახასიათებელი ნამუშავრის ალაგება-შენახვა. გაზაფხუ-

ლის ბუნების დღიურის დამზადება, კედელზე გაკვრა. დილის ბაასის დროს ბავშების გამომჟღავნებაზე შეჩერება გაზაფხულის შესახებ, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ამ დღისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი მომენტის შერჩევა და მისი შეტანა ბუნების დღიურში, დავალებების შესრულება: 1) ჩვენს ბაღში იასამნის კვირტიანი ტოტის მოჭრა და წყლიან ჭიქაში ჩადება; ამავე მიზნით სახლიდან ქლიავის, ტყემლის, ნუშის და ატმის კვირტიანი ტოტების მოტანა ბავშების მიერ, 2) ქათმის კვერცხების მოგროვება, კრუხის დასმა, 3) მებაღისათვის რჩევის კითხვა, თუ როდის უნდა იქნეს გამოტანილი ოთახის მცენარეები გარეთ, ბაღში, 4) აბრეშუმის ჭიის თესლის თავის დროზე მომარაგება (დავალებები ბავშებს ეძლევა თანდათანობით, დროსთან შეფარდებით). ექსკურსია სახკომსაბჭოს ბაღში, დათვალიერება და დაკვირვება სანერგეზე, მებაღისგან რჩევის მიღება, თუ რადარა ბოსტნეული და ყვავილი დამზადდეს სანერგედ, როგორი ხარისხის მიწაა საჭირო. კრება სანერგის მოწყობის შესახებ: თესლის მომარაგება, მიწის დამზადება, ყუთების გაკეთება, დათესილის მოვლა. ცდები ჯეჯილის დათესვაზე: 1) კარგ სინათლიან ადგილას, კარგი მოვლით, ა) ბნელ ადგილას, გ) კარგ ადგილას, მაგრამ მოურწყავად. კრება პიონერთა და საბავშო ბეღის მე-II ჯგ. წარმომადგენელთა თანადასწრებით — მიწის ნაკვეთის დამუშავების გამო: მებაღის მოწვევა ხეების, ვარდის, იასამნის შესაკრეჭად, მოჭრილი ტოტების დაგროვება მშენებლობისათვის, ბაღის გასუფთავება, ექსკურსია ვერის ბაღში, მოზრდილთა მიერ კოლექტიურად დამუშავებული ბოსტნის დასათვალიერებლად, იქვე, ვერის მდინარიდან, პიონერების დახმარებით ბაყაყის ქვირითის შეგროვება, ქილაში ჩადება, დაკვირვება ბაყაყის ზრდაზე. პიონერთა რგოლისა და მეეზოვეს მიერ ბაღის გადაბარვა. დაბარული ბაღის ჩაბარების შემდეგ ჯგუფის ბავშები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მუშაობაში: I—II—III ჯგუფის ბოსტნის და ყვავილხარისთვის მიწის ნაკვეთის შერჩევა, განაყოფიერება, გაფხვიერება, გაზომვა, კვლების გაკეთება, შემოდგომაზე შენახული თესლის გადასინჯვა, დამატებით ახლის შეძენა, საჭირო იარაღის აღრიცხვა-შეკეთება კომისიების ძიერ, ახლის შეკვეთა-შეძენა; ბოსტნეულობის და ყვავილების დათესვა, გადარგვა, ფირფიტების დამზადება წარწერით. მორწყვა, გამარგვლა, მავნე მწერების მოშორება, ამოსულზე დაკვირვება, ამოსულის გამოყენება ყოველდღიური საჭიროებისათვის. პასუხისმგებელი ამხანაგების გამოყოფა მთელი ბოსტნისა და საყვავილეს დაცვის მიზნით. ხატვა, ძერწვა, ქაღალდზე გამოჭრის ირგვლივ დავალებები: 1) ჩვენი ბოსტანი გაზაფხულზე, 2)

ბოსტნის იარაღის გამოძერწვა, ხისგან გაკეთება, 3) გაზაფხულის ალბომის შედგენა, 4) ბავშვების ჩვეულებიდან შერჩეული ლექსების და მოთხრობების I და II ჯგუფისათვის პატარა წიგნაკებად გაკეთება.

II ორგანიზაციული მომენტის მუშაობის შინაარსი

კრება პიონერებთან ერთად: ბაასი I მაისის მნიშვნელობაზე, დღესასწაულის მომზადებისა და მისი ჩატარების მიზნით მუშაობის აგეგმვა. სადღესასწაულო მასალის დამზადება ჟურნალისთვის, პლაკატების გაკეთება, ოთახის მოსართავი მასალის დამზადება რევოლუციონური ლექსების და სიმღერების გამეორება, ახლების შესწავლა. ექსკურსია ღუნვილ ავეჯის ქარხანაში, მუშების კოლექტიური შრომის სანახავად და ოქტომბრელთა კოლექტივში მათი ორგანიზაციის გასაცნობად. სტუმრების დაპატიჟება, უქმის ჩატარება, მისი გამეორება ინვალიდების სახლში.

III ორგანიზაციული მომენტი

საერთო კრება პიონერთა რგოლის თანადასწრებით, ხელმძღვანელის წინადადება: მოვუწყოთ მეზობელ ბავშვებს, რომელნიც ვერ მოხვდენ საბავშო ბაღში და არა ჰიგიენურ პირობებში თამაშობენ, სათამაშო ადგილი—„საბავშო მოედანი“. მიზნის გაგების შემდეგ მომავალი მუშაობის გათვალისწინება—აგეგმვა: სტუმრად მისვლა იმ ბავშვებთან, რომლებიც ჩვენს პირდაპირ ეზოში იყრიან ყოველდღე თავს, მათი სტუმრად მოყვანა საბავშო ბაღში მთელი დღით. მოედანზე მორიგეობის წესის შემუშავება (დღეში ორი ბავში მორიგეობს, ყოველ მოვარჯიშესთან ერთად, დილის 10 საათიდან 12 საათამდე); კუთხეების მოწყობა: ქვიშის, თიხის, ხატვის, მშენებლობის (ქვები, ჯოხები, მიწა), სანიტარია-ჰიგიენის (პირსაბანი, სანაგვე, პირსახოცების დასაკიდის გაკეთებით); კომისიების გამოყოფა: 1) ვარჯიშის ჩამტარებელი, 2) სიმღერის, 3) ორგანიზაციული თამაშის, 4) თხრობის. უქმის გამართვა მოედანზე. საერთო გასეირნება ბუნებაში.

მუშაობის მეთოდი

I. ორგანიზაციული მომენტის გარშემო:

სტიმული—ბავშვების უშუალო დაკვირვება ბუნების გაღვიძებაზე, მიწის ნაკვეთზე მათი მუშაობის სურვილი.

მიზანი — საგაზაფხულო ბუნების მოვლენებზე დაკვირვების, კვლევა-ძიების უნარის და ბუნებაში შრომის ჩვევების გაღრმავება.

მუშაობის ორგანიზაცია—უმთავრესად მთელი ჯგუფის პატარ-პატარა რგოლებად დაყოფის მეთოდი. ბავშვები წინასწარ მსჯელობენ, გეგმავენ მუშაობას, ამზადებენ საჭირო იარაღს, მასალას, გზადაგზა საერთო კრებაზე აღრიცხავენ ჩატარებულ მუშაობას.

ხელმძღვანელის როლი—ხელმძღვანელი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს მუშაობაში, თვალს ადევნებს მუშაობის სწორად შესრულებას, შველის საკითხის შეთანხებით გადაწყვეტაში, მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვაში, იღებს მონაწილეობას საჭირო მასალა-იარაღის მომარაგებაში.

II ორგანიზაციული მომენტის მუშაობის შინაარსი

სტიმული—ბაასი მომავალ უქმეზე.

მიზანი—საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართების განმტკიცება.

მუშაობის ორგანიზაცია
ხელმძღვანელის როლი } იგივე, რაც I ორგანიზაც. მომენტში.

III ორგანიზაციული მომენტი.

სტიმული—ხელმძღვანელის წინადადება საბავშო მოედნის მოწყობის შესახებ.

მიზანი—საზოგადო საქმიანობაში მონაწილეობის მიღება.

მუშაობის ორგანიზაცია
ხელმძღვანელის როლი } იგივე, რაც I ორგანიზაციულ მომენტში.

მასალა

I ორგანიზაციული მომენტი.

მოთხრობა:
1) „აბა ერთი შევიხედო“—ნ. უთურგაურის („ოქტომბრელი“, № 3, 1928 წ).
2) „ბოსტანა“ („შრომა და ცოდნა“).
3) „ჩვენი დარაჯები“ (იქიდანვე).

სიმღერა:
1) „გაზაფხული“ — სიტყვები გრიშაშვილის, მუსიკა ს. ტერიევის.
2) „ვაშა და ვაშა გაზაფხულსა“—მუსიკა შარაბიძის.

მუსიკის მოსმენა:
1) „გაზაფხული“—დე-ბიუსის.
ბავშვების ორკესტრისთვის—მისივე „მუსიკოსები“.

II ორგანიზაციული მომენტი.

მოთხრობა:	1) „პატარა შრომის შვილი“—ლ. ქიაჩელის.
	2) „გიგას გაზეთი“ („ჩვენი შრომა“).
სიმღერა:	1) დღეს პირველი მაისია—შავერზაშვილის.
	2) „ყვავილები ვართ“— შარაბიძის,
	3) „ბავშთა ინტერნაციონალი“.
ორკესტრისათვის:	ნაწყვეტი—ვალსი შოპენის, № 7.
მუსიკის მოსმენა:	„ჩიტები ტყეში“ (ნაწყვეტი).

III ორგანიზაციული მომენტი.

მოთხრობა:	„მეგობრის განთავისუფლება“ („შრომა და ცოდნა“).
სიმღერა:	1) „ციცინათელა“ – შავერზაშვილის.
	2) „მერცხალი“—მისივე.

ცვლილება დღის რეჟიმში, პედაგოგიურ-კოლექტ. და საზოგადო პედ. მუშაობა იხ. I ჯგ. გეგმაში.

კულტურული რევოლუცია და სახელმძღვანელო ლიტერატურა.

საბჭოთა სკოლის მიზანი, ამოცანები და მუშაობის სისტემა სოციალიზმის შენების ძირითადი პრობლემებით განისაზღვრება: საწარმოო ძალთა სწრაფი ტემპით განვითარება, სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია და სოციალისტურ ნიადაგზე გადაყვანა; სასოფლო მეურნეობაში მსხვილი კოლექტიური მეურნეობის მაქსიმალური გაძლიერება, როგორც სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალური განვითარებისა და სოციალისტურად გარდაქმნის გზა; მუშათა კლასი-და უღარიბესი და საშუალო გლეხობის კავშირის გაძლიერება სოფლისა და ქალაქის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ; კულტურული რევოლუცია, რომლის უმთავრესი აზრი ახალი ადამიანის აღზრდაში მდგომარეობს, ისეთი ადამიანის და ისეთი მასების, რომელნიც აღჭურვილი იქნებიან მეცნიერული დიალექტიურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობით, კოლექტივისტური განწყობით, ახალი მორალით, სოციალიზმის შენებისათვის საჭირო ცოდნითა და უნარით. გარდამავალს პერიოდში ასეთია სოციალისტური მშენებ-

ლობის მიერ წამოყენებული მთავარი პრობლემები, რომლებიც პედაგოგიურ მუშაობასაც ედება საფუძვლად. ამ პრობლემების მიმართულებით ეწყობა მთელი პედაგოგიური პროცესი, იგივე პრობლემები განსაზღვრავს სკოლის პროგრამებს, სახელმძღვანელო ლიტერატურის მიზანდასახულობასა და შინაარსს.

აღზრდის ახალი მიზნების განაღდების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა სკოლის სახელმძღვანელო ლიტერატურას ეძლევა: ის პედაგოგიური პროცესის ერთ-ერთი მთავარი ფუძეა; საბჭოთა სკოლის სახელმძღვანელო ლიტერატურის შინაარსი ვერ კმაყოფილდება მარტო შესასწავლი მასალით, ცნობების განსაზღვრული ჯამით, არამედ იძლევა მუშაობის მიმართულებას, აყენებს სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს და სკოლას, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურ მონაწილეს, უადვილებს მშენებლობაში შესვლას; აყენებს გარემოზე ზექმედების საკითხებს, რომ გარემოს შეცვლისა და გარდაქმნის პროცესში თვით კოლექტიურად მოქმედი ახალგაზრდობაც გარდაიქმნას, განვითარდეს, აღიზარდოს მშენებლობისათვის. სახელმძღვანელო ლიტერატურა—გზის მაჩვენებელია ცოდნის ძიებაში, პრაქტიკული საქმიანობის უნარის შემუშავებაში, მუშაობის მეთოდებისა და ხერხების არჩევაში, საზოგადოებრივს ცხოვრებაში მონაწილეობის გზების, შინაარსისა და ფორმების დასახვაში, კოლექტიური შრომა-ცხოვრების მოწესრიგებაში.

ასე უნდა წარმოვიდგინოთ საბჭოთა სკოლის სახელმძღვანელო ანუ სამუშაო ლიტერატურის სახე.

ასეთი სამუშაო ლიტერატურის შექმნის მძიმე საქმეში ჩვენს პედაგოგიურს აზროვნებას სრულიად არავითარი მემკვიდრეობა არ მიულია და უტეხი გზის დაწყება პირველად მას უხდება. ამიტომ გასაგებია პირველი ნაბიჯების შეცდომები, თუმცა აქვე უნდა აღვიაროთ, რომ ბევრი სიძნელე უკვე დაძლეულია და შემდგომი მუშაობა გაადვილებულია.

ახალი სახელმძღვანელო-სამუშაო ლიტერატურის შექმნაში დიდს სიძნელეს წარმოადგენს არა მარტო ის, რომ მარქსისტული პედაგოგიკის კონკრეტი შინაარსი ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და ახალი სახელმძღვანელოს დაწერა-შედგენის კულტურის დონეც არ გვაქვს სათანადო სიმაღლეზე, არამედ ისიც, რომ, გარდამავალს ხანაში, ძველი და ახალი სამყაროს საზღვარზე, ახალი ცხოვრება-მიმართულებით, შინაარსით და პრაქტიკული ამოცანებით,— ჯერ კიდევ ძლიერ სუსტადაა ასახული მხატვრულს და პოპულარულ-მეცნიერულ ლიტერატურაში, ძლიერ სუსტია ახალი ლიტერატურული მა-

სალა, სახელმძღვანელოსათვის გამოსადეგი; სხვათა შორის ამითაა გამოწვეული, რომ ძველი მასალა—ძველი იდეოლოგიით, სოციალისტ-ური აღზრდის ამოცანების თვალსაზრისით შეუფერებელი, ზოგჯერ საკმაო რაოდენობით არის შესული ჩვენს სახელმძღვანელოებში; უმეტებს შემთხვევაში, ამით აიხსნება სახელმძღვანელოების იდეოლოგიური მარცხის შემთხვევები და არა წიგნის შემდგენელთა ბოროტი ზრახვებით. ხშირია ჩვენს სახელმძღვენელოებში, რომ ავტორები თვითონ ცდილობენ ნაკლის გამოსწორებას, მწერლობას ჩემულობენ და თვითონ წერენ წიგნში შესატან მასალას; მაგრამ ხშირად აქაც მარცხთან გვაქვს საქმე: უფერული, უხალისო, შინაარსით და ფორმით სუსტი,—მცირე გამონაკლისის გარდა,—ასეთია წიგნის შემდგენელთა მიერ დაწერილი მასალა.

დაგროვილი გამოცდილების მიხედვით, ხმარებაში მყოფი სახელმძღვანელოების გარშემო გამოქვეყნებული რეცენზიებისა და ზემოთმოყვანილ მოსაზრებათა საფუძველზე, სკოლის სახელმძღვანელო-სამუშაო ლიტერატურას შემდეგი მოთხოვნა უნდა წავუყენოთ:

1. თავისი შინაარსით, სოციალისტურს მშენებლობაში აქტიურად შესვლის ამოცანების დასმით და გზების ჩვენებით, სახელმძღვანელო ლიტერატურა მებრძოლი მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შემუშავებისათვის საიმედო საყრდნობს უნდა წარმოადგენდეს.

2. სახელმძღვანელოს შინაარსი გაჟღენთილი უნდა იყოს პროლეტარულ-კლასობრივი, ინტერნაციონალური და ანტირელიგიური აღზრდის ამოცანებით; ამ ამოცანების გადაწყვეტის საშუალებათ მოცემული უნდა იყოს არა მარტო შერჩეული შინაარსის მხატვრული და სხვა ლიტერატურის ნიმუშები და გასარჩევად და შესასწავლად წამოყენებული სათანადო საკითხები, არამედ, ბავშის ასაკისა და მომზადების მიხედვით, წამოყენებული უნდა იქნას სამოქმედო ამოცანები, რომ ახალგაზრდობა, ცხოვრების მშენებლობაში მონაწილეობით, სწორი მარქსისტული მსოფლხმედველობისათვის ბრძოლაში, აქტიურად უარყოფდეს რელიგიურსა და სხვა ყოველგვარს ცრუმორწმუნეობას; მუშათა კლასის ბრძოლასა და შრომაში მონაწილეობის გზით მკვიდრდებოდენ პროლეტარიატის იდეოლოგიასა და საერთა-შორისო მუშათა კლასის სოლიდარობის იდეებზე. ინტერნაციონალური, პროლეტარულ-კლასობრივი აღზრდა და სწორი მსოფლმხედველობის შემუშავება უზრუნველყოფილი უნდა იქნას ცოდნის, სათანადო ემოციების და მუშათა კლასის შრომასა და ბრძოლაში მოწესრიგებული კოლექტიური მონაწილეობის სინთეზით, იდეოლოგიის—პრაქტიკაზე დამყარებით.

3. სახელმძღვანელო ლიტერატურა მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე გარკვეულად უნდა აყენებდეს ძველი ყოფა-ცხოვრების მავნე და მიუღებელი ელემენტების აქტიურად უარყოფის საკითხებს, მათ წინააღმდეგ იწვევდეს საბრძოლველად ამ მიმართულებით, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის შინაარსსა და ფორმებს სახავდეს, ხელს უწყობდეს ახალ შეხედულებათა სრულად და ურყევად გამოვლინებას ცალკე მოსწავლის და მთელი კოლექტივის ქცევაში; ახალი ცხოვრების შენებაში მონაწილეობის გზით ახალგაზრდობა უნდა განმტკიცდეს ახალს ყოფა-ცხოვრებაზე და ახალს მორალზე.

4. სახელმძღვანელო ლიტერატურა სათანადოდ უნდა აყენებდეს სამეურნეო მშენებლობის ძირითად საკითხებს, მათი გადაწყვეტის გზებს სახავდეს, ამისათვის საჭირო ცოდნასა და მითითებებს იძლეოდეს და ახალგაზრდობის წინაშე საზოგადოებრივ-სამეურნეო მშენებლობაში მონაწილეობის ფორმებს აყენებდეს (სკოლის საზოგადოებრივი მუშაობა მეურნეობის გაუმჯობესებისა და სოციალისტურს ნიადაგზე გარდაქმნის მიმართულებით).

5. სახელმძღვანელო სამუშაო წიგნი უნდა იწვევდეს და ამოქმედებდეს მოსწავლე ახალგაზრდობას ბუნებისა და ცხოვრების მოვლენებზე დასაკვირვებლად, ;ათ გამოსაკვლევად, ცდების დასაყენებლად და დასკვნების გამოსაყვანად, იწვევდეს და აძლიერებდეს მისი მრავლენების გაგებისა და მათი გარდაქმნა-გამოყენების ინტერესს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესების მიმართულებით; ხელს უნდა უწყობდეს მოწესრიგებულ კოლექტიურ შრომას, მუშაობის ორგანიზაციული ფორმების ჩამოყალიბებას და შრომის დისციპლინაზე აღზრდას. წიგნში დაცული უნდა იყოს შრომისა და ცოდნის, თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობის პრინციპი; სკოლაში სახმარებელ ყოველ წიგნს უდა ჰქონდეს ასეთი სამუშაო ხასიათი (იქნება ის ძირითადი, თუ დამატებითი სამუშაო წიგნი). სამუშაო წიგნი—მუშაობის მიზანდასახულობას, მიმართულებასა და შინაარს უნდა ურკვევდეს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლე ახალგაზრდობას.

6. სახელმძღვანელო სამუშაო წიგნში შეტანილი და გადასაწყვეტად წამოყენებული საკითხები შერჩეული უნდა იქნას როგორც სკოლის მიზნების, ისე ბავშის ასაკის, ინტერესის და განვითარების თვალსაზრისით. ჩვენი სახელმძღვანელო ლიტერატურის ნაკლი, სხვათა შორის, იმაშიც მდგომარეობს, რომ ის თავისი შინაარსით და ფორმით ზოგჯერ არ შეეფერება ბავშის ასაკს, მომზადებასა და ინტერესს; პედაგოგიური მუშაობის ნაყოფიერების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ წიგნი ბავშს იტაცებდეს, ხალისით ამუშავებდეს.

7. სათანადო შინაარსის სახელმძღვანელო ლიტერატურა საჭირო მასალას, მუშაობის სახეებსა და მითითებებს უნდა იძლეოდეს სოციალისტური აღზრდის თვალსაზრისით შერჩეული ემოციების გაშოწვევისა და განმტკიცებისათვის; შესაბამი დანიშნულების წიგნებში უნდა გაძლიერდეს მხატვრულ-ემოციონალური ელემენტები.

8. ქართული ენის დადგენილი ნორმების უქონლობა და მოუწესრიგებელი ენობრივი გარემოცვა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს წესიერი ენის შემუშავების საქმეში; ეს გარემოება კიდევ უფრო დამახვილებულს ყურადღებას მოითხოვს სახელმძღვანელო ლიტერატურის ენის მიმართ (ამ მხრითაც ნაკლი აქვს ჩვენს სახელმძღვანელოებს). სახელმძღვანელო ლიტერატურის ენა ყოველმხრივად წესიერი, მოხდენილი და ლამაზი უნდა იყოს—სახელმძღვანელოს საშუალებით ბავში ასეთ ენაზე უნდა იზრდებოდეს.

9. შრომის სკოლის დაბალი ჯგუფების სახელმძღვანელოებში ნახსენებიც არ უნდა იყოს ძველი ცხოვრების ნაშთები (რელიგიური, ყოფის, სოციალური ურთიერთობის და სხვა); ამიტომ ლიტერატურული მასალის გამოყენება (მით უმეტეს, როდესაც რევოლუციის წინა დროის ლიტერატურასთან გვექნება საქმე) სათანადო შესწორებას მოითხოვს აღზრდის ახალი მიზნების თვალსაზრისით.

რევოლუციის წინა დროის ლიტერატურა უფროსი ჯგუფების სახელმძღვანელოებშიც სიფრთხილით და შერჩევით უნდა იქნას გამოყენებული: აქ ადგილი არ უნდა დაეთმოს ისეთ ნიმუშებს, რომლებიც თავისი განწყობითა და შინაარსით (ნაციონალიზმი, ეროტიზმი, ძველი ცხოვრების აპოლოგია და სხვა) ჩვენი სკოლის მიზნებს არ შეესაბამება; ცხადია, შესწორება და შეკეთება უადგილო და ზედმეტია იქ, სადაც ლიტერატურული ნაწარმოები ისტორიული წარსულის ასახვას წარმოადგენს და, მაშასადამე, მასში ისტორიული სინამდვილე უნდა იყოს დაცული. მაგრამ სახელმძღვანელო იქვე უნდა იძლეოდეს მითითებებს, თანადროულობის თვალსაზრისით, ნაწარმოების სწორად გასაგებად და შესაფასებლად და იმის უარსაყოფად, რაც მიუღებელია.

სახელმძღვანელო ლიტერატურა, სკოლის ხაზით, კულტურული რევოლუციის პრობლემებისაკენ უნდა იყოს მიმართული; ასეთი უნდა იყოს ის თავისი განწყობით, შინაარსით, მუშაობის მეთოდებისა და ორგანიზაციის დასახვით.

გ. ფოფუაძე

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაგოლოებანი.

თითქმის ყველა სასკოლო გრამატიკაში გარკვევით არის ნაჩვენები თითოეული ბრუნვის ნიშანი, სახელდობრ:

სახელ.	—**ი**	მაგ.: კაც-ი	შეუდარეთ: მოწმე-	მამა-
მოთხრ.	— **მა**	კაც მა	მოწმე-მ	მამა-მ
მიცემ.	—**ს**(ა)	კაც-ს(ა)	მოწმე-ს(ა)	მამა-ს(ა)
მიმართ.	—**ა-დ**(ა)	კაც ად(ა)	მოწმე-დ(ა)	მამა-დ(ა)
ნათეს.	—**ის**(ა)	კაც-ის(ა)	მოწმ-ის(ა)	მამ-ის(ა)
მოქმედ.	—**ით**(ა)	კაც ით(ა)	მოწმ-ით(ა)	მამ-ით(ა)

გრამატიკებშივე აღნიშნულია, თუ: რადარანაირი ფუძე მოგვეპოვება ქართულში, რა განსხვავებაა თანხმოვნითდათავებულ და ხმოვნითდათავებულ ფუძეებთან გამოყენებულ ბრუნვის ნიშანთა შორის. რომელს ბრუნვაში გვევლინება ფუძე შეკუმშული სახით და სხვა, ამიტომ მათ შესახებ ზედმეტია აქ ლაპარაკი.

დასახელებულ ბრუნვათაგან ჩვენს ყურადღებას იქცევს ნათესაობითი და მოქმედებითი. მათი ნიშნების გამონახვა დიდს სიძნელეს არ წარმოადგენს, როგორც ამაში ქვემომოტანილი მაგალითებიც დაგვარწმუნებს: „და მთვარ**ის** შუქზედ მთებ**ისა** ჩრდილი ალაზნ**ის** ველზედ წამოიხარა“ („კაკო ყაჩაღი“); „მაშინ თორმეტ**ის** წლ**ისა** ვიყავი“, ან კიდევ: „და შუადღ**ისა** გოლვ**ისა** ჟამსა“ (იქვე)...

მოქმედებითი ბრუნვისათვის მაგალითები: „და ჩვენ კი ხტომ**ით**, მღერ**ით**, ძახილ**ით** მოვგროვდებოდ**ით**“ (იქვე); „გამომიზრდია ჩემის ოფლ**ითა**, ვაი-ვაგლახ**ით**, წვ**ით** და დაგვ**ითა**“ (იქვე)... ამგვარად, ნათესაობ. ბრუნვის ფორმანტია -**ის**(ა), მოქმედებითისა კი -**ით**(ა) [1]. ყოველთვის გვევლინებიან ესენი ამ ბრუნვების გამოსახატავად თანხმოვნით დათავებულ და აგრეთვე ხმოვნითდათავებულ კუმშვად ფუძეებთან (იხ. ზემო მაგალითები). მაგრამ თუ ავიღებთ თანამედროვე ქართულში ხ მ ო ვ ნ ი თ დ ა თ ა ვ ე ბ უ ლ ა რ ა კ უ მ შ ვ ა დ ფუძეებს, მაშინ გვაქვს თითქოს მათთან -**ის** და -**ით** ფლექსიათა ნაცვლად -**სი** და -**თი**. აი რას წერენ ჩვენი გრამატიკოსები ამის შესახებ: „დაბოლოება **სი** აქვს **ო**-სა და **უ**-ზე დაბოლოებულ სახელებს;ამავე სახელებს მხოლოობ.

---

[1]) ა იმიტომაა ფრჩხილებში ჩასმული, რომ ბრუნვის აუცილებელი ნიშანი არ არის: იგი სხვა წარმოშობისაა.

რიცხვის მოქმედებით ბრუნვაში აქვს დაბოლოება **თი**. დაბოლოება **სი** და **თი** აქვს აგრეთვე ზოგიერთ სხვა სახელებსაც: მამიდასი, **შალვასი**, **ელ**ენესი, ჩიტუნიასი; მამიდათი, **შალვათი**, **ელ**ენეთი, ჩიტუნიათი და სხვ. **სი**-ს მაგიერ ზოგჯერ მარტო **ს** იხმარება: წიგნი **შალვასი**, ან **შალვას** წიგნი; ვისია ეს წიგნი?—**ელ**ენესი, ან: ეს **ელ**ენეს წიგნია" (ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, გრამატ., გვ. 9; შდ. გვ. 36-37). დაახლოვებით ამასვე გვაუწყებს თავის გრამატიკაში ი. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი ც; მისი მაგალითებია: კალოსი, ბუსი; კალოთი, ბუთი და სხვა. თუ როდის გვხვდება ნათეს. ბრუნვის ელემენტი -**ს** და როდის -**სი**, ამის შესახებ ავტორი ამბობს: „ო-სა და **უ**-ზე დაბოლოებული ფუძიანი სახელი თუ სასაზღვრი სიტყვის წინაა, უნდა დაბოლოვდეს **ს**-ზე (**ყაყაჩოს** (რის?) ყვავილი დაჭკნა; **ყრუს** (ვისი?) ცოლი მოკვდა), ხოლო თუ სასაზღვრი სიტყვის შემდეგაა—**სი** ზე (დაჭკნა ყვავილი **ყაყაჩოსი** (რის?); მოკვდა ცოლი (ვისი?) **ყრუსი**" (ხსენებული ავტორის ქართ. ენის გრამატ., გვ. 86-87). სხვა ავტორებიც იზიარებენ ამ აზრს.

ჩანს, ნათესაობითსა და მოქმედებითს ორნაირი დაბოლოება ჰქონია: პირველს -**ის**(ა) და -**სი**, ხოლო მეორეს -**ით**(ა) და -**თი**. უკანასკნელი -**სი** და -**თი**, როგორც აღნიშნული იყო, ხ მ ო ვ ნ ი თ დ ა თ ა ვ ე ბ უ ლ ა რ ა კ უ მ შ ვ ა დ ფუძეთ დაერთვის: ელენე-**სი**, ელენე-**თი**; გოგო-**სი**, გოგო-**თი**; ყრუ-**სი**, ყრუ-**თი** და სხვა მრავალი.

კითხვა იბადება: რა მიმართებაში იმყოფებიან ეს პარალელი ფორმანტები ერთმანეთთან, ე. ი.: ხომ არ არის -**სი** იგივე -**ის** ფორმანტი და -**თი** კიდევ -**ით**? მათი ერთიდაიგივე ფუნქცია და ბგერითი მსგავსება კითხვის ამგვარად დასმის შესაძლებლობას იძლევა.

კითხვაზე ერთერთი ავტორის (არ ვასახელებთ გვარს) პასუხიც მოგვეპოვება: ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის (-**ის** და -**ით**) ნიშნების წინა ხმოვანი **ი** ბოლოში გადავიდა, ე. ი. ბგერათა გადასმა (მეტათეზი) მოხდა და ახლა უკვე ამ სახით (რკოსი, ხპოსი; რკოთი, ხბოთი) იხმარებაო. მაშ ასე: -**ის** და -**სი** ერთის მხრით და -**ით** და -**თი** მეორის მხრით ერთიდაიგივე ყოფილან, ოღონდ ფონეტიკური მოვლენის—მეტათეზის—წყალობით სახე შეცვლიათ. ჩვენი კითხვა გარკვეული პასუხით დააკმაყოფილეს, მაგრამ ეს პასუხი ვერ არის სწორი, და **აი** რატომ: თუ ავიღებთ ზემოხსენებულ „**ყაყაჩოს** ყვავილი" შესიტყვებას, დავინახავთ, რომ პირველს მაგალითში („**ყაყაჩოს**") სულ არ გვხვდება -**ი**, მაშასადამე, „ყვავილი **ყაყაჩოსი**" შესიტყვების უკანასკნელ მაგალითში („**ყაყაჩოსი**") -**ი** შეუძლებელია მეტათეზის შედეგი იყოს (მეტათეზი—გადასმა—სიტყვაში ა რ ს ე ბ უ ლ ბგერებს **მოსდის** და **არა** ა რ ა რ ს ე ბ უ ლ თ!)—ეს ერთი, და მეორეც:

საერთოდ ფორმანტებში მეტათეზს ადგილი არა აქვს. ამდენად მოცემული ახსნა არ არის მისაღები.

მაშ რა პასუხი გავსცეთ დასმულ კითხვას?

ძველს ქართულში **-ისა** და **-ითა** ბოლოსართები ყოველგვარ ფუძესთან გვევლინება, ოღონდ ა რ ა კ უ მ შ ვ ა დ ი ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის შემდეგ სუფიქსისეული **-ი** უმარცვლო ხდებოდა, ე. ი. **ი** იქცეოდა ჲ'დ. ამიტომაა, რომ ძველი ქართულის ძეგლებში გვხვდება: „უდაბნოჲსა, ოქროჲსა, იოვანეჲს; უბიწოჲთა, საშოჲთ, რაჲთა“ და სხვა. საილუსტრაციოდ ორიოდე ამონაწერი მოვიტანოთ: „დამვიწყებელნი საუკუნოჲსა ცხორებისანი“; „მოწამე არს... უცხოჲსა ცეცხლისა“; „აღმევსოს მე გული სისხლითა. ვითარცა მანანაჲთა“; „გონიერითა და უბიწოჲთა“ და სხვა მრავალი. თანამედროვე ქართულმა ორისავე ბრუნვის ფორმანტებიდან უმარცვლო **ი** (ე. ი. ჲ) დაკარგა [1]) და ამიტომაა, რომ ვამბობთ: „ირინეს ბედნიერება“ („ირინეჲს ბედნიერება“ს ნაცვლად); წყაროს წყალი („მთის წყაროს წყლითა გავგრილდებოდით“: „კაკო ყაჩაღი“-დან); ელენეს წიგნი, ნუცას სკოლა“ და სხვ.

შევეხოთ უფორმო სიტყვების სახელებთან ხმარებასაც. ცნობილია, რომ ე. წ. თანდებულები **-კენ, -თვის, -გან** სახელებს მართავენ ნათესაობით ბრუნვაში: „მამისაგან, ქალაქისაკენ, ძმისთვის, მისგან, ვისთვის, სხვისკენ“ და სხვა. ამათი ანალოგიით ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „უდაბნოს კენ, ყრუს-თვის, ელენეს-ვან, ნუცას-თვის“ მაგალითებში: „უდაბნოს, ყრუს, ელენეს, ნუცას“ ყველა ნათესაობ. ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. ეს უდაოა, ამაში ყველა შეთანხმებული ვიქნებით.

განვიხილოთ ახლა მოქმ. ბრუნვაში წარმოდგენილი სახელები. არაკუმშვად ფუძეებთან უმარცვლო **ი** (ჲ) აქაც უნდა დაკარგულიყო, დაგვრჩებოდა: „უდაბნოთ, ყრუთ, ელენეთ, კალოთ“ ნაცვლად „უდაბნოჲთ, ყრუჲთ, ელენეჲთ“ ფორმებისა. როგორც ვიცით, ამ სახით ეს არ იხმარება. ჩვენ ვამბობთ: „უდაბნოთი, ყრუთი, კალოთი“. აქ კი ბრუნვის ნიშნად **-თი** გამოდის, რაც შეიძლება **-ით** ფორმანტის ბგერათა გადასმით წარმომდგარიყოო — იფიქრებს მკითხველი. მაგრამ აქ რომ მეტათეზთან არა გვაქვს საქმე, და რომ სუფიქსისეული ჲ ნათეს. ბრუნვის ჲ'ს მსგავსად აქაც დაკარგულია, ამას ისევ უფორმო სიტყვათა მიერ სახელების მართვა გამოააშკარავებს. მართლაც: ე. წ. **გან**

---

[1]) ეგევე მოუვიდა სახელ. ბრუნვის ჲ ნიშანსაც, ძველი ქართულის დედაჲ, დაჲ, უდაბნოჲ“ და სხვა ახალს ქართულში იხმარება: „დედა, და, უდაბნო“...

თანდებული ძველს ქართულში მოქმედ. ბრუნვაში მართავდა სახელს, მაგალითად: „აწ მე ვ ი ნ ა ჲ თ გ ა ნ ვერ ძალმიც“; „ს ა შ ო ჲ თ გ ა ნ ვ ე დედისაჲთ შეწირულ იყო“; „რაჲმეთუ ს ი ჩ ჩ ო ჲ თ გ ა ნ ვ ე [1] ღუინოჲ... არა შეკდა პირსა მისსა“ და სხ. აქ, როგორც ვხედავთ, უშუალოდ ემეზობლებიან ერთმანეთს ყრუ თ და მჟღერი **გ** ბგერა. ახალს ქართულში მჟღერი **გ** ბგერა იმსგავსებს ყრუ **თ**'ს, ე. ი. წარმოგვიდგენს მას მჟღერ **დ**'დ (ამ მოვლენას ასიმილაციას უწოდებენ) და ამიტომაა, რომ ვკითხულობთ: „როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ ამ დღიდგან თავზედ ხელაღებული“ („კაკო ყაჩაღი“); „წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი, ჩენს სახლ-კარიდგან გამაგდეს შორა“ (იქვე). აქედან ჩანს, რომ მოქმ. ბრუნვის **-ით -იდ** ფორმანტის სახით არის წარმოდგენილი, როგორც ვთქვით, **გ**'ს გავლენით. თანამედროვე ქართულში უფორმო სიტყვის **გან**'ის **გ** დაიკარგა და ასე ამბობენ: „სახლიდან, დღიდან, ქალაქიდან, სოფლიდან“ და სხ. [2]). აშკარაა, აქ-**დან** თანდებული კი არ არის, არამედ „სოფლიდ, ქალაქიდ“ (და სხვა ანალოგიურ) მაგალითებში **-იდ** მოქმედ. ბრუნვის-**ით** ფორმანტია და **-ან** კიდევ **გან** ნაწილაკის ნაშთი [3]). ახლა გაუგებარი არ უნდა იყოს: „უდაბნოდან, სამშობლოდან, წყაროდან, საშოდან“ და მსგავსი შემთხვევები, თუ რომელი ბრუნვისანი არიან. ესენი იშლებიან: „უდაბნოდ ან, წყაროდ-ან, სამშობლოდ-ან“, თუ „ასიმილაციას გამოვრიცხავთ“, მაშინ გვექნება „უდაბნოთ-(გ)ან, წყაროთ-(გ)ან“ სწორედ ის ფორმა, რომელსაც ჩვენ ჲ'ს დაკარგვის შემდეგ მოქმედ. ბრუნვაში მოველოდით. ეს კი გვაუწყებს, რომ ახალს ქართულში ხმარებულ „**კალოთი, ურითი**“ ფორმებში **-ი** მეტათეზით არ არის მიღებული.

ზემოთქმულით ვასკვნით: ხ მ ო ვ ნ ი თ დ ა თ ა ვ ე ბ ულ ა რ ა კ უ მ შ ვ ა დ ფ უ ძ ე ე ბ ს ნ ა თ ე ს ა ო ბ ბ რ უ ნ ვ ი ს გ ა მ ო ს ა ხ ა ტ ა ვ ა დ **-ს** დ ა ე რ თ ვ ი ს თ, ხ ო ლ ო მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ს ა **-თ**. წ ი ნ ა მ ა ვ ა ლ ი **-ი** ყ ვ ე ლ ა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი, ერთადერთი მაგალითის გამორიცხვით (**დრო-ის**; **დრო-ით, დროიდ-ან**), დ ა კ ა რ გ უ ლ ი ა.

მაშ რა **-ი** არის ის **-ი**, რომელიც „**ელენესი, ურესი; ელენეთი, ურითი**“ შემთხვევებში გვხვდება?—გვკითხავენ უთუოდ.

---

[1]) ჩჩვილობიდანვე, სიყრმიდანვე.

[2]) იხ. პროფ. აკ. შანიძე, წელიწადს ეტიმოლოგიისათვის: „წელიწდეული“, I-II, გვ. 5.

[3]) შეცთომაა, რომ ჩვენს გრამატიკებში მმართველ უფორმო სიტყვათა შორის **-დ ა ნ** ე. წ. თანდებულად არის მიჩნეული. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ რომელ ბრუნვაში მოითხოვს იგი სახელს!

მოვიგონოთ ქართული ენის სიტყვათწარმოებიდან ზოგი რამ: ქართულს სჩვევია ამათუიმ ბრუნვის ფორმის კვლავ სახელად (ბრუნებად სიტყვად) გამოყენება, მაგ.: a. მიმართულებითი (ვნებითი) ბრუნვის ფორმისაგან მივიღეთ: ტანად ი (ტანად-მა, ტანად-ისა, ტანად-ს, ტანად-ი კაცი). ასევეა: გულად ი, პურად-ი, თვალად-ი, ქცევად-ი, ჭამად-ი და სხ. b. მოქმედ. ბრ.: შემთხვევით-ი (შემთხვევით მა, შემთხვევით=ის), მიცემ**ით** ი, ყოფით ი, არსებით ი, რიგით-ი, რაოდენობით ი, ნათესაობით-ი, მოქმედებით-ი... c. რა თქმა უნდა, ნათესაობითის ფორმაცაა გამოყენებული: დიასახლ**ის** ი, მ**ის**-ი, თ**ავის** ი, სხვ**ის**-ი... ყველა ეს და მათ შორის ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან წარმომდგარი (ნაგენეტივარი) სახელები ჩვეულებრივი სიტყვების მაგგვარად იბრუნვიან, მაგ.: მის-ი, მის მა, მის-ით, მის-ად; თავის-ი, თავის-ით, თავის-ად; მათ ი, მათ-მა და სხვ. მაშასადამე, **წიგნი მისი** ორივე სახელ. ბრუნვაში ყოფილა დაყენებული, ორსავე (სახ. ბრ.) ნიშანი -ი მოეპოვება, უკანასკნელი ნაგენეტივარი სახელია. **წიგნმა მისმა** ორივე მოთხრობითშია; **წიგნისა მისისა** – ნათესაობითშია და ასე შემდეგ. განა ამის მსგავსი არ არის: **წიგნი ელენესი, ტარი ურუსი**? აბა ვაბრუნოთ:

სახელ.	წიგნ-ი	მის-ი	წიგნ-ი	ელენეს-ი
მოთხ.	წიგნ-მა	მის-მა	წიგნ-მა	ელენეს-მა
მიცემ.	წიგნ-სა	მის-სა	წიგნ-სა	ელენეს(ა)-სა
მიმართ.	წიგნ-ა-დ	მის-ა-დ	წიგნ-ა-დ	ელენეს-ა-დ
ნათეს.	წიგნ-ისა	მის-ისა	წიგნ-ისა	ელენეს-ისა
მოქმედ.	წიგნ-ითა	მის-ითა	წიგნ-ითა	ელენეს-ითა

ეს ფორმები სახელობითს გარდა სხვა ბრუნვებში თანამედროვე ქართულში, მართალია, შედარებით ნაკლებ გვხვდება, მაგრამ ვერ იტყვით: არ იხმარებაო. ჩვენ ადგილი ხელს არ გვიწყობს, რომ მთელი რიგი მაგალითებისა სხვადასხვა მწერლის თხზულებიდან წარმოვადგინოთ. მათი რკვევა მაინცდამაინც ჩვენი წერილის მიზანს არ შეადგენს. გვაინტერესებდა ნათესაობით. ბრუნვაში -ი (-ის, სთან დაკავშირებით) და ახლა, გვგონია, გამოაშკარავებული უნდა იყოს: იგი აღმოჩნდა სახელობითი ბრუნვის ნიშანი. მაშასადამე, ნათეს. ბრუნვის სუფიქსად -სი არა გვქონია, იგი შედგენილი ყოფილა ნათეს. ბრუნვის -ს ფორმანტისა და სახელ. ბრუნვის -ი ფლექსიისაგან. ამიტომ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „მისი, თავისი, სხვისი, რისი, ვისი, ელენესი, შალვასი, კალოსი, ბუსი, ყრუსი და სხვა, ყველა სახელობით ბრუნვაშია დასმული და არა ნათესაობითში! ზოგიერთი ამათგანი, სახელდობრ: „მისი, თვისი, სხვისი, ვისი“... ჩვეულებრივ სახელების წინ იხმარება: „მისი ძმა, თ(ა)ვისი და, სხვისი წიგნი, ვისი სახლი“ და იცვლება ყველა ბრუნვაში: მისი

ძმა, მისმა ძმამ, მის(ს) ძმას, მისი ძმით“ და ა. შ., ხოლო დანარჩენები—სახელების შემდეგ: „ხელსაწყო ხუროსი, ტყავი ხბოსი“ და სხვა.

ასევე იშლება მოქმედებ. ბრუნვის **-თი** ფორმანტიც: **-თ** მოქმ. ბრუნვის აღმნიშვნელია, ხოლო **-ი** იგივე **-ი** არის, რაც **სი**‘სთან გვაქვს, ოლონდ სახელ. ბრუნვის აღმნიშვნელი არ არის. თუ რა გზით შივიღეთ, ამის შესახებ სხვა ადგილას ვიტყვით.

დასკვნა: ნათეს. ნიშანია **-ის**(ა),**-ს**, მოქმედ. **-ით**(ა),**-თ**. **-ს**, **-თ** იმავე- **ის**, **-ით** ფორმანტებისაგან არიან წარმომდგარი **-ი**’ს დაკარგვით.თუ გვხვდება დაბოლოებად **-სი** ან **-თი**, ჩვენ ვამბობთ: **-სი** და **-თი** იშლება: **-ს-ი**, **-თ-ი**, პირველი **-ს** ნათეს. ბრუნვის ნიშანია, ხოლო **-ი** სახელობითისა (მაშასადამე: „წიგნი გოგოსი“, „შვილი ყრუსი“ სახელ. ბრუნვაა!), ხოლო **-თ** მოქმ. ბრუნვის გამომხატველია, **-ი** კი სახელობითი ბრუნვის მაჩვენებელი არ არის.

ვ. თოფურია

„დედისერთა“ ბავშის აღზრდის თავისებურებანი.

პედოლოგიური ნარკვევი.

„დედისერთა“ ბავშის თავისებურებაზე მეცნიერულ დაკვირვებას სულ უკანასკნელ დრომდე არ აწარმოებდენ. „დედისერთა“ ბავშისადმი ასეთ ყურადღებობას იწვევდა, უმეტესად, ის საერთო უყურადღებობა ბავშის შესწავლისადმი, რაც მეტაფიზიკურ მეცნიერებას ახასიათებდა, რომელიც, აღიარებდა რა „სულის სუბსტანციონალობას,“ ე. ი. უცვლელობას ყველგან და ყოველთვის, განიხილავდა ბავშს, როგორც მოზრდილი ადამიანის მინიატურას, როგორც „დაპატარავებულ მოზრდილ ადამიანს.“ ამ მიზეზის გამო, საერთოდ ბავში და კერძოდ „დედისერთა“ ბავში არ იყო სპეციალურად შესწავლილი იმ დრომდე, სანამ არ ჩამოყალიბდა **პედოლოგია**, ანუ მეცნიერება ბავშის ზრდა-განვითარების კანონების შესახებ, რომელიც უარყოფს „სულს“, უტყუარად ადასტურებს ბავშის არსებით განსხვავებას მოზრდილი ადამიანისაგან და, მაშასადამე, ბავშის სპეციალურად შესწავლის აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს.

პედოლოგიის განუვითარებლობა და „დედისერთა“ ბავშის **იშვიათობა**, განსაკუთრებით უკანასკნელი იმპერიალისტური ომის მიერ შექმნილი მძაფრი ეკონომიური კრიზისის გამო,—აი მთავარი ფაქტორები იმისა, რომ „დედისერთა“ ბავში არ იყო შესწავლილი.

ამიტომ, ამ საკითხის შესახებ ჯერჯერობით მეტად ღარიბი ლიტერატურა გვაქვს, რომელიც რამდენიმე პატარა წიგნაკით ამოიწურება. „დედისერთა“ ბავშის თვისებების გამოკვლევის შესახებ შეგვიძლია მხოლოდ შემდეგი ბროშურები დავასახელოთ: 1) Циглер. „Детские пороки“ (1900 წ.); ეს წიგნი ეხება „დედისერთა“ ბავშის ეგოიზმს; 2) Боганнон. „Единственный ребенок в семье“, 3) Е. Нетер „Единственный ребенок и его воспитание“ (1927 წ.) და 4) Садгер: „К вопросу об изучении психической жизни единственного и любимого ребенка“.

ქართულ ენაზე კი არ მოგვეპოება არცერთი წერილი და არც რომელიმე თხზულების თარგმანი „დედისერთა“ ბავშის აღზრდის თავისებურებათა შესახებ.

ჩვენი წერილის მიზანია—არსებული ლიტერატურისა და, ნაწილობრივ, საკუთარ დაკვირვებათა მიხედვით, ზოგადად მაინც მივუთითოთ მკითხველებს „დედისერთა“ ბავშის სპეციალურ ფსიქოფიზიკურ თვისებებზე, რომლებსაც იწვევს ბავშის იზოლაციაქმნილი აღზრდის პირობები.

ზემოხსნებული მიზანი გვავალებს, რომ ის თავისებურებანი, რაც ქვემოთ იქნება აღნიშნული „დედისერთა“ ბავშის შესახებ, გავავრცელოთ ყველა ბავშზე, რომელიც თავის ტოლ ბავშთა კოლექტივის გარეშე, ე. ი. განცალკევებით იზრდება; ამიტომ „დედისერთა“ ბავშად უნდა ჩაითვალოს არა მარტო **ერთადერთი** ბავში, არამედ: ა) მრავალბავშიანი ოჯახის **პირველი შვილი** („პირმშო“), თუ-კი ის დიდხანს არის „ერთადერთ ბავშად ოჯახში, ბ) **უკანასკნელი შვილიც**, თუ ის მშობლებს ეყოლათ მშობიარობის შედარებით ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ და სხვა უფროსი შვილები საკმაოდ მოზრდილნი არიან, გ) ყველა ბავში, რომელიც მოკლებულია ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორიცაა **კოლექტიური ანუ სოციალური აღზრდა.**

ჩვენი წერილი ეხება სპეციალურად „დედისერთა“ ბავშს, ვინაიდან მისი აღზრდის პირობები მეტად ტიპურია იზოლაციაქმნილი, ანუ ინდივიდუალური აღზრდის ყოველი სახისათვის.

თანადროულ ცხოვრებაში ერთადერთი ბავში მეტად ხშირი მოვლენაა. ამ გარემოებას იწვევს: 1) **მძიმე ეკონომიური პირობები**, რომელშიაც იმყოფება ოჯახი და რაც აიძულებს მშობლებს იყოლიონ მხოლოდ ერთი ბავში, რადგან მეტის მოვლა-პატრონობა მათ არ ძალუძთ; ასეთ ე. წ. „ბავშების წინააღმდეგ“ მიმდინარეობის შესახებ, რომლის მიხედვით მშობლებს ან სულ არ სურთ ყავდეთ ბავში,

ან კმაყოფილდებიან მხოლოდ ერთი შვილით, **ავგუსტ ბებელიც** წერდა: გლეხი შეჰხარის ყოველ დაბადებულ ხბოს, სიამოვნებით ითვლის გოჭებს, მაგრამ ის მოღუშულად და უკმაყოფილებით აღსავსე თვალებით იყურება, თუ ცოლი მას შემატებს ახალს შვილს, იმათგარდა, რომლების აღზრდა მას დიდი გაჭირვების გამოუვლელად შეუძლია; კიდევ უფრო მრისხანეა და მოღუშული იყურება გლეხი, თუ ახლადშობილი—ქალიშვილია. მართლაც, მოსახლეობის ღარიბი ფენების შიში, რომ ბევრი შვილის გამო ოჯახი არ დაღარიბდეს და არ დაირბეს, ხოლო შეძლებული ფენების სიფრთხილე, რომ ბავშის შესახებ ზრუნვამ არ დაუკარგოს მათ პირადი სიამოვნება და პირადი ცხოვრება,—აი მთავარი სტიმული **უშვილობისა ან,** უმეტეს შემთხვევაში, **ერთშვილიანობისა**; 2) ერთშვილიანობას ახშირებს აგრეთვე მეტად გავრცელებული ვენერიული ავადმყოფობა — **გონორეა,** რომელიც იწვევს ან უნაყოფობას, ან მხოლოდ ერთჯერ განაყოფიერების შესაძლებლობას ქორწინებაში, რადგან გონორეა ასუსტებს საშოს კედლებს, ემბრიონი საშოში ვერ მაგრდება და ქალს „მუცელი ეშლება“ ხოლმე.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ „დედისერთა“ ბავში თავისებურია სხვა ბავშებთან შედარებით, სქესის მიუხედავად. თუმცა გერმანული მკლევარი **ე. ნეტერი** ამბობს, რომ თავისებურება ახასიათებს „ერთადერთ“ ვაჟს, ხოლო განცალკევებული აღზრდა სრულებით არ ახდენს გავლენას ქალზე, ეს აზრი აუცილებლად უმართებულოდ უნდა მივიჩნიოთ. თავისი აზრის დასამტკიცებლად ნეტერს მოჰყავს გერმანული ხალხური ანდაზა: „თამამად შეირთე დედისერთა ქალი, ხოლო ერიდე „დედისერთა“ ვაჟზე ცოლად გაყოლას“, მაგრამ ეს სრულებით დამაჯერებელი არ არის ჩვენთვის, რადგან უდავოდ ცხადია, რომ ერთნაირი აღზრდის პირობები, ე. ი. ერთნაირი სოციალური ფაქტორები ძირითადად ერთსადაიმავე შედეგს იძლევა. მაშასადამე, იზოლაციაქმნილი აღზრდის თავისებურება ახასიათებს როგორც ვაჟს, ისე ქალსაც.

როგორ იზრდება „ერთადერთი“ ბავში ოჯახში?

როდესაც მშობლებს ყავთ რამდენიმე შვილი, მათ არ შეუძლიათ იმდენი დრო, ენერგია და ყურადღება მოანდომონ თითოეულ ბავშს, რამდენსაც ანდომებენ მხოლოდ ერთ შვილს.

მთელ თავის სიყვარულს, მზრუნველობას და შიშს დედ-მამა ერთადერთი ბავშისაკენ მიმართავს და სწორედ ეს გარემოება ახდენს საზიანო გავლენას მასზე.

მშობლების მუდმივი მზრუნველობა და შიში უხშობს ბავშს **დამოუკიდებლობას, აქტივობას, თვითმოქმედებას.** თუმცა მშობლები ათავისუფლებენ ბავშს ყველა საზრუნავი საქმისაგან, თუმცა დედის შუდამ მზრუნველი და ფრთხილი თვალები აცილებენ ბავშს ყოველგვარ უსიამოვნო, საზიანო დაბრკოლებას, ამით ზიანი, ბავშის თავისუფლების შეზღუდვის სახით, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე სარგებლობა. ბავშს ყოველ წუთს ესმის: „არ წახვიდე," „არ დაეცე", „ფრთხილად", „არ იტკინო", „არ გაცივდე" და სხვა.

ასეთი გადამეტებული გაფრთხილება და ბავშის მაგიერ ყველა მოქმედების შესრულება ბავშს საშვალებას უსპობს **თვითონ** გამოიკვლიოს, **თვითონ** გააკეთოს რაიმე, **თვითონ** ისწავლოს გაფრთხილება საკუთარი საზიანო ცდებისაგან, **თვითონ** მიიღოს ცოდნა, დამოუკიდებლობა, საჭირო ჩვევები საკუთარ განცდათა და რეაქციების საფუძველზე. თვით ბავშებიც კარგად გრძნობენ მათი სურვილების შებოჭვას და ურყევი სალტებით თავისუფლების შეზღუდვას, გადაჭარბებულ სიყვარულსა და ყურადღებას, შენატრიან სხვა ბავშებს, რომელნიც თავისუფლად მოქმედობენ და მათი ოცნებაა—დედის, მამის და სხვა „მზრუნველთა" ზრუნვისაგან განთავისუფლება.

არა მარტო შინ, არამედ ქუჩაზე, სტუმრად ყოფნის დროს, სკოლაში თან დასდევს მშობელი თავის „ერთ" შვილს და ყველგან და ყოველთვის ერევა ბავშის მოქმედებაში, ყველგან არიგებს და აფრთხილებს მას (ე. წ „დედის ფრთის ქვეშ მყოფი ბავში"—„Маменькины дети"). გერმანელი მწერალი **მორიკე** შემდეგი სიტყვებით აგვიწერს „დედისერთა" ბავშის სულისკვეთებას:

„Я матери моей – единственный сынок,
Других у ней не родилося боле,
И то, что было на шесть, на семь душ,
Мне одному досталося на долю.
Мне за полдюжины досталося ребят
Любви и ласки, нежностей, игрушек,
Но я хвалиться мог-бы во сто крат,
Когда-б за шестерых я с'ел и колэтушек".

თვითმოქმედების ამგვარი განუვითარებლობა დიდად საზიანოა „დედისერთა" და, საერთოდ, ყოველი ბავშისათვის. მუდამ სხვებზე დამოკიდებული ბავში ვერ ერკვევა თავისით მარტივ პირობებშიაც-კი, არ იცის ყოველდღიური საჭიროების აქტების შესრულება, როგორიცაა: ჩაცმა, გახდა, ჭამა და სხვა... სამართლიანად ამბობს პროფ.

გუტს მუტსი: „ჩვენი ცხოვრება აბობოქრებული ზღვაა, ამიტომ ყოველმა ჩვენგანმა თვითონ უნდა ისწავლოს ცურვა, საჭისა და იალქნების ხმარება... მხოლოდ ბორძიკით და დაცემით სწავლობს ადამიანი სიარულს“.

პასივობის გარდა „დედისერთას“ სპეციალური თვისებაა—**ნაადრევი ინტელექტუალური განვითარება.** „დედისერთა“ გაცილებით მაღლა დგას გონებრივი განვითარების მხრივ, ვიდრე მისი ტოლი ბავშები. „დედისერთა“—**ვუნდერკინდია.** მან ბევრი რამ იცის მშობლების საუბრების გამო; ის ყველას აკვირვებს თავისი თეორიული ცოდნით, „არაბავშური“ მსჯელობით და ინტერესებით. მაგრამ ასეთი აჩქარებული და უდროო განვითარება დიდ ზიანს აყენებს ბავშის სათუთ ნერვულ სისტემას, რომელიც უჩვეულო დატვირთვისაგან გადაღლილია, გაცვეთილია. ბავში კარგავს „ბავშურ გულუბრყვილობას“, და ასეთი ბავში არაოდეს არ ამართლებს ახლობლების მოლოდინს, რომ მისგან გამოვა დიდი მოაზროვნე, გენიოსი და სხვა.

იგივე უნდა ითქვას „დედისერთა“-ს ემოციონალური შხარის შესახებ: რადგან დედ-მამა, განსაკუთრებით კი დედა, მუდამ თავის „ერთადერთ“ შვილთანაა, დედა ხშირად გაუზიარებს მას თავის განცდებს—მწუხარებას, სიხარულს, ე. ი. ხდის შვილს მესაიდუმლედ და მრჩეველად, ბავში თავიდან იტვირთება მისთვის უჩვეულო სიცოცხლის სერიოზიული კითხვებით და კარგავს **უდარდელობას.** ამით იღრუბლება ბავშის სულიერი განწყობილება, რომელიც, **ვილიამ სტერნის** თქმით, „არის მოწმენდილი, ულრუბლო ცა, იშვიათი და სწრაფად გასაფანტავი ღრუბლებით“. ასეთი ბავში კარგავს ილუზიებს და ბავშური ოცნებების მშვენიერ სამყაროს, ის ნერვიულია, ნევრასტენიითაა შეპყრობილი. „ყველაფერზე უფრო სასაცილოა, როდესაც ბავშს აქვს მოზრდილი ადამიანის სიდინჯე“ (იმ. კანტი).

„ერთადერთ“ ბავშს მშობლები არც იცილებენ და ვერც ახერხებენ, დროებით მაინც, მოცილებას, რადგან ბავშს, მშობლების გარდა, არ ჰყავს სხვა წრე; ბავში ხდება უნებლიეთი მოწმე მშობლებს შორის ისეთი საუბრების, რომლითაც ჰკიცხავენ ნაცნობებს, ან ისმენს და უყურებს მშობლების ურთიერთ შორის სქესობრივ საუბრებს და მოქმედებას, და ასეთი პირობები ბავშში შეიმუშავებს **უნდობლობას, იჭვიანობას** ადამიანების მიმართ და აგრეთვე ხელს შეუწყობს **სექსუალობის** გაფურჩქვნას, რომლის საუკეთესო სკოლა ბავშს შინ აქვს.

„დედისერთა“ ბავში **მოწყენილია**; მას მშობლები მრავალ საათამაშოს აძლევენ, ეს-კი იწვევს ბავშის ტვინის დაღალვას და მოწყენილობას. მშობლები ცდილობენ ბავშის ვართობას: დაყავთ ის სტუმრად, მგზავრობაში, კონცერტებზე, თეატრში და სხვა. ბავში ღებულობს სულ ახალსა და ახალ შთაბეჭდილებას, ადრე ეჩვევა ყოველგვარ სიამოვნებას, ბავშობაშივე განცდილი აქვს სიამოვნების ყოველი სახე და ამიტომ კარგავს ინტერესს ცხოვრებისადმი, მას მოწყენილობა შეიპყრობს, მელანქოლიური, პესიმისტური თვითგრძნობა განუვითარდება.

თვითმკვლელთა სტატისტიკა მოწმობს, რომ თვითმკვლელების დიდ %-ს „დედისერთა“ (ინდივიდუალურად აღზრდილი) ბავშები შეადგენენ. პირველი შეხედვით საფიქრალია, თითქოს, რადგან მშობლები მეტად ზრუნავენ „ერთადერთი“ საყვარელი ბავშის ჯანმრთელობის შესახებ, ასეთი ბავში ჯანსაღი უნდა იყოს. მაგრამ პირიქით: „მშობლების მხრივ თავისი ბავშის ჯანმრთელობის შესახებ მუდმივი შიშის გამო, „ერთადერთი“ ბავში ეჩვევა თავისი თვითგრძნობაზე ზედმეტი ყურადღების მიპყრობას, მას თვითონ იპყრობს შიში (ფობია) ავადმყოფობის, ისტერიულად შთაიგონებს არარსებულ ავადმყოფობას და ხდება მანიაკი, ნევრასტენიკოსი“ (ნეზი), **ექ. ფრიდიუნგმა** გამოიკვლია ჯანმრთელობის მხრივ 100 „დედისერთა“ ბავში და მათ შორის აღმოჩნდა: ჯანმრთელი—მხოლოდ 13 ბავში, ნევრასტენიით შეპყრობილი—69 და მძიმე ნევროპატიით დაავადებული—18 ბავში. მართლაც, გადამეტებული შეფუთვნა და სხვა ფიზიკურად ასუსტებს ბავშს და „ერთადერთი“ ბავში უფრო ხშირად ავადმყოფობს, ვიდრე მრავალბავშიანი ოჯახის შვილები. „დედისერთა“ ბავშის განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს—ჭირვეულობა და აღვირასხნილი **ეგოცენტრიზმი.**

„დედისერთა“ ბავში განებივრებულია, ჭირვეულია მშობლების დათმობის გამო: მშობელი მზად არიან დაუთმონ მას და დააკმაყოფილონ მისი ახირებული სურვილებიც-კი, ოღონდ არ უყურონ ბავშის ტირილს და ოდნავ შეწუხებას. ამასთანავე, რადგან „ერთადერთი“ ბავში მუდამ შექებას ისმენს და ყურადღების ცენტრია ოჯახში, ის **დიდი წარმოდგენისაა თავის თავზე**, გადაჭარბებულად **თავმოყვარეა, ამაყია, ეგოისტია,** არ შეუძლია საქმეში ელემენტარულად თანამშრომლობა, თანაგრძნობა და სხვა. „ერთადერთი“ ბავშის ეგოიზმის ფაქტორებია: 1) **მშობლების დათმობა**; 2) **მშობლებისთვის მიბაძვა,** რომელნიც, უმეტეს შემთხვევაში, ეგოისტები და თავმოყვარენი არიან, რადგან მათი „ერთშვილიანობის“ მოტივია

„შეუწუხებელი“ ცხოვრება. ცნობილი მწერალი **ლ. ტოლსტოი** „Крейцерова соната“-ში მშობლების შესახებ ამბობს, რომ ისინი ეგოისტები არიან, როდესაც არ სურთ განიცადონ შიში და მწუხარება შვილების ავადმყოფობა-სიკვდილისაგან და ამიტომ უარს ამბობენ შვილოსნობაზე. „მშობლები,—ამბობს ტოლსტოი,—უარყოფენ სიყვარულს და ამკვიდრებენ მხოლოდ თავის ეგოიზმს; ისინი თავის თავს კი არ სწირავენ საყვარელ არსებას (ე. ი. ბავშებს), არამედ პირიქით, მოსალოდნელ საყვარელ არსებას (ე. ი. მომავალ შვილს) სწირავენ თავის თავს“.

3) ბავშის ეგოიზმის მესამე ფაქტორად უნდა ჩაითვალოს „დედისერთა“ **ბავშის მონოპოლური, ერთპიროვნული უფლება ყველაფერზე**, რაც-კი ოჯახში მოიპოვება; თუ ბავშს არ ჰყავს ძმები და დები, რომელებსაც მან უნდა გაუზიაროს მშობლების სიყვარული, ზრუნვა და სხვა, ის თავს ჩასთვლის ყველაფრის (ტანსაცმელი, სათამაშოები, საჭმელი, წიგნები...) შეუზღუდველ მესაკუთრედ, მონოპოლისტად. მას აზრადაც არ მოსდის, რომ საჭიროა, ან შესაძლებელია ვინმეს რაიმე გაუზიაროს, გაუყოს, დაუთმოს, და, თუ მას მისცეს ასეთი წინადადება, ის ამას შეხედავს, როგორც სასტიკსა და უსამართლო მოთხოვნას. მიაჩნია რა „დედისერთა“ ბავშს, მშობლების ქონება, სიყვარული და შრომა თავის მონოპოლიად, ის ცხოვრებაშიც (სკოლაში, სამსახურში და სხვა) ეგოცენტრიული საზომით უდგება სხვა ადამიანებს და მოითხოვს მათგან მთელ ყურადღებას, სიყვარულს, პატივისცემას, დათმობა-მორჩილებას და სხვა.

ასეთი ეგოისტი ბავშები საცოდავნი, უბედურნი, ანტისოციალური ელემენტები არიან, რადგან უმართებულო, გადაჭარბებულ ინდივიდუალურ პრეტენზიებს საზოგადოება სასტიკად ეწინააღმდეგება, და ბავში ვერ შესძლებს შეგუებას გარემოცულ პიროვნებთან, თანამშრომლობას და სხვა. „ერთადერთი“ ბავშის აღმზრდელობით სისტემას, სხვათა შორის, აკლია ყოველმხრივი განვითარების ისეთი მძლავრი ფაქტორი, როგორიცაა — **სოციალური ანუ ჯგუფური თამაშობა**. როგორც ვიცით, ჯგუფური თამაშობის დამახასიათებელი თვისებებია: ყველა მონაწილეს თანასწორუფლებიანობა, თამაშობის საერთო პირობების დაცვის საჭიროება, დაკისრებული როლის პირნათლად ასრულება და სხვა. წარმოიდგინეთ განებივრებული „დედისერთა“ ბავში ასეთ თამაშობაში: ის არავის და არავითარ წესს არ დაემორჩილება, მოითხოვს, რომ ყველა მოთამაშე მას ემორჩილებოდეს, დამარცხებას და შენიშვნას ვერ აიტანს, თამაშობაში არ ექნება სიმკვირცხლე და მოხერხებული, მოწესრიგებული, მიზანშე-

წონილი მოძრაობა (მოტორულ ფუნქციათა სუსტად განვითარების გამო), ის გადაიმტერებს და გადაემტერება ამხანაგებს, რომელნიც მას ვერ იგუებენ, დასცინიან, სცემენ და სხვა. სოციალურ თამაშობაში მონაწილეობის მიღების პირველი ფუჭი ცდის შემდეგ ასეთი ბავში დიდი ხნით კარგავს ხალისს სოციალური ურთიერთობისადმი და **მარტოობას** ამჯობინებს. განიცადა რა დამარცხება რეალურ ბავშებთან თამაშობის მხრივ, ბავში მიმართავს თავის ფრთაასხმულ ფანტაზიას, წარმოიდგენს თამაშობის ამხანაგებს და ასეთ „მოგონებულ," არარეალურ ამხანაგებთან იწყებს თამაშობას. **ფანტაზიის უსაზღვრო განვითარება** განცალკევებული აღზრდის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს. ზემომოყვანილ თვისებებს უნდა დავუმატოთ აგრეთვე **მორცხვობა,** როგორც ანტისოციალური ემოცია; „დედისერთა" ბავში კოლექტივში, საზოგადოებაში ცუდად ვრძნობს თავს: ის შეპყრობილია სირცხვილით, რომელსაც იწვევს იმის შიში, რომ შესაძლოა მას არ მიექცეს სათანადო ყურადღება.

აი, ასეთ უბედურსა და ანტისაზოგადოებრივ ტიპს წარმოადგენს „დედისერთა" ბავში,—იზოლაციაქმნილი აღზრდის მსხვერპლი.

ე. **ნეტერი** „დედისერთა" ბავშს „თანამედროვე ცხოვრების საშუხარო მოვლენას" უწოდებს და, მართლაც, საჭიროა ზომების მიღება ამ მოვლენის ლიკვიდაციისათვის. ერთხელ და სამუდამოდ უნდა იქნეს უარყოფილი ცრუ აზრები: 1) თითქოს ერთი ბავშით დაკმაყოფილება, აუმჯობესებს რა მის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას, ამით უზრუნველყოფს „საყვარელი შვილის" ბრწყინვალე მომავალს; როგორც დავინახეთ, ასეთი ბავში გაუბედურებული, პასიური, უზნეო, მარტოხელა, მოუმზადებელი, უუნარო, მორცხვი და ანტისაზოგადოებრივი პიროვნება ხდება და 2) თითქოს მეორე ბავში და მისი აღზრდა მშობლებისაკენ მოითხოვს ორმაგ ზრუნვას, შრომას. შეიძლება თამამად ითქვას, და ამას მრავალშვილიანი მშობლებიც ადასტურებენ, რომ ორი ბავშის მიყოლებით აღზრდა მშობლებისაგან უფრო ნაკლებ ზრუნვას და შრომას მოითხოვს, ვიდრე „ეროადერთი" ბავშის აღზრდა, ვინაიდან, როდესაც ოჯახში მიყოლებით ორი—სამი ბავშია, უკანასკნელნი ერთმანეთთან გაერთობიან, მშობლებს აღარ ესაჭიროებათ იყვნენ ბავშის ამხანაგად თამაშობაში, მშობლებს შეუძლიათ ბავშები თავისთვის დასტოვონ და ბავშებიც მხიარულად დიდხანს ითამაშებენ, თავისუფლად იგრძნობენ თავს და სხვა.

ხშირად „დედისერთა" ბავშების მშობლები ცდილობენ აღზარდონ შვილი მის ტოლებს შორის და ამ მიზნით იწვევენ მასთან სხვა

ბავშებს. მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის, რადგან იგი მაინც **სუროგატია** სოციალური აღზრდის, რადგან ბავშის ამხანაგებად მშობლები იწვევენ ხელოვნურად შერჩეულ, ერთფეროვან ბავშთა ჯგუფს: „ჭკვიან“, „წყნარ“ (ე. ი. პასიურ), „ზრდილობიანსა“ და „წესიერ“ ბავშებს. თუ რომელიმე მოწვეული ბავში აქტივობას გამოიჩენს, არ დაემორჩილება „დედისერთა“ განებივრებულ ბავშს, აატირებს მას და სხვა, ცხადია, მშობლები მას „გასწმენდენ,“ ე. ი. გააძევებენ თავისი შვილის ამხანაგთა წრიდან... ასე რომ, ბავშების მოწვევა „დედისერთასთან“ მიზანს ვერ აღწევს.

ბავშის სათანადოდ აღზრდის საუკეთესო საშუალბაა მისი აღზრდა საბავშო დაწესებულებაში, ბავშთა კოლექტივში, რასაც დაახლოვებითაც ვერ გაუწევს მაგიერობას ვერავითარი, თუგინდ საუკეთესოდ დაყენებული, ოჯახური, განცალკევებული აღზრდა.

საბავშო ბაგა, საბავშო ბაღი, საბავშო კერა, საბავშო მოედანი, საბავშო სახლი [1]) და სოციალური აღზრდის სხვა დაწესებულებები, სადაც აღზრდის საქმე საღ პედაგოგიურ საფუძველზეა დაყენებული,—აი სად მოიცილებს ბავში იმ მავნე თვისებებს, რომელიც შემუშავდება მასში ოჯახური, იზოლიაციაქმნილი აღზრდის გამო. საბავშო დაწესებულებაში, რომელიც თანამედროვე ცხოვრების ერთერთ უჯრედს წარმოადგენს, ბავშთა კოლექტივი არის არა ხელოვნურად შერჩეულ ბავშთა ჯგუფი, არამედ მასში შედიან სხვადასხვა ტემპერამენტის მქონე ბავშები, რომელთა ურთიერთზეგავლენა უფრო მრავალმხრივი და პედაგოგიურად მიზანშეწონილი იქნება, ვიდრე ზემომოყვანილი ერთფეროვანი ბავშთა წრის.

ჯერჯერობით კი, სანამ საბავშო დაწესებულებათა ქსელი არ არის საკმაოდ დიდი და არ შეუძლია დაიტიოს სკოლის ასაკამდე ყველა ბავში, საჭიროა, რომ ოჯახში დარჩენილი ბავში არ იყოს იზოლაციაქმნილი სხვა ბავშებისგან, მეტ დროს ბავშთა წრეში ატარებდეს. **ოქტომბრელთა, პიონერთა და კომკავშირის** ორგანიზაციები,—აი საუკეთესო წრე, სადაც ბავში საბოლოოდ განიარაღდება ოჯახის ინდივიდუალისტურ თვისებებისაგან და იქნება აღჭურვილი მომავალი მოწესრიგებული საზოგადოების აქტიური შემოქმედის, მშენებლის და მებრძოლის თვისებებით; ეს თვისებებია: კოლექტიურობა, აქტივობა, კონკრეტულობა, დინამიურობა, პიონერობა (ე. ი.

[1]) საბავშო სახლის ვალია ბავშებს გაუწიოს ოჯახის სრული მაგიერობა და შესაძლებლობაც აქვს მოახდინოს ბავშებზე სათანადო პედაგოგიური ზეგავლენა, რადგან იგი ინტერნატის ტიპის დაწესებულებაა და ბავშები მთელ დროს იქ ატარებენ.

შემოქმედება, ახალი წამოწყების ინიციატივის მატარებლობა), სოციო-ცენტრიზმი (და არა ეგოცენტრიზმი) და სხვა.

თუმცა საბჭოთა წყობილების სინამდვილეში ყოველი მშობელი ღრმად არის დარწმუნებული, თუ რამდენად მიზანშეწონილია შვილების საბავშო დაწესებულებაში მიცემა, არიან ისეთები, უმეტესად „დედისერთა“ ბავშის მშობლები, რომელნიც ერიდებიან თავისი შვილის სოციალურად აღზრდას, რადგან ეშინიათ, რომ: 1) არ მოაკლდეს ძას მოვლა: არ გაცივდეს, არ მოშივდეს და სხვა, 2) არ დაიჩაგროს და არ გაირყვნეს, 3) არ დაავადდეს რომელიმე ინფექციური ავადმყოფობით. მაგრამ როგორც ზემონათქვამიდან დავინახეთ, პირველი ორი მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა. რაც შეეხება მესამე მოსაზრებას, ე. ი. ინფენქციური სენით დავადების შიშს, ამის შესახებ ჩვენ აქ მოვიყვანთ პროფ. **ჩერნის** აზრს, რომელმაც კითხვაზე, თუ რა უფრო საზიანოა ბავშისათვის: ცუდი აღზრდის მიღება, თუ გადამდები სენით დაავადება, ასე უპასუხა: „მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ ცუდი აღზრდა გაცილებით უფრო საზიანოა, ვინაიდან ინფექციით ბავშები ადრე თუ გვიან მაინც დაავადდებიან და ეს გარდამავალი, დროებითი ბოროტებაა, ცუდი აღზრდის შედეგები-კი რჩება და გავლენას ახდენს ადამიანზე მთელი სიცოცხლის განმავლობაში“.

დასასრულ უნდა დავსძინოთ, რომ არ არის დასაშვები მხოლოდ ერთი შვილით დაკმაყოფილება, რადგან შემდეგი შვილები უფრო და უფრო ჯანმრთელი და დაჯილდოვებული არიან. თუ ერთშვილიანობის სისტემა გავრცელდა, მოსახლეობის თვისობრიობა მეტად დაზარალდება, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიურადაც. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ მშობიარობის პროდუქცია თანდათან უმჯობესდება. უნდა ვიფიქროთ, რომ თაობათა მთელი რიგის სიბრძნე, რაც მოცემულია ე. წ. ხალხურ ზეპირსიტყვაობაში, ანუ კოლექტიურ მხატვრულ შემოქმედებაში, სწორედ ერთშვილიანობის სისტემის წინააღმდეგ ილაშქრებს, როდესაც, მაგალითად, ყოფა-ცხოვრების ზღაპრების ერთ დარგში მოთხრობილია უკანასკნელი შვილის შესახებ, რომელსაც ყველა აბუჩად იგდებს, მაგრამ ბოლოს ყოველთვის უფრო ჭკვიანი, მოხერხებული და ცხოვრების პირობებთან შეგუებული გამოდის, ვიდრე მისი უფროსი ძმები (იხ. რუსული ზღაპრები „Иванушка—дурачок'ის შესახებ ან ჩვენ ზღაპრებში „ნაცარქექია“).

ხალხური ანდაზაც: „ერთი-შვილი—არა შვილი; ორი შვილი — ვითომ შვილი; სამი შვილი—კიდევ შვილი; ოთხი შვილი—აი შვილი“—ერთშვილიანობის სისტემის წინააღმდეგ გალაშქრებას წარმოადგენს.

გიორგი დევდარიანი.

საჭიროა თუ არა ზღაპარი? [1]

სადისკუსიო. ნ. ძიძიგურის წერილის გამო

რევოლუციის შემდეგ პედაგოგიურ აზროვნებაში მრავალი ახალი საკითხი წამოიჭრა. რევოლუციამ მთლიანი გადატეხა მოახდინა იდეოლოგიურ ფრონტზე და სკოლამ, როგორც კულტურის ცენტრომ, ყველაზე უწინ განიცადა საზოგადოებაში არსებული იდეოლოგიური ზეგავლენა.

როდესაც შრომის სკოლა მთელი თავისი მრავალმხრივი მოქმედებით მუშაობს მუშათა კლასის სასარგებლოდ და ზრდის ინტერნაციონალურად მოაზროვნე ახალგაზრდობას, საკითხი იბადება: რამდენად ეგუება და დადებით შედეგებს იძლევა არსებული სახელმძღვანელოები, რამდენად მიზანშეწონილად არის შერჩეული სახელმძღვანელო ლიტერატურა ახალგაზრდობისათვის? რა უარყოფითი მოვლენები არის თანამედროვე სწავლების დროს და სხვა მრავალი.

ამ კითხვებზე გასული პრაქტიკის სერიოზული გადასინჯვის შემდეგ შეიძლება დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა. ყველასათვის უდავო და ცხადია, რომ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ოფიციალური სახელმძღვანელოების მიხედვით მდგომარეობა ძალზე გაუმჯობესდა.

გამოცემული სახელმძღვანელოები დაბალი ჯგუფებისათვის (მხედველობაში მაქვს 4 წლ. შრ. სკოლა) მთლიანად თუ არა, 85%-ით მაინც დამაკმაყოფილებელია. არსებული სახელმძღვანელოები ეთანხმება კომპლექსურ პროგრამებში გათვალისწინებულ მასალას და აგებულია საზოგადოებრივ - სასარგებლო შრომისა და მხარეთმცოდნეობის პრინციპებზე, მაგრამ ისიც სწორია, რომ სახელმძღვანელოებს აქვს მრავალი ნაკლი, რომელთა გამოსწორება აუცილებელია.

ზოგი მასალის შესწავლამ შესაძლებელია ახალგაზრდაში განავითაროს ისეთი თვისება, რომელიც საწინააღმდეგო შედეგების მომცემია, ამიტომ ასეთი მასალა თავიდან მოცილებული უნდა იქნას.

ლიტერატურული მასალის შესწავლამ ახალგაზრდაში ისეთი თვისებები უნდა განავითაროს, რომლებიც ეგუებიან საზოგადოებრივ-კოლექტიური ცხოვრების პრინციპებს და ხელს შეუწყობენ სოცია-

ლისტურ მშენებლობას. თითოეულ ლიტერატურულ ნიმუშს, რომელიც ისწავლება, ასეთი მოთხოვნა უნდა წავუყენოთ. მასალა მდიდარი უნდა იყოს როგორც იდეოლოგიური, ესთეტიური, ისე ზნეობრივი, სოციალური თვალსაზრისით.

სახელმძღვანელო ლიტერატურის შერჩევის დროს საკითხი იბადება: როგორი მოცულობით იქნეს გამოყენებული ხალხური პოეზია და კერძოდ ზღაპარი? შესაძლებელია თუ არა ზღაპრებით სარგებლობა?

ამ საკითხს აყენებს ჟურნ. „ახალ სკოლისაკენ"-ში ამბ. ნინო ძიძიგური [1]), რაც დროული და მიზანშეწონილია. როგორ უნდა გამოვიყენოთ ხალხური ლიტერატურა? როგორი მოცულობით? როგორი ფორმით მივცეთ ის ახალგაზრდობას? საჭიროა თუ არა ზღაპარი? მიზანშეწონილია თუ არა ჯგუფებში იმ ზღაპრების სწავლება, რომლებიც შეტანილი იყო აქამდე სახელმძღვანელოებში?

ამ კითხვებზე დაფიქრებული პასუხი უნდა მისცეს თვითეულმა აღმზრდელმა.

რევოლუციამდე და რამოდენიმედ რევოლუციის შემდეგაც ზღაპრულ მასალას ოფიციალურ სახელმძღვანელოებში საკმაო ადგილი ეჭირა, მაგრამ გულახდილად უნდა ვსთქვათ, რომ არცერთი მათგანი რაიმე სერიოზულ, დადებით შედეგს არ იძლეოდა და არც შესაძლებელია მოგვცეს ისეთ ფორმაში, როგორშიც არის ჩამოყალიბებული.

ხალხი თვით ცხოვრების გზაზე ქმნის დაუწერელ ლიტერატურულ ძეგლებს, რომლებიც ზეპირსიტყვაობით გადაეცემიან თაობიდან თაობას; მათში ჩაქსოვილია ამა თუ იმ ეპოქის, ცხოვრების მომენტის ეკონომიურ-პოლიტიკური ფაქტები, მოცემულია თანაგრძნობაც და სიძულვილიც, ბრძოლა მოპირდაპირეთა შორის, რაც იმავე კლასური წინააღმდეგობის ნიშნებია, მაგრამ ხშირია, რომ ხალხი თავისი ცხოვრების გაუმჯობესების პირობებს მომავლისათვის აიდეალებს და მისტიური სამოსელით მოსავს მას, რამაც ჩვენამდე ზღაპრების სახით მოაღწია.

ხალხში მრავალი ასეთი ზღაპარია გავრცელებული, განსაკუთრებით მოხუცთა შორის, რომლებსაც ჯერაც არ დაუკარგავთ თხრობის ინტერესი; განსაკუთრებული ინტერესი ზღაპრებისადმი ახალგაზრდებს აქვთ—ეს სწორია; ახალგაზრდა დაინტერესებულია

---

[1]) იხ. „ახალ სკულისაკენ" 1928-29 წ. № 3.

წარსულით და შემთხვევის დროს მეტ ინტერესს და ყურადღებას იჩენს.

მართალია ამხ. ძიძიგური, როცა ამბობს „რამდენი შემთხვევაა, რომ როდესაც ბავში ცელქობას ეწევა. . . მავნე ცელქობას ეწევა, საკმარისია, ზღაპარის დაპირებით დაუძახოთ და თქვენთვის სასურველი საქმე გააკეთებინოთ“. ასეთი აღტკინება ზღაპრისადმი მრავალჯერ მე თვითონაც განმიცდია, როცა ზამთრის დიდ ღამეებში ოჯახი გარეშე საზრუნავს მოკლებულია და შინაგან ხელსაქმეს ეწევა.

ზღაპრებმა, რომლებშიც მოთხრობილია ამბები სხვადასხვა უზარმაზარ საშიშარ ცხოველებზე და მითიურ ტიპებზე (ასთავიანი დევები, ალები, ქაჯები, ჭინკები, კუდიანები, ეშმაკები, ძაღლთაპირები ანგელოზები და სხვა მრავალი), შესაძლებელია ახალგაზრდაში, ჯერეთ ნორჩ არსებაში, რომელსაც ლოღიკური აზროვნების უნარი ჯერ არ განვითარებია და არ შეუძლია ანალოგია გააკეთოს თქმულსა და რეალურ ცხოვრებას შორის, გამოიწვიოს ფსიქიური გარდატეხა ძლიერი ცვლილება, რომელმაც დაღი დასდოს ახალგაზრდის მომავალ ცხოვრებას, ამის ილუსტრაციაა ლომაურის „ქაჯანა“: ქაჯანას ენის ჩავარდნა დიდ ხუთშაბათს ცეცხლზე გადახტომის დროს, როცა მან თავისი და ეშმაკად წარმოიდგინა.

ამიტომ ვერ დავეთანხმებით ამხ. ძიძიგურს, როცა ამბობს „ზღაპარი ბავშის ფსიქიურ ორგანიზაციას აყალიბებს; თხრობის დროს მსმენელი (ბავში) ლოღიკურად აკავშირებს ერთ ეპიზოდს მეორესთან, მეორეს მესამესთან და ასე შემდეგ“ [1]). პატარა ბავშში ლოგიკური აზროვნების მინიმუმი ჯერ კიდევ არ არ არის გამომუშავებული და, მაშასადამე, მას ასეთი გარჩევის უნარიც არ აქვს. ამიტომ ზღაპარი მასში განავითარებს სხვადასხვა უარყოფით მოვლენას: შიშს, ეგოიზმს, ცრუმორწმუნეობას და სხვას, რადგანაც „მსმენელმა“ თხრობილი მიიღო, როგორც დოგმა და ის ვერ გაატარა კრიტიკის ქარცეცხლში. მიუხედავად მრავალი უარყოფითი გავლენისა, ახალგაზრდობაში მაინც დიდი მისწრაფებაა ზღაპრისადმი. სხვადასხვა ასაკის ბავშს სხვადასხვა შინაარსის ზღაპრები მოსწონთ, მაგალითად, „6 წლამდე ბავშებს აინტერესებთ ცხოველთა სამეფო“ [1]), 6-17 წლის ბავშებს—სხვადასხვა რაინდული მოქმედებებისა და სქესთა შორის დამოკიდებულების ზღაპრები, შემდეგ ასაკში კი უფრო სერიოზული მებრძოლი ტიპები მეტად დიდ ინტერესს იწვევენ და ტიპების შე-

[1]) ნ. ძიძიგური—„ახ. სკოლისაკენ“ 1928-29 წ. № 3. გვერდი 40(173).

სწავლა-გარჩევაც ხდება. აქ უკვე კრიტიკული მსოფმხედველობა ძალზე განვითარებულია. ამიტომ 15 წლიდან ბავშში ზღაპრის მისტიურ-თელეოლოგიური ტიპი გავლენას ვეღარ ახდენს.

ზღაპარს თავისი ფორმა და სტილი ახასიათებს, რომელიც ანარეკლია წარსული ცხოვრების პირობებისა და შემდეგ რამოდენიმედ ევოლუციაგანცდილიც არის, რადგანაც დროთა განმავლობაში ძველ შინაარსში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი.

ზღაპრები, რომლებიც ჩვენში მოიპოვებიან დაწერილი თუ დაუწერელი, 95%-ით გაიდეალებულია და თელეოლოგიურ საფუძველზეა აშენებული; მათში მოთხრობილია რეალურ ცხოვრებასთან შეუფერებელი ამბები, მაგ. „ასთავიანი დევები", „ეშმაკები", „ასფურცელა" კაცები, მუტაციონალური გარდაქმნა ბავშების ბუებად, ქალების—ფრინველებად და სხვა.

აქამდე სახელმძღვანელოებში შევხვდებოდით აღნიშნული ტიპის ზღაპრებს—„როგორ გაჩნდენ ბუები ქვეყანაზე", „წიქარა" და სხვა, რაც მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. ზღაპრის შინაარსში საფუძველს მოკლებული მრავალი მოსაზრებაა, რომელიც გავრცელებული იყო მრავალი ათასი წლის განმავლობაში ხალხში; ასეთი ზღაპრების იმ ფორმებით სწავლება, ანდა თუ გინდა იმ შინაარსითაც, როგორიც ჰქონდა მათ აქამდე მიზანშეუწონელია.

თუკი მივიღებთ და დავისაჭიროებთ ასეთ ზღაპრებს, მაშინ ჩვენ ხელს შევუწყობთ შემდეგი უარყოფითი, ანტისაზოგადოებრივი თვისებების განვითარებას ახალგაზრდაში:

1. ეგოიზმი, 2. რელიგიური ცრუმორწმუნეობა, 3. ფსიქიური ავადმყოფობა, შიში, გალუცინაციები და სხვა. 4. ნაადრევი სქესობრივი აღტკინება და 5. ცხოვრების ფაქტების ზედმეტად გაიდეალება.

აღნიშნულმა ანტისაზოგადოებრივმა ინსტინქტებმა ზღაპრების გარეშეც შეიძლება იჩინოს თავი, რის წინააღმდეგაც უნდა მივმართოთ ყოველგვარი პედაგოგიური ზომა, რომ ისინი აღმოვფხვრათ და მათ **მაგიერ განვავითაროთ,** გავაღვივოთ ისეთი მისწრაფებანი, რომლებითაც უნდა შექმნას ახალგაზრდობამ მომავალი ცხოვრება. აღზრდის პროცესში, მაშასადამე, დიდი მნიშვნელობა აქვს შესაფერ ლიტერატურას, და ასეთი ზღაპრებიც მისაღები არ არის.

ამხ. ძიძიგური აყენებს ძველი ზღაპრების გარდაქმნის **საკითხს,** რაც მიზანშეწონილი და სწორია.

„თუ ზღაპარი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონეა, ის უნდა გამოვიყენოთ ჩვენთვის მისაღები იდეოლოგიით, და შევქმნათ ზღაპრის ახალი სიუჟეტები სამოქალაქო ომზე, წითელი არმიის გმირობაზე, ელექტროფიკაციაქმნილ სოფლებზე, რევოლუციონურ გამოსვლებზე და სხვა“ [1]). კლასობრივი ბრძოლის უკანასკნელი მდგომარეობის შესახებ გავრცელებულ თქმულებებს, უმთავრესად მნიშვნელოვან საკითხებზე, უკვე წერილობითი ხასიათიც აქვს—მრავალი ლიტერატურული ეტიუდი გვაქვს, რომლების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ზღაპრების ხელოვნური გარდაქმნა წინასწარი მიზნით, მისი შევსება და შელამაზებაც არ არის მიზანშეწონილი, რადგანაც ეს იქნება ხალხური მწერლობის, ზეპირსიტყვიერი მასალის გადასხვაფერება, ამით ჩვენ ხელოვნურად დავუკარგავთ მნიშვნელობას, საკუთარ ფორმასა და ჟანრს ხალხურ პოეზიას; ამიტომ, ჩემი მოსაზრებით, ხალხური ზღაპრების ლიტერატურული კანონების მიხედვით გადამუშავება მცირე ასაკის ბავშთათვის და ზღაპრის სახელით მიწოდება არ იქნება მიზანშეწონული, უფრო სწორი იქნება, რომ ასეთი ზღაპრების ხმარებას გვერდი ავუხვიოთ და მათ ნაცვლად ვიხმაროთ კონკრეტული ფაქტები, მოთხრობების სახით.

ამით ჩვენ ის არ გვინდა ვთქვათ, რომ „ზღაპრები საჭირო არ არის“, არამედ ის, რომ ზღაპარი არ არის საჭირო დაბალი ასაკის ბავშებისათვის, განსაკუთრებით ჩვენი აღმზრდელობის დროს, ე. ი. სწავლის დროს სკოლაში. „ჩვენ კატეგორიულათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არავითარი წესდებით, ბრძანებით და ხერხებით არ შეიძლება ზღაპრების აკრძალვა, რადგან, სულ ერთია ამით მიზანს მაინც ვერ მივაღწევთ“ [2]).

თუ ჩვენ მოვინდომეთ ზღაპრების აკრძალვა მასიურად, ეს შეუძლებელი გახდება, რადგანაც ეს იქნება ხალხური კულტურის წინააღმდეგ გალაშქრება, რაც ყოველგვარ საფუძველს იქნება მოკლებული ზღაპრები შეიძლება ავკრძალოთ და მიუღებლად მივიჩნიოთ სწავლების დროს, ე. ი. სკოლაში, მაგრამ ზღაპრების ზემოქმედებას ახალგაზრდობაზე იმ სახეებით, როგორც აღვნიშნეთ, მაინც ექნება ადგილი, რადგანაც უმთავრესად ახალგაზრდობა ზღაპრების 85%-ს ოჯახებში ეცნობა, მაგრამ სკოლაში მისი აკრძალვით ჩვენ შევამცირებთ იმ უარყოფით მოვლენებს, რომელიც თან სდევს ასეთ ხალხურ

---

[1]) „ახ. სკოლისაკენ“ 1928-29 წ. № 3, გვ 42-3 (174-5).

[2]) „ახ. სკოლისაკენ“, 1928-29 წ. № 3, გვ. 41 (173).

გათვითცნობიერებას და თანაც საშვალება გვექნება ბრძოლა გამოვუცხადოთ მეტი ინტენსივობით, აღმოვფხვრათ ბავშებში „ზღაპრების მიერ ფსიქიურად ჩამოყალიბებული თვისებები, რომლებიც ანვითარებენ ანტისაზოგადოებრივ ინსტინქტებს.

ზღაპარი ხალხის შემოქმედებაა, ის აგებულია თეოლოგიურ საფუძველზე და მასში მრავალი ანტისაზოგადოებრივი პრინციპია, ამიტომ მისი მიწოდება მცირე ასაკის ახალგაზრდობისათვის, რომელთა შორის ჯერჯერობით არ გამომუშავებულა კრიტიკული აზროვნების უნარი, მიზანშეუწონელია.

მიხეილ ჩიქოვანი

ს. დერჩის 7-წლედის მასწავლებელი.

ჩვენი სკოლების მუშაობიდან

აგებგმვა-აღრიცხვის შესახებ

უდავოა, რომ შრომის სკოლა ისეთი სასწავლო სკოლაა, რომელსაც აინტერესებს ბავშის მთელი ცხოვრება, ანგარიშს უწევს არა მარტო შთაბეჭდილებათა მიღებას, არამედ ბავშის შემოქმედებით ძალებსაც, არა მარტო პასიურს, არამედ აქტიურ მხარეებსაც. მოზარდი თაობა, როგორც ვიცით, ყველგან და ყოველთვის ოჯახის, საზოგადოების, თვით ხელისუფლების იმედად და ბურჯად არის მიჩნეული, და იგი ისე უნდა აღვზარდოთ, როგორც ამას შრომის სკოლის ინტერესები მოითხოვს, ამისათვის კი საჭიროა, სანამ მასწავლებელი გეგმის შედგენას შეუდგებოდეს, წინასწარ შეეხოს იმ ძირითად დებულებებს, რომლებზეც უნდა დაეყრდნოს გეგმის შედგენის დროს.

უპირველესად ყოვლისა ჩვენი მიზანია ბავშების ჰარმონიულად აღზრდა, (რამდენადაც ეს შეეფერება ახალი თაობის ამა თუ იმ ასაკსა და განვითარებას). ჩვენ გვწამს, რომ ამ მიზანს მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, როდესაც მის აღზრდას წავუმძღვარებთ გონივრულად მოფიქრებულ და გათვალისწინებულ ყოველდღიურ მუშაობას.

„Каждая индивидуализированная цель оправдывается только в той мере, поскольку она может быть желательна, как часть общей цели“,—ამბობს კენშენტეინერი. ვეყრდნობით რა ამ თვალსაზრისს, ჩვენ ვქმნით ისეთ რგოლებს, რომლების ერთმანეთთან დაკავშირება გაგვიადვილებს ჩვენი საბოლოო მიზნის მიღწევას და ამასთან კერძო ხასიათის მიზნების მთავარ მომენტში ჩამოყალიბებას.

შესაძლებელია ამ შემთხვევაში ვეწინააღმდეგებოდეთ მასწავლ. სტანისლავ შაცკის აზრს, რომელიც ამბობს: „შრომის სკოლა კი არ

ამზადებს ბავშებს მომავალი ცხოვრებისათვის, იგი თვით ცხოვრებაა“, მაგრამ ამას ჩვენ ჩავდივართ იმის გამო, რომ პირობები, რომლებშიაც გვიხდება მუშაობა, არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ სრულიად მივიღოთ ეს აზრი, მაგრამ ვიღებთ ჯონ დიუის აზრს, სახელდობრ: „ აზროვნება, რომელიც მოკლებულია გამოცდილებასთან დაკავშირებას, ცხოვრებიდან გარიყვაა, ხოლო, პირიქით, გამოცდილების ერთი უნცი მსჯელობის ტონებზე მეტი ღირს“. ამისათვის საჭიროა ყოველი ხერხის და ღონის ხმარება, რომ ჩვენ მიერ გადაცემული ცოდნა ბავშების ფართე პრაქტიკულ მუშაობასთან იქნას დაკავშირებული, ამ დროს ბავშებს ცხოვრების არც ერთი მხარე არ დარჩებათ კვლევა-ძიების გარეშე.

ყველასათვის ცხადია, რომ სკოლაში მშრალ სწავლას არ შეუძლია დააკმაყოფილოს ბავშის მოძრავი ბუნება და ყველა იმ საკითხს პასუხი გასცეს, რომლებიც მას ძალაუნებურად წარმოუდგებიან ხოლმე. ასეთი საკითხების რიცხვი ყოველდღიურად ფართოვდება, იზრდება და მათი ასე თუ ისე გადაწყვეტა პასუხზეა დამოკიდებული, და თუ ბავშმა შესაფერი პასუხი ვერ მიიღო უფროსისაგან, მაშინ ის თვითონ აძლევს თავის თავს თავისებურ პასუხს გაურკვეველ საკითხზე და ითვისებს კიდეც მას, რასაც შესაძლებელია ბავშის დამახინჯებაც მოჰყვეს. საერთოდ ძნელია იმისი შეგჩნევა, თუ როგორა ხდება ეს პროცესი, მაგრამ აქ არის საჭირო შეგნებული, აწონ-დაწონილი, აღმზრდელობითი ხელმძღვანელობა. ჩვენი საბოლოო მიზანია ბავშის გონებაში თანდათანობით შევიტანოთ ჭეშმარიტი შეგნება იმისა, რაც მას გარს ახვევია, ე. ი. ყველა იმ მდგომარეობის, რასაც მას გარშემო აქვს ადგილი, და განსაკუთრებით გაცნობა და შეგნება იმ საზოგადოებრივი წყობილებისა, რომელშიც ის უნდა შეიქნეს აქტიური მონაწილე, მოქმედი და მშენებელი.

ოქტომბრის რევოლუციამ ძირიან-ფესვიანად დაანგრია ძველი წყობილება, და ეს დანგრეული წყობილება საერთოდ მშრომელთა ფართო მასას გადასცა სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის მიზნით, რასაც ყოველდღიური გეგმიანი მუშაობა ესაჭიროება. ჩვენი მიზანიც ისაა, რომ ბავშები თავიდანვე მივაჩვიოთ გეგმიან მუშაობას.

ყველამ კარგად იცის, რომ საბჭოთა შრომის სკოლა არ უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმით, რომ მოწაფეებს მისცემს სხვადასხვაგვარ ცოდნას, და საბჭოთა შრომის სკოლა არის და უნდა იყოს კიდეც კულტურის ერთეული ქალაქად და განსაკუთრებით თემში, მან უნდა აწარმოოს საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა, ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების წინსვლა- გაკულტურებულობას. სკოლას, რო-

მელსაც შემუშავებული აქვს წლიური საწარმოო გეგმა, არ შეუძლია შესასრულებელი სამუშაო მასალა, რომელიც მას აქვს გათვალისწინებული წლიურ საწარმოო გეგმაში და შემდეგ კი უფრო გაშლილი სამუშაო თემატიურ პროგრამაში, — უგეგმოდ გადიტანოს ყოველდღიურად ჯგუფში. ხელმძღვანელი მორიგი მუშაობის განრიგებაში ითვალისწინებს და აწესრიგებს მთელ რიგ იმ საკითხებს, რაც მან ჯგუფში უნდა გააკეთოს ამა თუ იმ სამუშაო დღეს. ჩვენი მიზანია— ბავშები ამ თავითვე მივაჩვიოთ გეგმიან მუშაობას. საერთოდ ყველა მასწავლებელი აწარმოებს აგეგმვა-აღრიცხვას, ე. ი. სანამ ჯგუფში საკითხების დამუშავებას დაიწყებდეს, მანამ გეგმავს იმავე საათში დასამუშავებელ მასალას და მეცადინეობის დამთავრების შემდეგ კი აღრიცხვაზე გადადის, მაგრამ არის თუ არა ასეთი მუშაობა გეგმიანი და ნაყოფის მიღება შეიძლება თუ არა?

მე მგონია, და ჩემივე გამოცდილებიდან ვიცი, რომ ამას არავითარი ნაყოფის მოტანა არ შეუძლია და ვერც გეგმიან მუშაობას შევასწავლით ბავშებს, რადგანაც გეგმა 1 წუთის, თუგინდ 1 საათისა, სწორი არ არის.

ამ შემთხვევაში როგორ მოვიქცეთ, როდესაც სულ გეგმიან მუშაობაზე გავიძახით?

საჭიროა ყოველდღიური მუშაობის აღრიცხვის შემდეგ აიგეგმოს მომავალი დღის სამუშაო მასალა და არა იმავე დღის, რადგანაც ამ აგეგმილი საკითხის მიხედვით ბავშები თვითონ პოულობენ მასალასაც და შესაძლებელიც არის სრულიად ახალი საკითხიც წამოაყენონ მომავალი დღისთვის (ე. ი. მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილია ბავშებზე). სამუშაოდ. და თუ იმ სამუშაო დღეს ვერ შესრულდა გათვალისწინებული მასალის დამუშავება, რაც ბავშებთან ერთად აგეგმილ იქნა აღრიცხვის ჩატარების შემდეგ, ის გადატანილი იქნება შემდეგი სამუშაო დღისთვის. საღრიცხვო რვეულები დღიურ სამუშაო მასალად უნდა გადაიქცეს და ასეთის წარმოება სამუშაო საათებშივე უნდა შესრულდეს, დაახლოვებით 15 წუთამდე უნდა გრძელდებოდეს და არა ორი და სამი საათი, როგორც ამას ბორჯომის სკოლებში აწარმოებენ. ჯგუფში აგეგმვა პრიმიტიულად უნდა ჩატარდეს არა იმიტომ, რომ ჩვენ თვალახვეულად და დაქვეითებულად ამოვწუროთ ეს საკითხი, არამედ იმიტომ, რომ საკითხებიდან ამოვიღოთ „ძირი“, მხოლოდ ისეთი საკითხი, რომელიც დასამუშავებელი გვაქვს და მივცეთ ბავშებს მომავალი დღისათვის სამუშაოდ, რასაც აუცილებელი დიდი ნაყოფის მოცემა შეუძლია.

გ. სებისკვერაძე.

ბორჯომის მუშათა უბნის 7-წლედის მასწავლებელი.

ცოტა რამ დისციპლინის შესახებ სკოლაში.

სკოლა, რომელშიც პედაგოგიური აღზრდის საქმე ნორმალურ კალაპოტში არის ჩაყენებული, ნაკლებ ყურადღებას აქცევს დისციპლინას, იქ ეს საკითხი მჭიდროდ დაკავშირებულია სხვა საკითხებთან, და აღზრდის საქმე წინ მიდის.

დიდი გავლენა აქვს წრეს და პირობებს, რომელშიც ბავშს უხდება ცხოვრება, მისი ყოფაქცევის სახეები სწორედ ამ მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

ხელმძღვანელმა უნდა შეისწაელოს ბავშების ბუნება, მათი მისწრაფებანი, წრე, საიდანაც ისინი არიან გამოსული (არაპროლეტარული ფენებიდან გამოსული ბავშები სკოლამ თავისი გავლენის ქვეშ უნდა მოაქციოს), მშრალად და ფორმალურად არ უნდა მიუდგეს ბავშებს, თორემ მათ შორის უფსკრული გაჩნდება.

მოწაფეთა თვითორგანიზაციას მთავარი ადგილი უჭირავს წესრიგის დამყარებაში. სასურველია ბავშები პატარაობიდანვე შეეჩვიონ თავისი საქმის გაძღოლას, დაბრკოლებათა გადალახვას, რომ უფრო მომზადებული გამოვიდენ ცხოვრებისათვის. ცხადია, საჭიროა მასწავლებლის ხელმძღვანელობა, რომ ახალი სკოლის პრინციპები სწორად და ურყევლად გატარდეს; ის მოვალეა დაეხმაროს ბავშებს წესრიგის გამომუშავებაში, ვინაიდან მათ აკლიათ საჭირო გამოცდილება. ბავშები შეეცდებიან მათ მიერ დადგენილ წესებს დაემორჩილონ, თითოეული მათგანი იგრძნობს, რომ ცუდი ქცევისათვის მან პასუხი უნდა აგოს ამხანაგების წინაშე.

ხელმძღვანელმა თავისი მუშაობის ასპარეზი უნდა გადაიტანოს ოჯახში, მშობლებთან და იმსჯელოს მათთან აღზრდის საკითხების შესახებ, ვინაიდან ოჯახი არის პირველი სკოლა ბავშისათვის.

სკოლაში მკაცრი წესების შემოღება მავნებელია, საზიანოა აგრეთვე მოწაფეებისათვის ზედმეტი თავისუფლების მიცემა.

ხელმძღვანელი არ უნდა ცდილობდეს წესრიგის დამყარებას დასჯის და დაშინების საშუალებით. ამ ღონისძიებებით ვერავითარ შედეგებს ვერ მიაღწევს, ვინაიდან ბავშები ეჩვევიან დასჯას და თუ ეს უკანასკნელი თანდათანობით მკაცრ სახეს არ იღებს, ეკარგება თავისი ძალა. საჭიროა დამნაშავეს გამოვკითხოთ, თუ რა მიზეზის გამო ჩაიდინა დანაშაული. მოწაფემ ვერ უნდა შეამჩნიოს ხელმძღვანელს, რომ ის გულმოსულია მისი ცუდი ქცევით, თორემ მის აღმზრდელობით დარიგებას ძალა ეკარგება, ამის გამო ხელმძღვანელს მარ-

თებს უსაზღვრო მოთმინება. მის სიტყვებში უნდა იხატებოდეს არა ბრძანების, არამედ რჩევის და დარიგების კილო. სასურველია, რომ დარიგებას თან ახლდეს მაგალითის, მოყვანა, რომ მტკიცედ ჩაენერგოს ბავშს ცნობიერებაში მისი სიტყვები. უკიდურეს შემთხვევაში დასაშვებია ძნელად აღსაზრდელი მოწაფის მოცილება დროებით მაინც; დასჯილი უნდა გრძნობდეს, რომ ყველანი მწუხარებით ხვდებიან მის მოცილებას.

ბავშებს რაიმე მიზანი უნდა ამოძრავებდეს, როდესაც ამა თუ იმ საქმეს აკეთებენ, მაშინ ვერ იგრძნობენ, რომ მუშაობენ ან სწავლობენ, ვერ იგრძნობენ დაღალვას და ინტერესით იშრომებენ. ისინი უნდა გრძნობდენ, რომ მათ მიერ გაკეთებულ საქმეს სარგებლობის მოტანა შეუძლია.

აუცილებლად უნდა ჩავაბათ ბავშები საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეში, მთელ თავის ენერგიას ისინი ამ მხრივ წარმართავენ და ნაკლები ადგილი ექნება მათგან ბოროტმოქმედების ჩადენას ან რაიმე ნივთის გაფუჭებას.

ყოველი ახალი გაკვეთილი საჭიროა დაკავშირებულ იქნეს წარსულთან და აგრეთვე ის უნდა შეიცავდეს რაღაც ახალს,—ერთფეროვნება იწვევს ყურადღების შესუსტებას მოწაფეთა მხრივ. როგორი გასაგებიც გინდა იქნეს გაკვეთილი, ხელმძღვანელი მაინც არ უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ მოწაფეებმა მისი ნათქვამიდან ყველაფერი გაიგეს.

არ არის საკმარისი, რომ ბავშს მხოლოდ გონება განვუვითაროთ, ჭეშმარიტი განვითარება გულისხმობს მთელი მისი ძალების ჰარმონიულად აღზრდას. დახუთულ ოთახში დიდხანს ყოფნით ბავშის გონება ვერაფერს შეითვისებს, პირიქით, დაჩლუნგდება; ამისათვის საჭიროა დროგამოშვებით ფიზკულტურით სარგებლობა, რომ მისი ორგანიზმი სუფთა ჰაერზე გამაგრდეს და შემდგომ გაკვეთილზე მეტის ყურადღებით მოეკიდოს საქმეს. ცხადია, გადაჭარბებული ვარჯიშობა და თამაშიც მავნებელია.

მასწ. **ალექსანდრე ჭეიშვილი.**

სკოლა და სასოფლო მეურნეობა

წერილი ყაზბეგის თემიდან

საქართველოს ყოველ კუთხეში უდიდეს ყურადღებას აქცევს საბჭოთა ხელისუფლება ხალხის ცოდნის დონის აწევას, მას სურს ხელი შეუწყოს კულტურული რევოლუციის მოხდენას სოფლად, რაც აუცილებელია საზოგადოების სწრაფად და წარმატებით განვითარებისათვის. ამისათვის საჭიროა ამ გარემოებას სკოლამ უდიდესი ყურადღება მიაქციოს, ის უნდა შეიჭრას სოფლის ცხოვრების ყველა დარგში და შეებრძოლოს სიბნელესა და უვიცობას, მაგრამ, მე მგონია, ოთხწლედი დამოუკიდებლად ამ დიდი საქმის გაკეთებას ვერ შესძლებს, ამისათვის საჭიროა მჭიდრო კავშირის გაბმა სოფლის ახალგაზრდობის სკოლებთან, რომელნიც აღმოუჩენენ სათანადო დახმარებას და ხელმძღვანელობას გაუწევენ.

ყაზბეგის თემში არსებობს სოფლის ახალგაზრდობის სკოლა, სადაც ჰყავთ ხევსურული ძროხები და წარმოებს მათი ნორმალური კვება გაუმჯობესებული წესით, რასაც ეცნობიან ადგილობრივი ოთხწლედის მოწაფეები და თავისი ოჯახის წევრებს შემდეგ სათანადო ახსნა-განმარტებას აძლევენ, რის შედეგი სოფლად ნაწილობრივ უკვე ჩანს.

მე მგონია, სოფლად ასეთ მუშაობას შედეგად მოჰყვება კულტურული დონის ამაღლება და სასოფლო მეურნეობის დარგში ბევრი სიახლის შეტანა. თუ ყველანი ერთგულად ვიმუშავებთ ამ მიმართულებით (ჩვენი სკოლის მეოხებით), მალე აყვავდება ყაზბეგის თემის მესაქონლეობა, რომელსაც მთავარი ყურადღება ექცევა ჩვენს თემში. ოთხწლედი და სოფლის ახალგაზრდობის სკოლა ჩვენი თემის დედაბოძია კულტურულ დარგში. ოთხწლედთან ერთად სოფლის ახალგაზრდობის სკოლები გაავრცელებენ იმ კულტურას, რომელიც მეურნეობის საქმეს სასურველ ნიადაგზე დააყენებს.

ალექსანდრე დუმბაძე.
ს. ყაზბეგის საბავშო სკოლის მასწ.

ფიზკულტურა და ჩვენი სკოლები

წერილი ზემო სვანეთიდან

ჩვენს შრომის სკოლებში ვარჯიშობას ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი. მოწაფეობას წარმოდგენა არა აქვს ფიზკულტურაზე და მის მნიშვნელობაზე. შეგნებულ კაცს რომ ჰკითხო ფიზკულტურის მნიშველობაზე, ის გიპასუხებსთ: „ფიზკულტურა არის თავდები

ჯანმრთელობისა, სისხარტისა და სილამაზისა". მიუხედავად მისი ასეთი მნიშვნელობისა, განსაკუთრებით ჩვენი მოსახლეობისათვის, მას მაინც არ ექცევა ყურადღება ზემო სვანეთის სკოლებში და არც სკოლის გარეშე. ხალხის ფიზიკური აღზრდის საქმე ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს ხელშია. ის ყველგან და ყოველთვის აწარმოებს ფიზიკური აღზრდის საქმეს, სკოლებშიც და სკოლის გარეშე, ჩვენი მაზრისათვის კი ყურადღება არ მიუქცევია. სხვა მაზრებში იშვიათად ნახავთ მოზარდ ბავშს, რომელიც არ იყოს პიონერთა კოლექტივში და ვერ გაგიმარტოსთ ფიზკულტურის მნიშვნელობა მოსახლეობისათვის. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი მოზარდი თაობა ძალიან დაინტერესებულია ამით. ჩვენი მაზრის ბავშებს კი არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ფიზკულტურის შესახებ, რადგან არ არის ჩამოყალიბებული პიონერთა კოლექტივები არც სკოლაში და არც სკოლის გარეთ, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. მხოლოდ სამაზრო ცენტრში არის პიონერთა ერთი კოლექტივი, რომელშიც ოციოდე ბავში ირიცხება. ხშირად შეხვდებით ამ ცენტრის ახლო მდებარე სოფლის ბავშებს, საქონლის მწყემსვის დროს რომ ბაძავენ პიონერთა ამა თუ იმ მოძრაობას. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მაზრის ბავშები არა ნაკლებ არიან დაინტერესებული ამ საქმით. ტანყარჯიშის ერთ-ერთ დარგს შეადგენს თამაშობა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშის, მოსწავლე ახალგაზრდის, და აგრეთვე მთელი ხალხის, მთელი ერის ცხოვრებაში. ეხლა გაკვრით შევეხები, ყოფილა თუ არა ძველად გასართობ-თამაშობანი როგორც ჩვენში, აგრეთვე უცხოეთშიც.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ სხვადასხვა ერის მწერლობას და ისტორიას, ნათლად დავინახავთ, თუ როგორ მნიშვნელობას აკუთნებდენ უწინ თამაშს. თამაშით ხასიათდება აგრეთვე ამა თუ იმ ერის ზნე-ჩვეულებაც, სიმარდე და ვაჟკაცობაც. უძველესი დროიდან თამაშობას ყველა ერის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა. საბერძნეთის ისტორიაც გადმოგვცემს, რომ იქ თამაშს დიდი გასავალი ჰქონია. თამაშში თითქმის მთელი ერი იღებდა მონაწილეობას ამ მხრივ არც ქართველი ხალხი ყოფილა ჩამორჩენილი, აქაც დიდი გასავალი ჰქონდა თამაშობას. ყველგან იპოვით ამ თამაშობათა აღწერას. ბრძოლის წინაც კი იმართებოდა ძველად ბურთის თამაში, მაგალითად, მე-12 საუკუნეში ქიზიყის მინდვრებში ყარაღაჯის ახლოს აუარებელი თათრის ჯარის მოლოდინში გაიმართა ლელო-ბურთის თამაში, სადაც გამარჯვება ერთ ინგილოელს ერგო. სიტყვა „საბურთალოც" იმავე წარმოშობისაა. დღემდე ჩვენში ნაშთად არის დარჩენილი საზეიმო დღესასწაუ-

ლი ქ. ფოთში — პირველ მაისს. ამ დღეს იქ იმართება ლელო-ბურთის თამაში, რომელშიც მონაწილეობას იღებენ გურულები და მეგრელები. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არის დარჩენილი ჯირითი, რომელსაც არა ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული ძველად, და სხვა. აქედან შეგვიძლია ის დავასკვნათ, რომ წარსულ საუკუნეებში ოურმე ფიქრობდა ხალხი თავის ჯანმრთელობაზე, დღეს კი, მეოცე საუკუნეში, ამ გარემოებას უკვე სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენს მაზრის შრ. სკოლებში თამაშობას, როგორც ტანვარჯიშის ერთ დარგს, ფართო ადგილი უნდა დაეთმოს. ეს მდგომარეობა წაახალისებს ბავშვებს, შეაკავშირებს მათ, ადვილად ჩავუნერგავთ სკოლისადმი სიყვარულს. ამისათვის საჭიროა ჩვენი მასწავლებლობის მიერ შემოღებულ იქნას სკოლებში თამაშობანი (ყოველგვარი თამაშობის დროს ხელმძღვანელობაა საჭირო), ჩვენი მაზრის მასწავლებელთა მომავალ კონფერენციაზე დაისვას ეს საკითხი, სამაზრო აღმასკომმა ამის მოგვარებისათვის მიმართოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს, რომ ერთიმეორის დახმარებით მოაწესრიგონ ეს დიდი საქმე და ჩამოაყალიბონ ფიზკულტურის ინსტრუქტორთა და მასწავლებელთა შტატი.

ვ. ყრუაშვილი.
უშგულის შრომის სკოლის გამგე

როგორ შევარჩიოთ ჯგუფის სახელმძღვანელოები?

წერილი რაჭა-ლეჩხუმის მაზრიდან

ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენმა შრ. სკოლებმა კულტურულ-განმანათლებელ ფრონტზე დიდ შედეგებს მიაღწია. სკოლა კულტურის ცენტრია სოფლად, სკოლა მთავარი ორგანიზატორია მარქსიზმის გასავრცელებლად, ის ყოველ ნაბიჯზე ებრძვის ქალაქად და სოფლად სხვადასხვა მავნე ზნე-ჩვეულებას, ძველ ტრადიციებს, რომელნიც ბოჭავენ ახალგაზრდობას, ხელს უშლიან მის საღ აზროვნებას.

ახალგაზრდობა სკოლიდან იღებს მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას მომავალი ცხოვრების განჭვრეტისათვის, მისი რაციონალურად მოწყობისათვის. სასკოლო მუშაობის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმძღვანელოების შერჩევის საკითხს. რევოლუციის შემდეგ სრულიად გამოუსადეგარი გახდა ძველი, რელიგი-

გიური ბურუსით მოცული და მეფის გვარეულობის ხოტბა-ქებით სავსე წიგნები, იდეოლოგიურად სრულიად მიუღებელი მუშათა კლასისათვის. ახალი საბჭოთა სკოლები მუშათა კლასის რევოლუციონურ იდეოლოგიაზეა აგებული და ახალ, მასასთან შეფარდებულ სახელმძღვანელოებს მოითხოვს. რევოლუციის შემდეგ 11 წლის განმავლობაში ჩვენმა სკოლებმა მრავალი სახელმძღვანელო გამოიცვალა.

სახელმძღვანელოების ყოველწლიური ცვლა გლეხობაში ხშირად ცუდ შეხედულებას ბადებდა ახალი სკოლების შესახებ. ის შეჩვეული იყო ათეული წლებით ერთისა და იმავე დახავსებული წიგნების ხმარებას. რამდენიმე წიგნის ყიდვა ხშირად უჭირს ჩვენს ღარიბ მოსწავლე ახალგაზრდობას. ერთ წელს ნაყიდი წიგნები მეორე წელს აღარ ვარგოდა და საჭირო იყო ახალი წიგნების შეძენა, და მშობლები ხშირად მასწავლებელს უსაყვედურებდენ, ან ღარიბი მოსწავლეები თავს ანებებდენ სკოლას, მაგრამ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ მხრივ საქმე დიდად გაუმჯობესდა — უმრავლეს შემთხვევაში გამოცემული სახელმძღვანელოები აკმაყოფილებს თანადროულს მოთხოვნილებებს და შეხამებულია კომპლექსურ პროგრამულ მასალებთან, მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ სავსებით არ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროა მომავალში სახელმძღვანელოები უფრო შერჩეული და დამუშავებული იქნეს კომპლექსური პროგრამების მოთხოვნილებათა პრინციპებზე.

მასწავლებელს და მოსწავლეს საშუალება ეძლევა ისარგებლოს სხვადასხვა წიგნით, რომლებიც იძლევა შესაფერ მასალას ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით. მაგრამ აქ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი და საყურადღებო.

I საფეხურის სკოლის ჯგუფებისათვის განსახკომის მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოთა სიაში მოცემულია ზოგი დისციპლინებისათვის ორ-ორი წიგნი და ასერჩევია ერთი მათგანი. მაგ. მე-3 და მე-4 ჯგუფებისათვის რუსულ ენაში „Живая струйка“ ფურცელაძის ან „Новый Мир“, მათემატიკასა და ქართულშიც ასეა.

თითოეული წიგნი, მთლიანად, 100% თუ არა, ცოტა გამონაკლისით მაინც აკმაყოფილებს პროგრამულ მხარეთმცოდნეობის პრინციპებს.

მასწავლებელს შეუძლია ამათგან აირჩიოს ის სახელმძღვანელო, რომელიც უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია ადგილობრივ პირობებში და შეიძინოს ჯგუფებში სამუშაოდ. მაგრამ მასწავლებელნი ხშირად ვერ ეცნობიან ყველა წიგნს და ამიტომ ვერც აირჩევენ წინასწარ. ამის მიზეზია: სახელმძღვანელოთა გვიან გამოცემა და თვით მოსწავლეთა

მიერ მათი დროზე შეუძენლობა, რაც ხშირად აფერხებს საკმაო ცოდნა-ჩვევების მიღებას. მაგალითი: მასწავლებელმა მოსწავლეებს გამოუცხადა, რუსული ენის სახელმძღვანელოდ უნდა შეიძინოთ „Живая струйка“ ფურცელაძის, რომელიც გამოგვადგება მთელი წლის განმავლობაშიო. აღნიშნული წიგნი მოსწავლეებმა შეიძინეს და მეცადინეობაც დაიწყო. გადის რამდენიმე ხანი, და მასწავლებელი გაეცნო, ვთქვათ, მეორე წიგნს—„Новый Мир“, მოეწონა ის და შემდეგ ჯგუფში აცხადებს: „ბავშებო! „Живая струйка“ აღარ ვარგა და უნდა შევიძინოთ „Новый Мир“. აქ ბავშები ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან. მშობლებს საშუალება არა აქვთ შვილისთვის მეორე წიგნი შეიძინონ, და მოსწავლეთა დიდი ნაწილი უწიგნოდ რჩება. მხოლოდ შეძლებული გლეხის შვილები ყიდულობენ. ასეთი შემთხვევები ხდება არა მარტო რუსულ ენაში, ამიტომ საჭიროა მომავალში ამ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. ჯგუფის და საგნის მასწავლებელმა წინასწარ უნდა გაიცნოს, შეისწავლოს გამოქვეყნებული ოფიციალური სახელმძღვანელოები და შემდეგ აირჩიოს ის, რომელსაც უფრო მიზანშეწონილად სცნობს და გამოიყენებს კიდეც მეცადინეობის პროცესში. ამ საქმეში დიდი მოვალეობა უნდა დაიკისრონ **პედაგოგიურმა წრეებმა** და განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელობით უნდა დაამუშაონ ადგილებზე ეს საკითხი, რაც ხელს შეუწყობს ღარიბ მოსწავლეთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და უფრო მეტ ცოდნა-ჩვევებსაც მივცემთ მოსწავლე ახალგაზრდობას.

მ. ჩიქოვანი.
დერჩის 7-წლ. მასწავლებელი.

ოთხწლედდამთავრებულთა გამოცდების შესახებ

სადისკუსიო.

რევოლუციის სხივი უპირველეს ყოვლისა სწავლის სფეროში შეიჭრა, მან საბოლოოდ დაასამარა აღზრდის ძველი პრინციპები და საღ მარქსისტულ ნიადაგზე დააყენა სახალხო განათლების საქმე. ეხლა სწავლა-აღზრდის საქმე მდიდართა მონოპოლია არ არის, დღეს ყველა ტიპის სკოლებში მუშების და გლეხების შვილები დიდ უმრავლესობას შეადგენენ. ამჟამად ჩვენს სკოლებს მოშორებული აქვთ ძველი ბურჟუაზიული სკოლის ტრადიციები მთელი თავისი ატრიბუტებით, მაგრამ სრული ასი პროცენტით დაზღვეული ჯერ კიდევ არ არის ჩვენი შრომის სკოლა ძველი სკოლის ტრადიციებიდან.

ამ მხრივ მთავარ ძტკივნეულ საკითხს ჩვენს სკოლებში ძველი სკოლიდან ნაანდერძევი ე. წ. „გამოცდები“ წარმოადგენს. ამ საკითხის ირგვლივ ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა, მაგრამ ეს მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ირგვლივ, ჩემი აზრით კი საჭიროა ამ მავნე „წესს“ ძირიდანვე ბოლო მოეღოს და აღმოიფხვრას შრ. სკოლის ცხოვრებიდან. ყველა დამკვირვებელისათვის ცხადია, რომ ხშირ შემთხვევებში ოთხწლედდამთავრებული მოწაფენი სკოლის გარეთ რჩებიან, ვინაიდან იმათ ვერ ჩააბარეს 7-წლედის მეხუთე ჯგუფში მისაღები გამოცდები, მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ დამთავრების მოწმობები (ზოგიერთებს ფრ. წარჩინებით დამთავრებაზედაც კი). ამრიგად, ჯერ კიდევ გაუფურჩქვნელი 12—13 წლის მოზარდნი კატასტროფიულ მდგომარეობაში ვარდებიან და მათი დიდი უმრავლესობა სავსებით სცილდება სკოლას. უკანასკნელი მოვლენა მეტად არასასურველია და უდიდესი ზიანის მომტანი უღარიბეს მოწაფეთათვის კერძოდ. ამიტომ საჭიროა ამ ყოვლად გაუმართლებელ წესს(!!) სამუდამოდ მოეღოს ბოლო, ამისათვის კი საჭიროა ოთხწლედებს მიეცეს უფლება და მათვე გადასწყვიტონ ოთხწლედდამთავრებულთა მეხუთე ჯგუფში მიღების საკითხი. ამით 7-წლედები და 9-წლედებიც სოციალური შერჩევით შექმნიან უფრო ღირსეულ კადრს მოსწავლეებისას. დღემდე ჩვენი ოთხწლედები ამ მხრივ უპასუხისმგებლოა შვიდწლედის წინაშე. და ვის შეუძლია უარყოს ის ფაქტიც, რომ მე-V ჯგუფში მისაღებ გამოცდებზე მოწაფეს ჰკითხავენ ისეთ რამეს, რაც მას არ სმენია ოთხწლედის ფარგლებში. განსაკუთრებით კურიოზულად დგას ეს საკითხი 7-წლედის ფარგლებშიც. მოწაფე, რომელმაც ფრიად დამაკმაყოფილებლად დაამთავრა მთლიანი შვიდწლედის მეოთხე ჯგუფი, რომელსაც მთელი 7-წლედის პედ. საბჭო იცნობს (ტრიმესტრული და ინდივიდუალური გამორკვევით), მაინც იმავე სკოლის „საგამოცდო ლატარიაში“ უნდა მოხვდეს, საიდანაც ხშირად ღირსეულნი მოწაფენიც გაუბედურებული გამოდიან,—ზოგი სამუდამოდ შორდება სკოლას და ზოგიც კერძო მასწავლებლებთან დაძრწის. და თუ მოწაფეს ოთხწლედის გარეთ მოუხდა დანაკლისი ცოდნის შეძენა, მაშ ოთხწლედი რაღაა?

საჭიროდ მიმაჩნია ზემოთ გაკვრით აღნიშნულ მდგომარეობას განათლების ფრონტზე მომუშავენი გამოეხმაურონ და გამოსთქვან თავისი აზრი ამ საკითხის ირგვლივ.

იოსებ საღინაძე.

ცაგერის ოთხწლედის მასწავლებელი.

ქიმია სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში

წერილი რაჭა-ლეჩხუმის მაზრიდან

უდავოა ქიმიის სწავლების მნიშვნელობა სოფ. ახ. სკოლებში. მისი სწავლება აუცილებელია და ძალიან საჭირო. აგრონომიის ელემენტების შეთვისებაც კი უქიმიოდ წარმოუდგენელია და, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ აგრონომიის საგრძნობი ნაწილი ისწავლება სოფ. ახ სკოლებში, მით უმეტეს ცხადი გასაგებია, თუ რამდენად აუცილებელია ქიმიის სწავლება.

სოფ. ახ. სკოლას 3—4 წლის ისტორია აქვს, ის ჯერ ახალი ტიპის სკოლაა და არ შეიძლება ჰქონდეს სათანადოდ შერჩეული და ჩამოყალიბებული პროგრამა. ამ შემთხვევაში არც ქიმიის პროგრამები ჩაითვლება ჩამოყალიბებულად, სრულყოფილად; ქიმიის სწავლება არა თუ სოფ. ახალგაზრდობის სკოლებში, ასეთ ახალი ტიპის სკოლებში, არამედ სპეციალ ტექნიკუმებშიაც ვერ არის საფუძვლიანად დაყენებული. სოფლის. ახ. სკოლებში ქიმია სულ სხვა უნდა იყოს, ვიდრე ტექნიკუმებში,—ამას მოითხოვს სოფ. ახ. სკოლის ინტერესები.

ვინაიდან სოფ. ახ, სკოლაში მოწაფეები პირველად ეცნობიან და სწავლობენ აგრონომიულ საკითხებს, ამიტომ ქიმია უნდა იყოს დამხმარე საშუალება აგრონომიული მასალის შესათვისებლად. ამგვარად ქიმია უნდა იქნეს შეთავსებული აგრონომიულ მასალასთან და ამის მიხედვით იქნება განრიგებული პროგრამებიც, რომლითაც უფრო ადვილად შეითვისებენ I—II და III ჯგუფის მოწაფეები ქიმიას. რომ გადავხედოთ სოფ. ახ. სკოლების ქიმიის პროგრამას, დავინახავთ, რომ პროგრამა დიდია ყველა ჯგუფში, განსაკუთრებით კი მე-II ჯგუფში. აქ პროგრამა მთლიანად ეხება ორგანიულ ქიმიას; სასურველია, რომ მე-II ჯგ. (VI ჯგ.) პროგრამა მე-III ჯგუფისათვის იყოს, ხოლო უკანასკნელის კი მე-II ჯგუფისათვის, შემდეგი მიზეზების გამო: I ჯგუფი ზოგადად ეცნობა არაორგანიულ ქიმიას, მე-II ჯგუფში კი წყდება ძაფი, უკვე ორგანიულ შენაერთებს ეხება პროგრამა, ხოლო მე-III ჯგუფში ისევ უბრუნდება არაორგანიულ ქიმიას. უფრო შეთანხმებული იქნება, თუ I და II ჯგუფში ამოიწურება არაორგანიული ქიმიის ელემენტარული ნაწილი, ხოლო ამის შემდეგ მე-III ჯგუფი თამამად შესძლებს ორგანიული შენაერთების შესწავლას.

ქიმია, როგორც ვიცით, ცდებს მოითხოვს, ურომლისოდაც შეუძლებელია მისი შეთვისება. მაგრამ ამ მხრივაც ძალზე მწვავედ დგას

საკითხი სოფ. ახ. სკოლებში: ვერ არის სასურველად მოწყობილი ქიმიური კაბინეთები, ანდა სრულიად არ არის, ეს კი ძალზე აფერხებს ქიმიის სწავლებას. კიდევ უფრო მწვავედ დგას საკითხი სახელმძღვანელოების უქონლობის მხრივ. რომ მასწავლებელმა გაიაროს პროგრამაში გათვალისწინებული მისალა, ამისათვის აუცილებელია სახელმძღვანელოები როგორც მისთვის, ისე მოწაფეებისათვის. ქიმიის სახელმძღვანელო არ არის გამოცხადებული, რაც ყოვლად დაუშვებელია. დღეს გვიხდება სხვადასხვა წიგნებიდან ამოღება ამა თუ იმ მასალის და, რაც ყოვლად შეუსაბამოა, კონსპექტის სახით იწერენ მოწაფეები. კონსპექტის ჩაწერით მოწაფეები ვერ შეითვისებენ საგანს, ვრცლად ჩაწერა არ ხერხდება დროის უქონლობის გამო (ქიმიას კვირაში 4 საათი აქვს დათმობილი). ამგვარად, რომ ქიმიის სწავლებამ სოფ. ახ. სკოლებში სათანადო ნაყოფი გამოიღოს, პირველ რიგში საჭიროა:

1) დამუშავებულ და გამოცემულ იქნეს სახელმძღვანელო ქიმიაში.

2) უნდა მოწყობილ იქნეს ლაბორატორია.

3) საჭიროა პროგრამები განტვირთულ იქნეს ზედმეტი და ძნელად შესათვისებელი მასალებისაგან.

აი ის გამოსავალი წერტილი, რითაც ქიმიის სწავლება სოფ. ახ. სკოლებში სათანადო სიმაღლეზე დადგება და გამოყენებულ იქნება სოფ. მეურნეობაში.

ნ. ლაშხი.

სოფლის ახალგაზრდობის
სკოლის მასწავლებელი

ქრონიკა

პროფ. ი. ყიფშიძე, როგორც ენათმეცნიერი[1]

გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების გამო

---

[1]) წაკითხულია მოხსენებად ამა წლის 22 თებერვალს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო და საენათმეცნიერო საზოგადოებათა შეერთებულ სხდომაზე, რომელიც მიძღვნილი იყო პროფ. იოსებ ყიფშიძის ხსოვნისათვის.

21 თებერვალს შესრულდა 10 წელი მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა პროფ. ი. ყიფშიძე, ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი დამა-რსებელთაგანი, ამავე უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე.

აქვე მოგვყავს მთავარი ბიოგრაფიული ცნობები: დაიბადა 1882(?)წ. სოფ. რგანში (ზემო-იმერეთში). სწავლობდა ჯერ სოფლის სკოლაში, შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგაც (1898 წ.), როგორც პირველი მოწაფე, გადაიგზავნა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში;

პროფ. ი. ყიფშიძის სამეცნიერო ნაშრომები ეხება ქართულსა და ჭანურ-მეგრულს; ესენია:

ა) ქართ.:
1. ქართული ენის გრამატიკა (ლითოგრ.). 1911, (СПБ) (რუსულად).
2. ცხოვრებაჲ ანტონ რავახისი... 1913, Хр. Вост. т. I., (რუსულ.).
3. ძველი-ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, 1918 (რუსულ.).

ბ) ჭან.-მეგრ.:
4. მეგრული ენის გრამატიკა, 1914 (СПБ) (რუსულ.).
5. რეცენზია თ. კლუგე-ს „მასალებისა მეგრული გრამატიკისათვის“ ЗВОИР Арх. об. т. XXII, 1914 (რუს.).
6. მეგრელიზმები ქართულ წარწერებში სამეგრელოდან. ХрВ. т. IV, в. III (რუს.), 1916.
7. კვლავ მეგრელიზმების შესახებ ქართულს წარწერებში სამეგრელოდან: ХрВ. т. V, в. II, 1917 (რუს.).

აქაც წარჩინებით სწავლობდა. როგორც ს. რ.-ი აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1904-5 წლ. რევოლუციაში. 1905 წლის დამლევს მოუხდა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლა; დააპატიმრეს 1906 წლის მარტში; ადვილად დააღწია თავი: მალე გამოუშვეს. 1906 წლის შემოდგომას შევიდა აწინდელი ლენინგრადის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, ერთდროულად ესწრებოდა ნ. მარისა და ივ ჯავახიშვილის ლექციებს აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზე; 1907 წელს გამოაძევეს პეტერბურგიდან: მიზეზი ისევ პოლიტიკური მუშაობა იყო. ნ. მარისა და ნაკაშიძის დახმარებით მოუხერხდა იმავე წელს პეტერბურგს დაბრუნება და შევიდა აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზე. დაამთავრა 1911 წელს. დატოვებულიქნა უნივერსიტეტში და მუშაობდა აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით. 1914 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია: „მეგრული ენის გრამატიკა“; 1915 წლის შემოდგომიდან, როგორც პრივატ-დოცენტი, კითხულობდა ლექციებს ძველს-ქართულსა და მეგრულში აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტზე. 1917 წელს, რევოლუციის შემდეგ, დაბრუნდა საქართველოში და იყო თავგამოდებული წევრი იმ ჯგუფისა, რომლის თაოსნობით გაკეთდა დიდი საქვეყნო საქმე: დაარსდა საქართველოს პირველი უნივერსიტეტი. განაგებდა აქ ქართული ენის კათედრას და კითხულობდა ლექციებს ქართულს ენაში და ქართულს მწერლობაში (11—12 საუკ.) იგი იყო იშვიათი წმინდა პიროვნება, უანგარო საზოგადო მოღვაწე, სამაგალითო ადამიანი.

გარდაიცვალა 1919 წლ. 21 თებერვალს: იმსხვერპლა წინწკლებიანი სახადის ეპიდემიამ, რომელიც მაშინ ტფილისში მძვინვარებდა (მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ვრცელი საფუძვლიანი დახასიათება მოცემულია სერ. გორგაძის წერილში: „პროფესორი იოსებ ყიფშიძე“: საქართ. სსისტ.-საეთნოგრ. საზოგად. მიმომხილველი, I, ტფილისი, 1926 წ. ამავე წერილშია ბიბლიოგრაფიული ცნობები განსვენებულის ნაშრომთა შესახებ, ისეთების შესახებაც კი, რომელნიც პერიოდულს გამოცემაში, გაზეთებში, დაიბეჭდა ანდა ხელნაწერებში დარჩა).

9. „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“—შესავალი ლექცია ძველი-ქართულისა და მეგრულის კურსში, წაკითხ. 1915 წ. 9 ოქტ., ი. ყ ი. ფ შ ი ძ ი ს გარდაცვალების შემდეგ თარგმნილი და გამოც. ქართულად ს. გ ო რ გ ა ძ ი ს მიერ: ტფ. უნ. მოამბე, ტ. I, 1919—1920.

8. დამატებითი ცნობები ჭანურის შესახებ, 1911 (СПБ) (რუს.).

ამას გარდა განსვენებულის მიერ შეკრებილიქნა თვალსაჩინო ოდენობის ჭანური ტექსტები, რომლებიც გამოუცემელი დარჩა, ისევე როგორც საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, რომელიც გამოსაქვეყნებლად ქონდა დამზადებული (გამოიცა გასულ 1928 წელა პროფ. ა. შანიძის მიერ).

მისივე რედაქციით გამოვიდა: „ქართული ბიბლიოგრაფია“, I, სადაც ნაჩვენებია ქართულ ერთდროულ გამოცემებში (1852—1910 წლ.) მოთავსებული სტატიები და მასალები—ენათმეცნიერების, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, არქეოლოგიის, ისტორიის, ხალხური სიტყვიერებისა და ძველი მწერლობის შესახებ.

პროფ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ი ს გამოკვლევათა ხასიათი და მეცნიერული მნიშვნელობა რომ ნათელი და გასაგები იყოს, საჭიროა იმ კონტექსტის გათვალისწინება, რომელიც ახასიათებს ქართველური ენათმეცნიერების პრობლემატიკას იმ ხანებში, როცა ი. ყ ი ფ შ ი ძ ე ს კვლევა-ძიების ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა.

ჰ ა ე ულ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი დ ა ნ მოყოლებული არც ერთი უცხოელი მკვლევრისათვის არ რჩებოდა შეუმჩნეველი, რომ ქართული თავის კილოებით ენათესავება ჭანურ-მეგრულსა და სვანურს; გაურკვეველი იყო ოღონდ, რომელ ენათა ოჯახს შეიძლება დაუკავშირდეს ნათესაური ძაფებით ენათა ეს ჯგუფი, ჩვენ რომ ქართველურს ვუწოდებთ.

ძირითად და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად ქართველურ ენათა შესწავლისას სწორედ ეს საკითხი ითვლებოდა: უცხოელ მკვლევართა რიგი (მაგალ. ბ რ ო ს ე, ბ ო პ ი) ქართველურ ენებს ინდო-ევროპულ ენებთან მონათესავედ აცხადებდა; მაქს მ ა ჯ ულ ე რ ს შესაძლებლად მიაჩნდა დაეკავშირებინა იგინი თურანულ მოდგმის ენებთან, ხოლო კ ლ ა პ რ ო თ ი, შ პ ი გ ე ლ ი, პ ო ტ ი, და განსაკუთრებით ჟრიდრიხ მ ა ჯ ულ ე რ ი იმ აზრისა იყო, რომ ქართველური ენები სხვა კავკასურ ენებთან ერთად (მსგავსად ბასკურისა პირენეის ნახევარკუნძულზე) განმარტოებით მდგომარე ჯგუფია, რომელიც ოდეს-

ლაც გაცილებით უფრო დიდის შედგენილობის უნდა ყოფილიყო და რომელიც ამჟამად არც ერთს ენას არ ენათესავება. ეს უკანასკნელი შეხედულებაც ისევ ნათესაობის ძიების ნიადაგზე იყო აღმოცენებული, ოღონდ უარყოფით შინაარს ატარებდა.

რა ხასიათისა იყო ის შედარებანი, რომელთა ნიადაგზედაც იქმნებოდა ესა თუ ის თეორია, ნათლად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ბოპი სვან. ვორშთხო'ს (ამ სახით არც სვანურში, არც რომელსამე ქართველურს ენაში არ არსებულს) ადარებდა ინდურ: ჩატვარა'ს [1]. შედარებითი ენათმეცნიერების გენიალური მამამთავრის მსჯელობის ეს ნიმუში ცხადყოფს იმასაც, თუ რაოდენ მკვიდრი იყო შედარების საფუძველი და რაზომ ფასეული შეიძლებოდა ყოფილიყო ამგვარ საფუძველზე აგებული ნათესაობის თეორია, სულ ერთია, გადაწყდებოდა ნათესაობის საკითხი დადებითად თუ უარყოფითად.

ამიტომაც ერთად ერთი მეთოდოლოგიურად სწორი და შედეგების მარივ საიმედო იყო ის გზა, რომელზედაც ა. ცაგარელმა მიუთითა თავის პირველს გამოკვლევაშივე: „კავკასურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“ (1872, პტბ.): „ქართული ენის სხვა ენებთან გენეტური კავშირის შესახებ ცნობილ ენათმეცნიერთა თეორიები არა მარტო იმიტომ არის მერყევი და უშედეგო, — წერს ა. ცაგარელი, — რომ ქართულის გრამატიკული ფორმები რთულია და ძნელად სარკვევი, ანდა იმიტომ, რომ ქართულს სათანადო მასალები არ გააჩნია, არამედ იმიტომ, რომ **ქართული არ არის შესწავლილი**; საჭიროა მის ჩვენებათა გათვალისწინება უძველეს დროიდან დღემდე, საჭიროა ამის გარდა უმწერლობო ჭანურ მეგრულისა და სვანურის ცოცხალ მეტყველების მეცნიერული შესწავლა. **მათი საფუძვლიანი შესწავლით ცალ-ცალკე, მათი შედარებითი გრამატიკისა** და **შედარებითი ლექსიკონის დამუშავებით აღდგენილ იქნება მათი ტიპი, გაირკვევა მათი მექანიზმი და შესაძლო იქნება ნათესაობის საკითხის გადაწყვეტაც**; ძნელი სათქმელია, რამდენი დრო და შრომა დაჭირდება ამას, მაგრამ ეჭვს გარეშეა, **ეს არის ერთად ერთი მეცნიერული გზა, რომელიც ადრე თუ გვიან მიგვიყვანს დადებით შედეგებამდე და მოგვიტანს ურყევ დასკვნებს**“... (ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). ერთის სიტყვით, ნათესაობის თეორიით **დაწყება** არ შეიძლება, მით შეიძლება მხოლოდ **გათავება**. პროფ. ალ ცაგარელი დაჟინებით და ხაზგასმით

---

[1] იხ. Die Kaukasischen Glieder des Indoeuropäischen Sprachstamms, Brl. 1847, გვ. 37.

იმეორებდა ყველა თავის გამოკვლევებში ამ მეთოდოლოგიურ მოთხოვნილებას. თვითვე მიყო ხელი ამ გზით მუშაობას და გამოსცა კიდეც „მეგრული ეტიუდები“, რომლის პირველი ნაკვეთი ტექსტებს შეიცავდა, მეორე კი—ფონეტიკას. მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო პროფ. ა. ცაგარელს კვლევის გაგრძელება არ მოუხერხდა, მაგრამ მუშაობა მაინც დაწყებული იყო, სწორი გზა—ნაჩვენები.

როცა 1888 წ. ნიკო მარმა, ჯერ კიდევ სტუდენტმა თავის წერილში „ბუნება და თვისება ქართული ენისა“ („ივერია“, 1888 წ. № 86) წამოაყენა დებულება: „ქართული ენა ხორციელად და სულიერად, ე. ი. სიტყვის ძირებითა და გრამატიკით ენათესავება სემიტურ ენათა ჯგუფს“ო, ეს იყო კვალად ნათესაობის თეორიით დაწყება, დაწყება დასკვნებიდან, როცა არ არის დადგენილი წინნამძღვრები; და როცა ამ წინნამძღვრების ძიება დაიწყო, როცა თეორიის დასაბუთებამ ქართველურ ენათა დეტალური შესწავლა დღის წესრიგში დასვა, ამ თეორიამ თავისი ნაყოფი მოიტანა: ქართველურ ენათა შესწავლისას სახელმძღვანელოდ იქნა მიღებული ისეთი დებულებები, რომელნიც ამ ენათა ბუნებიდან კი არ გამომდინარეობენ, არამედ ნათესაობის თეორიიდან; ეს დებულებებია: 1. ქართველურს ენებში თანხმოვნები გადმოგვცემს ძირეულ მასალას, ხმოვნები—ფორმებს; 2 ყველა ძირი სამთანხმოვნიანია, 3. ძირითადი ბრუნვა სამია: სახ., ნათ., მიცემ.; მათი მაჩვენებლებია: ი (<უ), ი, ა.

სამივე დებულება სემიტურიენებიდან (არაბულიდან) არის ბოტანილი და გამოსავლად არის მიჩნეული ქართველურიენების კვლევის დროს მხოლოდ იმიტომ, რომ ნათესაობის თეორია ამას გვაფიქრებინებს; რაც შეეხება მათს დამტკიცებას: პირველი არსად ყოფილა დამტკიცებული; მეორე—თვით ამ თეორიის მამამთავარმა აკად. ნ. მარმა ოფიციალურად უარყო მთლიანად, მესამეც—ნაწილობრივ გაუქმებულია აკად. ნ. მარის „ძველი ქართულის გრამატიკა“-ში (1925 წ.).

ეს დებულებებია თეორიული დასაყრდენი აკად. ნ. მარის საუკეთესო ენათმეცნიერულის გამოკვლევისა—მისი „ჭანურის გრამატიკისა“ (1910 წ.); „ჭანური გრამატიკის“ მსგავსად ამავე დებულებებს ვხვდებით განსვენ. პროფ. ი. ყიფშიძის „მეგრულის გრამატიკაში“: პროფ. ი. ყიფშიძე მთლიანად იღებდა სემიტურთან ნათესაობის თეორიიდან გამომდინარე დებულებებს, იდგა იმდროინდელი იაფეტური ენათმეცნიერების ნიადაგზე. ესა ჩანს. მის „ახალი-ქართულის გრამატიკა“-ში, ეს განსაკუთრებით ცხადია „მეგრულის გრამატიკა“-ში. არა ამიტომ, არამედ ამისდა მიუხედავად მისი გა-

მოკვლევები დიდი მეცნიერული ღირებულებისაა: თეორიული დებულებები მას ხელს არ უშლის სინამდვილე დაინახოს იმ სახით, როგორიც მას აქვს და წარმოგვიდგინოს სათანადო მოვლენები ისე, როგორადაც მას მეტყველებაში ვხვდებით: ობიექტური მკვლევარი მასში ჩვეულებრივ უფრო მაღლა დგას თეორიულ ვარაუდზე და თეორიის არტახები მის ნათელ აზროვნებას არ ახშობს. ეს ზოგადად; კერძოდ, მის ნაშრომებს რაც შეეხება:

მისი „ქართული ენის გრამატიკა“ კონსპექტურად განიხილავს ახალს-ქართულს; მოცემულია ცოცხალი მეტყველების დიალექტური ფორმებიც; ავტორი შენიშნავს, რომ ის ხელმძღვანელობდა აკად. ნ. მ ა რ ი ს „ძირითადი ტაბულებით“, მაგრამ ზოგიერთი ნაწილები დამოუკიდებლივ არის დამუშავებული; მთლიანად ეს ნაშრომი უნდა ჩაითვალოს მოკლე, მაგრამ საუკეთესო მეცნიერულ მიმოხილვად თანამედროვე ქართულს საგრამატიკო ლიტერატურაში.

არას ვიტყვით მის „ქრესთომათიისა“ და „ანტონ რავახის ცხოვრების“ გამოცემის შესახებ: უკანასკნელი უფრო ფილოლოგიური გამოკვლევაა, ვინემ ენათმეცნიერული და ფილოლოგების მიერ მიჩნეულია უნაკლოდ.

გვირგვინი პროფ. ი ო ს ე ბ ყ ი ფ შ ი ძ ი ს სამეცნიერო მოღვაწეობისა — მისი „მეგრული ენის გრამატიკა“-ა. მისი დეტალური დახასიათება იქნებოდა ამ გრამატიკის მთლიანად გადმოცემა; ვიტყვით მხოლოდ: რაღაც 150 ოდე გვერდის სივრცეზე ლაკონიკურს ფორმულებში მოცემულია მთელი ენობრივი მასალის გრამატიკული აღწერილობა: წარმოდგენილია ფონეტიკა, მორფოლოგია (კანკლედობა, ულვლილება, უფორმო სიტყვები...), სინტაქსი, სიტყვაწარმოება... არ არის დავიწყებული „ტაბუ“ და ლექსთაწყობის მოვლენებიც კი...

გრამატიკულ ანალიზს უძღვის ცნობები მეგრული მეტყველების გავრცელებულობის შესახებ, დიალექტური ვარიაციების შესახებ და ამომწურავი ბიბლიოგრაფია მეგრულის შესახებ არსებული ლიტერატურისა სათანადო დახასიათებითურთ...

გრამატიკულ ნაწილს მისდევს მეგრული ტექსტები, რომელთაგან მეტი წილი თვით ავტორის მიერ არის ჩაწერილი, და ვრცელი ლექსიკონი; მარტო ამ უკანასკნელს უჭირავს 232 გვერდი, მთელი წიგნი კი 600 გვერდზე მეტს შეიცავს; ერთის სიტყვით, **ეს არის მონუმენტალური გამოკვლევა, რომლის ბადალი არ მოიპოვება ქართველურს ენათმეცნიერებაში** [1], ობ ი ე ქ ტ ურ ა დ — „მეგრული ენის გრამატიკა“ არის გაგრძელება პროფ. ალ. ც ა გ ა რ ლ ი ს მიერ დაწყებული მუშაობისა და მეგრულის ფარგლებში რეალიზაცია იმ

პროგრამისა, რომელიც მას დაუსახა პროფ. ალ. ცაგარელმა და რომლის გარეშე შეუძლებელია ქართველური ენათმეცნიერების წინსვლა.

დიდმნიშვნელოვანია პროფ. იოსებ ყიფშიძის ღვაწლი ჭანურის შესწავლაშიც. მისი „დამატებითი ცნობები ჭანურის შესახებ“ წარმოგვიდგენს ჭანურის იმ თქმის დახასიათებას, რომელიც „ჩხალური“-ს სახელწოდებით არის ცნობილი; მაგრამ ამ დამატებითს ცნობებში უფრო ფასეულია „ცნობებთან“ ერთად გამოქვეყნებული რამოდენიმე ტექსტი არქაბულის კილოკავისა, ჩაწერილი მურღულში სამუშაოდ ჩამოსულ არქაბელთაგან; ეს ტექსტები არქაბულის პროზაული თხრობის პირველი ნიმუშებია (ამ კილოკავის მასალებად მხოლოდ ლექსები არის მოცემული აკად. ნ. მარის „ჭანურის გრამატიკაში“).

საერთოდ, ჭანურის მასალები ერთობ მცირე იყო; ამას ჩიოდა თავის გრამატიკაში თვით აკად. ნ. მარი; ეს გასაგებიცაა. შეუძლებელია რაღაც 40-ოდე გვერდ მასალის მიხედვით ენის ყოველმხრივი გაშუქება; პროფ. იოსებ ყიფშიძეს მოუხდა ამ დანაკლისის შევსება. რუსეთის სამეცნიერო აკადემიის დავალებით 1917 წ. ის გაემგზავრა ოსმალეთის ლაზისტანს და ბლომად შეკრიბა მასალები ლაზურის სხვადასხვა კილოკავის შესახებ. ეს მასალები კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტის განკარგულებაში იმყოფება; სამწუხაროდ, ჯერ არ არის გამოქვეყნებული. რაზომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ტექსტებს, თავისთავად ცხადი იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ საქართველოს ფარგლებში ლაზების ერთი სოფლის ნახევარიღაა, ოსმალეთის ლაზისტანში კიდევ ასეთი მასალების შეგროვება ამჟამად შეუძლებელია.

დასასრულ, საჭიროდ ვთვლი ცალკე მოვიხსენიო მისი გამოკვლევა ერთი კერძო საკითხის შესახებ; ეს არის „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“, შესავალი ლექცია ძველი-ქართულისა და მეგრულის კურსში, როგორც ეს თავშიც ითქვა.

---

[1]) „მეგრული ენის გრამატიკა“ იყო ი. ყიფშიძის სადისერტაციო ნაშრომი; და აი სხვათა შორის რას წერს ამ გამოკვლევის შესახებ თავის რეცენზიაში ოფიციალური ოპონენტი აკად. ნიკო მარი: „აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტმა მისი ავტორი დააჯილდოვა ქართული ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხით; მაგრამ ის რომ ყოფილიყო წარმოდგენილი ქართული ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, ასევე დამშვიდებული სინდისით შეგვეძლო მისი ავტორი დაგვეჯილჯოებინა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხით“... (იხ. რეცენზია.: ЗВО Арх. Общ., ტ. XXIII).

მოკვლევები დიდი მეცნიერული ღირებულებისაა: თეორიული დებულებები მას ხელს არ უშლის სინამდვილე დაინახოს იმ სახით, როგორიც მას აქვს და წარმოგვიდგინოს სათანადო მოვლენები ისე, როგორადაც მას მეტყველებაში ვხვდებით: ობიექტური მკვლევარი მასში ჩვეულებრივ უფრო მაღლა დგას თეორიულ ვარაუდზე და თეორიის არტახები მის ნათელ აზროვნებას არ ახშობს. ეს ზოგადად; კერძოდ, მის ნაშრომებს რაც შეეხება:

მისი „ქართული ენის გრამატიკა“ კონსპექტურად განიხილავს ახალს-ქართულს; მოცემულია ცოცხალი მეტყველების დიალექტური ფორმებიც; ავტორი შენიშნავს, რომ ის ხელმძღვანელობდა აკად. ნ. მ ა რ ი ს „ძირითადი ტაბულებით“, მაგრამ ზოგიერთი ნაწილები დამოუკიდებლივ არის დამუშავებული; მთლიანად ეს ნაშრომი უნდა ჩაითვალოს მოკლე, მაგრამ საუკეთესო მეცნიერულ მიმოხილვად თანამედროვე ქართულს საგრამატიკო ლიტერატურაში.

არას ვიტყვით მის „ქრესთომათიისა“ და „ანტონ რავახის ცხოვრების“ გამოცემის შესახებ: უკანასკნელი უფრო ფილოლოგიური გამოკვლევაა, ვინემ ენათმეცნიერული და ფილოლოგების მიერ მიჩნეულია უნაკლოდ.

გვირგვინი პროფ. ი ო ს ე ბ ყ ი ფ შ ი ძ ი ს სამეცნიერო მოღვაწეობისა — მისი „მეგრული ენის გრამატიკა“-ა. მისი დეტალური დახასიათება იქნებოდა ამ გრამატიკის მთლიანად გადმოცემა; ვიტყვით მხოლოდ: რაღაც 150 ოდე გვერდის სივრცეზე ლაკონიკურს ფორმულებში მოცემულია მთელი ენობრივი მასალის გრამატიკული აღწერილობა: წარმოდგენილია ფონეტიკა, მორფოლოგია (კანკლედობა, უღვლილება, უფორმო სიტყვები...), სინტაქსი, სიტყვაწარმოება... არ არის დავიწყებული „ტაბუ“ და ლექსთაწყობის მოვლენებიც კი...

გრამატიკულ ანალიზს უძღვის ცნობები მეგრული მეტყველების გავრცელებულობის შესახებ, დიალექტური ვარიაციების შესახებ და ამომწურავი ბიბლიოგრაფია მეგრულის შესახებ არსებული ლიტერატურისა სათანადო დახასიათებითურთ...

გრამატიკულ ნაწილს მისდევს მეგრული ტექსტები, რომელთაგან მეტი წილი თვით ავტორის მიერ არის ჩაწერილი, და ვრცელი ლექსიკონი; მარტო ამ უკანასკნელს უჭირავს 232 გვერდი, მთელი წიგნი კი 600 გვერდზე მეტს შეიცავს; ერთის სიტყვით, **ეს არის მონუმენტალური გამოკვლევა, რომლის ბადალი არ მოიპოვება ქართველურს ენათმეცნიერებაში** [1], ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ — „მეგრული ენის გრამატიკა“ არის გაგრძელება პროფ. ალ. ც ა გ ა რ ლ ი ს მიერ დაწყებული მუშაობისა და მეგრულის ფარგლებში რეალიზაცია იმ

პროგრამისა, რომელიც მას დაუსახა პროფ. ალ. ცაგარელმა და რომლის გარეშე შეუძლებელია ქართველური ენათმეცნიერების წინსვლა.

დიდმნიშვნელოვანია პროფ. იოსებ ყიფშიძის ღვაწლი ჭანურის შესწავლაშიც. მისი „დამატებითი ცნობები ჭანურის შესახებ“ წარმოგვიდგენს ჭანურის იმ თქმის დახასიათებას, რომელიც „ჩხალური“-ს სახელწოდებით არის ცნობილი; მაგრამ ამ დამატებითს ცნობებში უფრო ფასეულია „ცნობებთან“ ერთად გამოქვეყნებული რამოდენიმე ტექსტი არქაბულის კილოკავისა, ჩაწერილი მურღულში სამუშაოდ ჩამოსულ არქაბელთაგან; ეს ტექსტები არქაბულის პროზაული თხრობის პირველი ნიმუშებია (ამ კილოკავის მასალებად მხოლოდ ლექსები არის მოცემული აკად. ნ. მარის „ჭანურის გრამატიკაში“).

საერთოდ, ჭანურის მასალები ერთობ მცირე იყო; ამას ჩიოდა თავის გრამატიკაში თვით აკად. ნ. მარი; ეს გასაგებიცაა. შეუძლებელია რაღაც 40-ოდე გვერდ მასალის მიხედვით ენის ყოველმხრივი გაშუქება; პროფ. იოსებ ყიფშიძეს მოუხდა ამ დანაკლისის შევსება. რუსეთის სამეცნიერო აკადემიის დავალებით 1917 წ. ის გაემგზავრა ოსმალეთის ლაზისტანს და ბლომად შეკრიბა მასალები ლაზურის სხვადასხვა კილოკავის შესახებ. ეს მასალები კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო ინსტიტუტის განკარგულებაში იმყოფება; სამწუხაროდ, ჯერ არ არის გამოქვეყნებული. რაზომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ტექსტებს, თავისთავად ცხადი იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ საქართველოს ფარგლებში ლაზების ერთი სოფლის ნახევარიღაა, ოსმალეთის ლაზისტანში კიდევ ასეთი მასალების შეგროვება ამჟამად შეუძლებელია.

დასასრულ, საჭიროდ ვთვლი ცალკე მოვიხსენიო მისი გამოკვლევა ერთი კერძო საკითხის შესახებ; ეს არის „ასიმილაციისა და დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში“, შესავალი ლექცია ძველი-ქართულისა და მეგრულის კურსში, როგორც ეს თავშიც ითქვა.

---

[1]) „მეგრული ენის გრამატიკა“ იყო ი. ყიფშიძის სადისერტაციო ნაშრომი; და აი სხვათა შორის რას წერს ამ გამოკვლევის შესახებ თავის რეცენზიაში ოფიციალური ოპონენტი აკად. ნიკო მარი: „აღმოსავლეთ ენათა ფაკულტეტმა მისი ავტორი დააჯილდოვა ქართული ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხით; მაგრამ ის რომ ყოფილიყო წარმოდგენილი ქართული ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოებლად, ასევე დამშვიდებული სინდისით შეგვეძლო მისი ავტორი დაგვეჯილჯოებინა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხით“... (იხ. რეცენზია.: ЗВО Арх. Общ., ტ. XXIII).

მნიშვნელოვანია არა მარტო მისი დასკვნითი დებულება: „ქ ა რ თ უ ლ ი-
ს ა დ ა მ ე გ რ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ დ ა მ ახ ა ს ი ა თ ე-
ბ ე ლ ი ა რ ე გ რ ე ს უ ლ ი ა ს ი მ ი ლ ა ც ი ა დ ა პ რ ო გ რ ე ს უ ლ ი დ ი-
ს ი მ ი ლ ა ც ი ა“, — არამედ ის თვალსაზრისიც, რომელიც საკითხის დას-
მაში ჩანს: „ასიმილაციისა და დისიმილაციის მოვლენათა შესწავლის
დროს ჩვენს ენებში ორი დასაბამის ბრძოლას ვამჩნევთ; ერთია წმინ-
და ფონეტიკური დასაბამი, რომელიც ხელს უწყობს ბგერათა ასიმი-
ლაცია-დისიმილაციას და მეორე, მორფოლოგიური და ეტიმოლოგი-
ური, რომელიც ხელს უშლის ამ მოვლენებს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ,
კითხვა ისმის: სულ ერთია თუ არა, რას ეხება ფონეტიკური პროცე-
სი, თუ აქვს მნიშვნელობა იმ ეტიმოლოგიურსა და მორფოლოგიურ
ღირებულებას, რომელიც ბგერას გააჩნია? ზემოხსენებული ამონაწერი
უარყოფით პასუხს იძლევა ამ კითხვაზე: არა, სულ ერთი არ არის;
მორფოლოგიური და ეტიმოლოგიური დასაბამი ხელს უშლის ფონე-
ტიკურ პროცესებს, აბრკოლებს მათ.

ეს საკითხი მკაფიოდ დასვა დასავლეთ-ევროპის ზოგმა ენათ-
მეცნიერმა სულ ამ რამოდენიმე წლის წინად და ამჟამად ეს აქტუა-
ლურ საკითხად ითვლება ენათმეცნიერებაში. თუნდაც აქედან ცხადია,
რამდენად დამოუკიდებელი, ღრმა და ნათელი იყო პროფ. იოსებ ყ ი ფ-
შ ი ძ ი ს მეცნიერული აზროვნება.

პირველი მისი ნაშრომი 1911 წელს გამოვიდა და ეხებოდა
ახალს ქართულს; უკანასკნელი კი 1918 წელს და ისევ ქართულს
ეხებოდა,—ძველს ქართულს. სიკვდილმა მოუსწრო მას ისევ ქართულ-
ზე მუშაობისას: პირველი ქართული უნივერსიტეტის ქართული ენის
კათედრის პირველი ხელმძღვანელი, იგი გარდაიცვალა ისე, რომ არ
დაცალდა ბოლომდე მიეყვანა ამ კათედრაზე წამოწყებული პირველი
კურსის კითხვა.

და ეს შვიდი ღა წელია მისი აზრის მუშაობისა, მას რომ მსხვი-
ლი მეცნიერის სახელი მოუხვეჭა და წარუხოცელად აღბეჭდა იგი
ქართველური ენათმეცნიერების ისტორიაში.

არნ. ჩიქობავა.

ბიბლიოგრაფია

ჩვენი საბავშო ლიტერატურა

1927-28 წლის წიგნები.

ყველასათვის ცხადია, რომ ქართული საბავშო ლიტერატურა მეტისმეტად ღარიბია. სასკოლო ასაკის ბავშებისათვის ორი პერიოდული გამოკემა და თითქმის სრულიად შემთხვევით გამოცემული თითო-ოროლა წიგნაკი პაწიებისათვის ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებს იმ დიდ მოთხოვნილებას, რომელსაც შეიძლება საბავშო ლიტერატურის სიმშილიც კი ვუწოდოთ. განსაკუთრებით პაწიები არიან უყურადღებოდ დატოვებული, ის ბავშები, რომელთაც ჯერ სასკოლო ასაკი არ დასდგომიათ. ამათგან მხოლოდ უმცირესი ნაწილი იმყოფება სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში, ისიც მხოლოდ 3-4 საათის განმავლობაში; დიდი უმრავლესობა კი, განსაკუთრებით სოფლად, მთელ დროს ატარებს საბავშო ბაღების გარეშე, მშობლებთან, ოჯახში, ყოველგვარ გონიერ გართობა-შრომას მოკლებული.

ამ ასაკის ბავშთათვის ლიტერატურა იქნებოდა აუცილებელი დამხმარე საშუალება, რომელიც ნაწილობრივ მაინც შეუწყობდა ხელს მათ ბავშურ შრომა-გართობას და მშობლებსაც მიაწოდებდა ზოგიერთ ცნობა-მასალას მათი მძიმე მოვალეობის შესრულების დროს აღზრდის საქმეში.

მართალია, რიგიანად და კარგად გამოცემული საბავშო წიგნები ძლიერ ძვირი ჯდება, დიდი დრო და ენერგია სჭირდება მათ დაშზადება-დამუშავებას, რაც საგრძნობად აფერხებს ამ აუცილებელ საქმეს, მაგრამ მის გაშლა-გაფართოებას უმთავრესად ხელს უშლის იდეური მხარე, ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ არა გვყავს საბავშო მწერალთა საკმაო კადრი, რომელიც ამ საქმეზე ფიქრობდეს უმთავრესად, მარტო ამ სერიოზული საქმით იყოს გატაცებული. თითო-ოროლა მწერალი კი ამ დიდ ნაკლს ვერ შეავსებს. საჭიროა მწერლებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ბავშებს, მათ ყოფა-ცხოვრებას, მათ გართობა-საქმიანობას, მათ საერთო და სპეციალურ მოთხოვნილებებს, ბავშთა თავისებურებას. აქედან ისინიც, თვით მწერლებიც, მეტს მასალას ამოჭკრეფენ ბავშთა ასეთი დაკვირვება-შესწავლის შედეგების გამოსამჟღავნებლად, ბავშურ განცდათა გადმოსაცემად პაწია ლიტერატურული ნაწარმოების სახით. დღეს კი ჩვენი მწერლების უმეტეს ნაწილს ჩვენი ბავშები არ აინტერესებენ, ისინი თითქმის გაურბიან მათ და მხოლოდ შემთხვევითი მოვლენა-გარემო-

ება თუ ააღებინებს მათ კალამს ხელში ამ ბავშთა ყოფა-ცხოვრების სურათის მოსაცემად.

ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში სახელგამის საბავშო სექციამ გამოსცა სამი წიგნი—„ჩემი წიგნი", 1927 წ., „პატარა მშენებლები", 1928 წლის ბოლოს და „რატომ არ იყო პური", რომელზეც გამოცემის დრო არ არის აღნიშნული.

გარეგნულად სამივე წიგნი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, სამივე სუფთად და ლამაზად არის გამოცემული, თუმცა ფერადების მხრივ ცოტა ღარიბია. წიგნაკები 5-7 წლიან ბავშებისათვის არის განზრახული, რომელთაც წერა კითხვა ან სრულიად არ იციან, ან იციან ძლიერ სუსტად, და ამიტომ დაფერადებულმა სურათებმა უნდა შეავსოს ეს ნაკლი, კითხვის მაგივრობა უნდა გასწიოს. სურათების ეს დანიშნულება მოითხოვს, რომ ისინი იყოს დახატული ისეთი ფერებით და ისე კარგად შესრულებული, რომ ბავში მათ კითხულობდეს უტექსტოდ, სხვის დაუხმარებლად. წიგნაკებში მოთავსებული ტექსტი კი შეიძლება წაუკითხონ მათ ან ხელმძღვანელებმა, ან წერა-კითხვის მცოდნე ოჯახის წევრებმა. ამიტომ, ცხადია, კარგი იქნებოდა, რომ სურათები უკეთ ყოფილიყო შესრულებული, მაგრამ საერთოდ წარმოდგენილი სახითაც შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ენა წიგნაკებისა კარგია, მსუბუქი და სწორი, გარდა ზოგიერთი უმნიშვნელო გამონაკლისისა, რომელიც უმთავრესად კორექტურული შეცდომის ხასიათისაა. ამასთანავე ენა საკმაოდ ლამაზია და მხატვრული. საერთოდ მოთხრობა-ლექსებიც კარგია, აზრიანი, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ახლავს თვალსაჩინო ნაკლი, რაც შემდეგი ანალოგიური გამოცემის დროს აუცილებლად უნდა იქნეს თავიდან აშორებული, როგორც ტექნიკურ-იდეური თვალსაზრისით შეუფერებელი.

ამ მხრივ ყველაზე მეტ ნაკლს შეიცავს 1927 წელს გამოცემული **„ჩვენი წიგნი"**. მისი ერთი მოთხრობა—„როგორ გაფრინდა ყურშა"—აგებულია შეუძლებელ ამბავზე, რადგან მისი შინაარსის მთავარი მომენტი სინამდვილეს არ შეეფერება. რაგინდ ბევრი ჰაერის ბურთი შეაგროვოთ (ნამდვილად მათ დიდ რაოდენობას არც უყრიან ერთად თავს გამყიდველები) შეუძლებელია მათ აიტანონ ჰაერში ზედ მიბმული ძაღლის ლეკვი, თუგინდ ძლიერ პატარა იყოს იგი. მართალია, ამბავი და სურათი რუსულიდან არის გადმოღებული, იმ რუსული საბავშო ლიტერატურიდან, რომელიც უხვად მოიპოვება ჩვენს ბაზარზეც, მაგრამ ამ აუარებელი მასალიდან საჭიროა უფრო შესაფერისის შერჩევა და გამოყენება ჩვენი მიზნებისათვის. უკრიტიკოდ

გადმოღებამ ან მიბაძვამ შეიძლება ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენოს.

ბუნდოვანი და გაურკვეველია ტრაქტორის ამბავი და მისი დანიშნულება-მოქმედების ხასიათი მოთხრობაში „ორი მეგობარი". „იცი, თედო, ხვალ ჩვენ კალო გვაქვს, მაგრამ... ახლა ტრაქტორით ვხნავთ",—ეუბნება ერთი ბავში მეორეს.—„ჩვენთან კი დღეს მოვა ტრაქტორი სამკალში, შენც დაგსვამ ტრაქტორზე და ერთად მოვმკით".—ტექსტი ვერ იძლევა ნათელ სურათს ტრაქტორსა და მის მუშაობაზე. აქ გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული, რომ ტრაქტორით ხნავენ კიდეც და მას იყენებენ როგორც მამოძრავებელ ძალას, რომელიც საჭიროების მიხედვით სამკალ მანქანასაც ამუშავებს და სალეწსაც.

არ არის ბუნებრივი ის სურათი და მოთხრობა, რომლის მიხედვითაც ფისო, ძაღლისაგან თავის დასაცავად, ამავე ძაღლს შეახტება ზურგზე. ეს ფანტასტიური სურათია და გამოგონილი ამბავი, თუმცა ბავშისათვის სახალისო. მაგრამ მას შეცდომაში შეჰყავს ბავში, რომელიც უმეტესად უკრიტიკოდ ითვისებს ისეთს რასმე, რაც ერთის შეხედვით სწორად და მისაწვდომად მიაჩნია, თუგინდ ნამდვილად შეუძლებელი და აბსურდიც იყოს.

„ცელქი გიგლა"-ც ვერ იძლევა ბუნებრივ სურათს. დატვირთული ურიკა („ტაჩკა") მიაქვთ პირუკუღმა. მაგრამ ეს დასჭირდათ იმიტომ, რომ ზედ შეუმჩნეველად დამჯდარიყო ცელქი ბავში. არც ესაა სწორი, აქაც პატარა სიყალბეა დაშვებული. სუსტია ბოსტნეულის სურათი. ზოგიერთ ბოსტნეულს ბავში ვერ გამოიცნობს, თუ არ წაიკითხა ქვეშ მიწერილი ლექსი.

არაბუნებრივი და ნაძალადევია პატარა „გამოცანა"-ც. ხელოვნურად არის იგი შედგენილი და ასაკსაც არ შეეფერება. 5 7 წლისამ კი არა, 3 4 წლის ბავშმაც იცის, თუ რამდენი იქნება სამს რომ ორი გამოვაკლოთ და სხვა. ძნელია და რთული განმარტება ხომალდის ასაგებად. ამ ასაკის ბავშები ამ განმარტების მიხედვით ხომალდს ვერ ააგებენ.

„პატარა მშენებლებში" ტრამვაის ვაგონი ისეა დახატული, თითქოს ის უშუალოდ იდგას მიწაზე და არა ბორბლებით: არც ერთი ბორბალი არა ჩანს. ნამდვილად კი ყველა ვაგონის ბორბლები (ძველისა და ახალის სისტემისა) ნათლად ჩანს. ვაგონში შედიან და გამოდიან მარცხენა მხრიდან. არც ესაა სწორი.

მოთხრობა „ელექტრონში" ახლად ჩამოყვანილი სოფლელი ბავში, რომელიც პირველად ხედავს ელექტროგანათებას, ვერ მიხვდე-

ბა და ვერ „მოატრიალებს შუშას“, ვერც იმას მოიფიქრებს, რომ „შუშის ადგილზე თითი შედოს“. ეს ერთგვარი ხერხია ავტორის, რომ თვით ბავში ამოქმედოს, ყველაფერი მას ჩაადენინოს, რაც მან ჩამოთვალა. ასეთი ხერხი ძლიერ კარგია, მაგრამ ის სისწორეს არ უნდა ღალატობდეს და მკითხველს იქვებს არ უნდა უბადებდეს. ამასთანავე ელექტრონის მაგივრად, ვფიქრობ, აჯობებს ელექტრობა ვიხმაროთ, რადგან ეს ცნება უკეთ გამოხატავს მის მოქმედებას და ბუნებას.

მოთხრობა „წისქვილი“ საჭიროა მოკლედ მაინც აცნობდეს ბავშებს ახალი წისქვილის მუშაობას, თორემ დაუშვებელია, რომ „ბავშები გაკვირვებული დიდხანს შესცქეროდენ საკვირველ მანქანას“. საკვირველისა და გაუგებარი მასალის მიცემა და გამოურკვეველ მდგომარეობაში ბავშების დატოვება ანტიპედაგოგიურია. ასეთს შემთხვევებს შემდეგში მაინც უნდა მოვერიდოთ.

„ხანძარში“ დახატულია სახანძრე ავტომობილი და ძველის-ძველი, პრიმიტიული სახანძრე მანქანა. ამ სურათზე ხანძრის დროს მხოლოდ ამ უკანასკნელს ამუშავებენ, მანქანა-ავტომობილი კი თავისი რაზმით უმოქმედოდ დგას.

ძლიერ დიდია მოთხრობები: „ოთახის ჰაეროპლანი“, უფრო რთულია და ძნელი „ხანძარი“ და „ყოჩაღი ცაცო“. ამ უკანასკნელში მრავალი მომენტია აღებული: ქათმების დაპურება, ძროხის მოწველა, საუზმობა, მამის წასვლა ტყეში შეშის მოსატანად და მგლის ამბავი. წასაკითხავად (ბავშის მიერ ან ბავშისთვის) ძნელია და რთული. ზოგიერთი გვერდი მეტისმეტად არის აჭრელებული სურათებით.

კარგად არის დაწერილი წიგნაკი: „რატომ არ იყო პური“. მაგრამ ამის მთავარ მიზეზად ნავთის დასახელება, ისიც ჩვენს დროში, არ არის სწორი. შეიძლება ესეც რუსულიდან არის გადმოღებული რევოლუციის ნგრევა განადგურების ხანის დასასურათებლად, მაგრამ ინ საშინელი სამოქალაქო ომების დროსაც არ შეფერხებულა პურის საქმე „უმაზუთობა-უნავთობის“ გამო. ამასთანავე „ნავთის საბადოებთან“ არასოდეს არ წარმოებულა ომი ნავთისათვის.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, წიგნებს, ვფიქრობ, დიდი ხალისით შეხვდებიან ჩვენი ბავშები, თუმცა ღარიბ მშობლებს გაუჭირდებათ მათი შეძენა: პირველი ორი წიგნიდან ერთი ღირს 15 შაური, მეორე კი—ოთხი აბაზი. საჭიროა ასეთ წიგნაკებზე ფასების დაწევა შემდეგისათვის მაინც.

გ. ჭუმბურიძე.

დ. მესხი. „გამარტივებული ფიზიკური ხელსაწყოები“. გამოცემა სახელგამისა, 1929 წ. 96 გვ., ფასი 80 კაპ.

ავტორს მიზნად დაუსახავს გააცნოს მე-II საფეხურის სკოლებში მომუშავე ფიზიკის მასწავლებელთ მარტივი ხელსაწყოების დამზადების ტექნიკა. მიზანი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. დაინტერესებულ მასწავლებელს ადვილად შეუძლია წიგნის დახმარებით დაამზადოს, მოსწავლეთა აქტიური მუშაობით, ფიზიკური მოვლენების შესასწავლად საჭირო ხელსაწყოები. წიგნი დიდი ყურადღების ღირსია როგორც ქალაქის, აგრეთვე სოფლის სკოლებისათვისაც, რომელთა დიდი ნაწილი მოკლებულია ფიზიკურ კაბინეთსა და ლაბორატორიებს, რის გამოც ფიზიკური მოვლენების შესწავლისას მოსწავლეები იძულებული არიან ცარცითა და სიტყვიერი შესწავლით დაკმაყოფილდენ. ხელსაწყოების დამზადება არავითარ განსაკუთრებულ ხარჯებს არ მოითხოვს, უმნიშვნელო ხარჯების გაწევით გათვალისწინებულია ასეთი ხელსაწყოების დამზადება: 1. ხისაგან: საზომი ერთეულები, რამდენიმე ტიპის სასწორი, ცენტრიდანი მანქანა და სხვა; 2. მინისა და ლითონებისაგან: სითხეების და გაზების თვისებების, სითბოსა და მაგნეტიზმის შესასწავლი მრავალი ხელსაწყო. საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი ელექტრული და სინათლის მოვლენების შესასწავლად საჭირო ხელსაწყოები. წიგნის უკანასკნელ თავში განხილულია საკითხები—„როგორ უნდა გაკეთდეს და დაიდგას რადიომიმღები სადგური“. წიგნი მარტივი და სხარტი ენით არის დაწერილი, ავტორი ცდილობს გამოიყენოს ფიზიკისა და ელექტროტექნიკის მიღებული ტერმინოლოგია, მაგრამ რამდენიმე შეცდომას აქვს ადგილი (მაგ.: ბურღი ხრახნის მაგიერ; მცურავო მცოცის მაგიერ; სოსანი იისფერის მაგიერ და სხვა).

მე 41 სურათი ნათელ წარმოდგენას ვერ იძლევა ინგენგუზის ხელსაწყოზე და ტექსტს არ შეეფერება.

ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტორი ამა თუ იმ ხელსაწყოს ნაწილების ზომას არ აღნიშნავს, რაც მეტად გააძნელებს მიზანშეწონილი ზომის ხელსაწყოს დამზადებას (მაგ. გვ. 44,71,80,83—არ არის ნახსენები მავთულის დიამეტრი, 87—სარკეების ზომა არ არის ნახსენები, 88 გვ. უკანასკნელი ხუთი სტრიქონი და სხვა).

მე-42 გვერდზე ნახსენებია მსხვილი მავთულისაგან დამზადებული სამფეხი, მის დამზადებაზე კი არსად არაფერი არ არის ნათქვამი; საჭიროა შემდეგ გამოცემაში მოყვანილ იქნეს დამზადების ხერხი (მაგ. პავლოვიჩის მიხედვით).

მე-56 გვერდზე ლაპარაკია მაგნიტის ისრების დამზადებაზე; ძალიან კარგი იქნება, თუ შემდეგ გამოცემაში ავტორი მე-57 სურათზე აღნიშნული ისრის მაგიერ შემოიღებს პავლოვიჩის მიხედვით ისრის დამზადების ხერხს, ვინაიდან უკანასკნელი ხერხით ისრის დამზადება უფრო ხელმისაწდომი და მარტივია.

შემდეგ გამოცემაში უნდა შესწორდეს ათწილადიანი სასწორის მოდელი; ვფიქრობთ, რომ სასწორის მუშაობის გამორკვევას მეტად გააადვილებს, თუ დაემატება წონასწორობის აღმნიშვნელი.

ძალიან სასარგებლო იქნება ზოგადი ცნობების მოთავსება მინის მილების მოღუნვა-დამუშავებაზე და ლითონების დაკავშირებაზე. ფრიად საჭიროა აგრეთვე იმ იარაღების დასახელება, რომელნიც აუცილებლად დასჭირდება სკოლას ფიზიკის კუთხისათვის ხელსაწყოების დამზადების დროს.

წიგნი, მიუხედავად დასახელებული მცირე დეფექტებისა, დიდად სასარგებლო იქნება არა მარტო იმ მასწავლებელთათვის, რომელნიც დღემდე შესაფერისი ყურადღებით ვერ მოპყრობიან მარტივი ხელსაწყოების დამზადების საქმეს, არამედ საყურადღებოა და დიდ დახმარებას გაუწევს იმათაც, ვისაც ნათლად აქვს შეგნებული ასეთი მუშაობის მნიშვნელობა, მაგრამ შესაფერისი სახელმძღვანელოს უქონლობის გამო ერთი ან ორი ხელსაწყოს დამზადებით კმაყოფილდებოდენ ხოლმე.

ნ. ჯაფარიძე.

ისტორიული ატლასის ახალი ტიპი.

ისტორიულმა რუკამ და ატლასმა დიდი ხანია მიიღეს მოქალაქებრივი უფლება, როგორც აუცილებელმა ხელსაწყომ ისტორიის შესწავლის დროს. მაგრამ იმისათვის, რომ მათ შეასრულონ თავისი დანიშნულება, როგორც ისტორიულმა ხელსაწყომ, აუცილებელია, რომ მათი შინაარსი ეთანხმებოდეს იმას, რასაც ამჟამად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა ისტორიულ მეცნიერებასა და ისტორიის სწავლებაში. ისტორიულ-პოლიტიკური რუკა ნაკლებ გამოსადეგი იქნება სახალხო მეურნეობის ისტორიის შესწავლის დროს, ისევე, როგორც ისტორიულ-ეკონომიური რუკა თავისთავად არასაკმარისი ხელსაწყოა სამხედრო ისტორიის ან საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის შესასწავლად, თუმცა საგარეო პოლიტიკასა და სტრატეგიას ფესვები ეკონომიკაში აქვს გამდგარი. ამ მხრივ ის

ახალი მოთხოვნები, რომელიც წარდგენილი აქვს ისტორიულ მეცნიერებას, ან ის, რასაც იძლეოდა არსებული ისტორიული კარტოგრაფია, დაშორებულია ერთიმეორისაგან და ეს დაშორება განსაკუთრებით საგრძნობი იყო ბოლო ხანებში.

კ. კუდრიაშოვის მიერ შედგენილი ახალი ატლასი რუსეთის ისტორიისა [1]), აგებული მეტად ფართო და ახალ მასალაზე, მკაფიოდ გამოხატავს რუსეთის ისტორიის ახალ კონცეპციას და ამ მხრივ ყურადღების ღირსია, როგორც დიდი მეცნიერული მიღწევა.

კ. კუდრიაშოვის ატლასი 18 დიდ ნახევარფურცლიან ტაბულაში შეიცავს 58 რუკას (სამწუხაროდ, ზოგჯერ მეტად მცირე ზომისას), რომლებიც დაჯგუფებულია იმ განყოფილებების მიხედვით, რომელზედაც აგებულია ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია: რუსეთი ფეოდალიზმამდე, რუსეთის ფეოდალიზმის ხანა, სავაჭრო კაპიტალიზმის ხანა, სამრეწველო კაპიტალიზმის ხანა. ამ 58 რუკიდან 25 ასურათებს უშუალოდ რუსეთის სახალხო მეურნეობის ისტორიას, თითქმის 48 აქვს ისტორიულ-სოციალური და ისტორიულ-კულტურული ხასიათი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, და მხოლოდ რაღაც ათიოდე რუკა შეეხება წმინდა პოლიტიკურ ისტორიას. ამასთანავე მნიშვნელოვანია არა ციფრული შეფარდებანი თავისთავად, არამედ ისტორიული მასალისადმი ძირითადი მიდგომის სიახლე.

„Атлас т. Кудряшова не есть еще марксистский атлас русской исторической географии, но с ним мы настолько близки к окончательному разрешению этой задачи, что дальнейшее, несомненно, дело ближайших лет и, надо надеяться, дело рук того же автора“,-ასე ათავებს თავის წინასიტყვაობას ამ გამოცემისათვის მ. ნ. პოკროვსკი.

ახალ ისტორიულ ატლასს ზოგიერთი ნაკლიც აქვს, და აღვნიშნავთ მხოლოდ ისეთებს, რომელთაც ცოტად თუ ბევრად ზოგადი მნიშვნელობა აქვთ. უწინარეს ყოვლისა, თვალში ეცემა კაცს ის, რომ სრულებით არ არის მოყვანილი ისტორია უკიდურესი აღმოსავლეთ-ევროპის ველისა, რომელზეც იშლებოდა რუსეთის ისტორია: აღმოსავლეთ-ევროპის ყინვარის საზღვრები, ისტორიული ცვალებადობა საზღვრისა ტყესა და ველს შუა, შავმიწა ნიადაგის ზოლი და სხვ., რასაც რუსეთის სახალხო მეურნეობის ისტორიაში უდიდესი

---

[1]) К. В. Кудряшов. Русский исторический атлас. 1928, Ленинград. Гиз; 4 მან. 50 კაპ.

მნიშვნელობა აქვს. ავტორი სრულიად სამართლიანად უთმობს თვალსაჩინო ადგილს რუსეთის კოლონიზაციის ისტორიას, მაგრამ ისევე მკაფიოდ არ არის ასახული ამ დიდი ისტორიული მოვლენის ცალკე მომენტები; მაგალითად, სრულებით არა ჩანს ვოლგის შუა და ქვემო სანაპიროების კოლონიზაციის პროცესი. ავტორს მშვენივრად მოჰყავს სავაჭრო გზების განვითარების ისტორია, და მით უფრო სამწუხაროა ის გარემოება, რომ ატლასში ვერ ვხვდებით რუსეთის რკინისგზის ქსელის რუკას, რომლის მოთავსებითაც ბუნებრივად დამთავრდებოდა ამ ჯურის რუკათა წყება.

ავტორს შეტანილი აქვს ატლასში ძველი კიევის, მე-XVI საუკუნის ნოვგოროდის და მე-XVII საუკუნის მოსკოვის გეგმები; მოსკოვისთვის, და თვით კიევისთვისაც, უკეთესი იქნებოდა ამ ქალაქების ისტორიული ზრდის გეგმათა მოცემა და, რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოცემული ასეთივე ისტორიული გეგმა პეტერბურგ-პეტროგრად-ლენინგრადისა.

საქართველოში ისტორიული კარტოგრაფია ჯერ მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაშია. მას ჯერ კიდევ წინ უდევს თავისი გზების ძებნა და თავისი ფორმების გამომუშავება. ამიტომ დავინახეთ საჭიროდ გაგვეცნო ქართველი მკითხველი საზოგადოებისათვის ისტორიული ატლასის ის ახალი ტიპი, რომელიც დასახულია კ. კუდრიაშოვის შრომაში.

ატლასს დართული აქვს იმ შრომათა ბიბლიოგრაფია, რომლებიც მას საფუძვლად დაედო. საწყენია მხოლოდ, რომ ატლასის განმარტებითი შენიშვნები და მაჩვენებელი გამოვა მხოლოდ შემდეგ და ცალკე. გარეგნულად ატლასი ლამაზად არის გამოცემული, მაგრამ კარტოგრაფიული შესრულება ყოველგან უნაკლო არაა. ფასი (4 მ. 50 კ.), თუ მივიღებთ მხედველობაში სასტამბო საქმის თანამედროვე პირობებს, ზომიერად უნდა ჩაითვალოს.

მ. პოლიევქტოვი.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ატლასი. ს. ს. რ. კ. ცაკის გამოცემა, 1928 წ; ფ. 12 მან.

ატლასი გამოცემულია თანახმად საკავშირო ცაკის დადგენილებისა. გამოცემას ხელმძღვანელობდა სარედაქციო კომისია ა. ენუქიძის, მ. პავლოვიჩისა და კ. ეგოროგის შემადგენლობით. რუკები გადათვალიერებული და ნაწილობრივ შევსებულია ვ. სემიონოვ-ტიანშანსკისა და აკადემიკოს შოკალსკის მიერ.

ატლასი საკმაო ნათელ წარმოდგენას იძლევა ს. ს. რ. კავშირზე, მოცემულია ე. წ. პოლიტიკური რუკები ყველა რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქისა. გარდა ამისა—მსოფლიოს რუკა. 36 რუკა, რომლისაგანაც ატლასი შესდგება, კარგ ქაღალდზე და სუფთად არის შესრულებული. როგორც მსოფლიოს რუკას, აგრეთვე თითოეული რესპუბლიკის და ოლქის რუკას დართული აქვს ტერიტორიის მოკლე ფიზიკო-გეოგრაფიული მიმოხილვა და აღნიშნულია ამ ერთეულების სამეურნეო და კულტურული ცხოვრების თავისებურობანი. საერთოდ ატლასში ასეთ ტექსტს 108 გვერდი (რუკების ფორმატისა) აქვს დათმობილი.

ატლასზე მუშაობა დაწყებული იყო 1923 წელს და ნაწილობრივ ამით აიხსნება ის შეცდომები, რომელნიც ზოგიერთ ადგილას გვხვდება ავტონომიური ერთეულების სამეურნეო და კულტურული მდგომარეობის დახასიათებისას. ზოგიერთი ცნობა არ შეეფერება არა თუ უკანასკნელი წლების მდგომარეობას, არამედ არც გასულ წლებს (მაგალითად: ზოგიერთი ცნობა სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში).

ცნობები საქ. კურორტების შესახებ, როგორც ეტყობა, ძველ მასალებზეა დამყარებული, ვინაიდან არ არის ნახსენები უკანასკნელ წლებში გაშენებული კურორტი შოვი და წყალტუბო, რომელნიც თავისი სამკურნალო თვისებებით უფრო მნიშვნელოვანი არიან, ვიდრე ატლასში დასახელებული ზოგიერთი სამკურნალო ადგილი. რუკების გამოყენებას ცოტად გააძნელებს რუკების მასშტაბის სხვადასხვაობა. 36 რუკა 15 სხვადასხვა მასშტაბით არის შესრულებული. (უმცირესი—1:95.000.000; უდიდესი 1:1.000.000). საერთოდ ეს ატლასი ყოველი სკოლისა და მასწავლებლისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს და ფრიად დიდ დახმარებას გაუწევს მათ ყოველდღიურ მუშაობაში, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს აგრეთვე ყოველ მოქალაქეს, რომელიც დაისახავს მიზნად გაეცნოს როგორც ს. ს. რ. კავშირის, აგრეთვე მსოფლიოს სამეურნეო და კულტურული უკანასკნელი დროის მდგომარეობას.

ნ. ჯაფარიძე.

დაუსწრებელი კურსები

პედაგოგიური თვითმართველობისათვის

№ 5

1929 წ.

დაწყებითი სკოლის შინაარსი, მეთოდები და ორგანიზაცია.

რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა პედოლოგიიდან.

მეხუთე დავალება.

(მეოთხე დავალების გაგრძელება: ბავშის ბიოლოგიური თავისებურობანი მოზრდილ ადამიანთან შედარებით და პედაგოგიური დასკვნები)

სკოლამდე ასაკი (პრ. არიამოვი)

ა) საერთო დახასიათება.

ბავშის მეტყველების განვითარების მთავარი ფაზაა პერიოდი დაბადებიდან—3-3$^1/_2$ წლამდე, ეგრეთწოდებული ბაგის ანუ სკოლის წინა პერიოდის ასაკი. უკვე აქედანაც შეიძლება გავიგოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ასაკს ბავშის განვითარების საერთო პროცესში.

მაგრამ აქამდე ამ ასაკს მეტად მცირე ყურადღებას აქცევდენ პედაგოგები და თუ მისი უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ კიდევ შეგვიძლია რაიმე ვთქვათ, მისი ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურების დახასიათების შესაძლებლობა ჯერჯერობით არა გვაქვს. ამიტომ ჩვენ მოგვიხდება ლაპარაკი პირდაპირ სკოლის წინა ასაკზე, ე. ი. პერიოდზე 2—7 წლამდე.

ძუძუს ასაკი, როგორც ვნახეთ, უმთავრესად შინაგანი სეკრეციის **ჯირკვალთა სისტემის** ზეგავლენის ქვეშ არის: ჩიყვის, ჯალღუზისებრი და ფარისებრი ჯირკვლების ახლო მდებარე ჯირკვლებისა.

მაგრამ ერთი ამ ჯირკვალთაგანი—ჯალღუზისებრი—ტვინის სართზე (გიპოფიზი) სტიმულურ გავლენას ახდენს და, დაახლოვებით 2 წლისათვის, გიპოფიზი საკმოდ მოქმედი ხდება და მოქმედ ჯირკვალთა სისტემაში შედის.

ეს ჯირკვალიც უპირველეს ყოვლისა ზრდის ჯირკვალია, მაგრამ, როგორც ზოგიერთი გამოკვლევა გვიჩვენებს, ამ ჯირკვლის ზეგავლე-

ნით განსაკუთრებით ენერგიულად იზრდება კიდურები, კერძოდ ფეხებისა და სახის ნაწილის ძვლები. როდესაც ახლადდაბადებულის თავის ქალას დავუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ სატვინე ნაწილი, პირისახის ნაწილთან შედარებით, მეტად დიდია.

იმავე დროს გიპოფიზი ასუსტებს ჯალღუზისებრი ჯირკვლის მოქმედებას. თუ განვიხილავთ სკოლის წინა ასაკში **ზრდის პროცესს,** შემდეგ სურათს ვხახავთ. საერთოდ ბავშის ზრდა სკოლის წინა ასაკში შესამჩნევად ფერხდება, ჩერდება (ეპიფიზის დაქვეითება?). თუ პირველი წლის განმავლობაში ადგილი აქვს ბავშის გაზრდას 50 სანტიმეტრიდან 75 სანტიმეტრამდე, ე. ი. 50%-ით, მეექვსე წლის დასასრულს, ე. ი. სკოლის წინა ასაკის ბოლოში ბავშის სიმაღლე საშუალოდ 103—110 სანტიმეტრს უდრის.

მაშასადამე, სკოლის წინა ასაკის განმავლობაში მთლად, ე. ი. ხუთი წლის განმავლობაში, სიმაღლე მატულობს ცოტათი მეტს, ვიდრე პირველი წლის განმავლობაში. საერთოდ, უეჭველია, შეფერხება ემჩნევა. იმავე დროს, თუ ავიღებთ ტანის დამოკიდებულებას ფეხების სიგრძესთან, საწინააღმდეგო სურათს დავინახავთ. ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ახლადდაბადებულის ფეხების სიგრძე უდრის მთელი სიმაღლის 33,5%, ე, ი. ერთ მესამედს; ექვსი წლის ბავშის ფეხების სიგრძე კი სიმაღლის 44,6%-ს უდრის, ე. ი. ბავშის ფეხები სკოლის წინა ასაკში თითქმის აღწევს მოზრდილის ნორმალურ დამოკიდებულებას. ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ სკოლის წინა ასაკის ბავშის ფეხები ამ პერიოდში ძალიან გრძელდება. მაშასადამე, სხეულის ზრდის საერთო შეფერხება უმთავრესად ტანის ზრდას შეეხება. სკოლის წინა ასაკის დასასრულს—5,6,7 წლებში—ჩვენ საქმე გვაქვს შედარებით გამხდარ ბავშებთან, რომელთაც ფეხები გრძელი და მკვეთრწვივიანი აქვთ.

მეტამორფოზის ენერგიული პროცესები, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს **ძვლის სისტემის** განვითარებაზე და ძვლების გამკვრივების პროცესის გაძლიერებაზე.

ძვლის გამკვრივების პროცესი გრძელდება სასკოლო ასაკშიც, 14—15 წლამდე; ამიტომ სკოლის წინა ასაკის ბავშის ჩონჩხი უფრო ელასტიურია; თუმცა ხერხემალს ამ ხანაში უკვე აქვს მოზრდილისათვის დამახასიათებელი კლაკნილები, მწოლარე მდგომარეობაში ეს კლაკნილები, ელასტიურობის გამო, სწორდება და არა ჩანს, ხოლო, ძვლების არასაკმაო გამკვრივების გამო, სხეულს მეტი აქვს უნარი ისეთი მოძრაობისა და მოხრისა, რაც მოზრდილთ უკვე არ ძალუძთ.

რა თქმა უნდა, აქაც დიდ როლს ასრულებს სოციალურ-ეკონომიური პირობები, მაგრამ სასკოლო ასაკის ბავში, რაგინდ კარგ პირობებში იმყოფებოდეს იგი, არ არის ისეთი მსუქანი, ჩაპუნტულებული, როგორიცაა ძუძუს ასაკის ბავში. და თუკი ის ასეთია, ეჭვი უნდა აიღოთ, რომ აქ რაღაც ცუდად არის, რაღაც დისჰარმონიას აქვს ადგილი.

ნათქვამს უნდა დავუმატოთ, რომ სკოლის წინა ასაკის ბავშს სამილე ძვლები, კერძოდ ფეხების ძვლები, სწრაფად ეზრდება, კუნთები კი მეტად სუსტი აქვს. მხოლოდ 5—6 წლიდან იწყება კუნთების მასის ზრდა და მათი გაძლიერება; ამასთანავე პირველად ვითარდება სხვილი კუნთები, შემდეგ კი წვრილი.

თავისთავად ცხადია, რომ ბავშის **მოძრაობის უნარის** გაძლიერება ხელს უწყობს მისი კუნთების სწრაფად განვითარებას.

მოძრაობის უნარი კი ამ ასაკში მეტად გაძლიერებულია და ბავში ამ ხანაში, როგორც ყველასათვის ცნობილია, პირდაპირ დაუღალავი და მოუსვენარია. ამ დაუღალავობით, რომელიც მოზრდილს ანცვიფრებს, განსხვავდება სკოლის წინა ასაკის ბავში. უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოძრაობას ბავშის საერთო განვითარებისათვის. აქედან გასაგებია, თუ რამდენად სერიოზულია ბავშის მოძრაობის, მისი თამაშობის და შრომის ხელმძღვანელობის საკითხი. ცხადია, რომ პედაგოგების ზედმეტად ენერგიული ჩარევა, მუდმივ ჩარევა ბავშის ცხოვრებაში შეაფერხებს ბავშის განვითარებას და მხოლოდ მუხრუჭის როლს შეასრულებს.

მეორე მხრით, ბავშის მიშვება თავის ნებაზე აგრეთვე არაპედაგოგიურია, რადგან ასეთ შემთხვევაში ბავში შეიძლება ზედმეტად მოიქანცოს და სრულიად უსისტემოდ განვითარდეს.

უეჭველია, უნდა მოინახოს საზღვარი, რომ, ერთის მხრივ, ბავშს არ ეკნეს საშვალება უდროოდ დახარჯოს თავისი ღონე და მოიქანცოს და, მეორე მხრივ, არ შეიზღუდოს მისი მოქმედება იმდენად, რომ ამან ვნება მოუტანოს ბავშის განვითარებას.

ბ) უმაღლესი ნერვული მოქმედება

შინაგანი მომწიფების პროცესების გაძლიერება (შეტამორფოზა), რაც სკოლის წინა ასაკის დამახასიათებელია, საერთოდ ცენტრალურ ნერვულ სისტემასაც ემჩნევა. და მართლაც, უკვე სამი წლისათვის თავის ტვინის მომწიფება შეიძლება საერთოდ დასრულებულად ჩაითვალოს, ე. ი. ნერვული უჯრედები მისი დენდრიტებით და გამტარებელი გზების მიელინიზაცია საკმაოდ განვითარებულად ჩაითვალოს.

იგივე უნდა ითქვას ზურგის ტვინის გამტარებელ გზებზე, რომ-ლებიც აკავშირებს ზურგის ტვინს თავის ტვინთან.

თუ მივიღებთ, რომ თავის ტვინს სამი წლის დასასრულს მუ-შაობის სრული უნარი აქვს, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ ამ ხანაში ბავში განსაკუთრებით განწყობილია გარემო ქვეყნიერების შესასწავ-ლად, გარემო წრის ანალიზისათვის, ე. ი. იმ გაღიზიანებათა დიფე-რენცირებისათვის (დაყოფისათვის), რომელიც ხვდება მის ცენტრა-ლურ ნერვულ სისტემას.

ეს ანალიზის გამკეთებელი მოქმედება ყველაფერზე მეტად ახა-სიათებს მთელს სკოლის წინა ასაკს.

ბევრად უფრო ცუდად არის საქმე დახშვის პროცესებისა, სინ-თეზისა, ცალკე გაღიზიანებათა დაკავშირებისა სისტემად, კომპლე-ქსებად (განზოგადოება და განყენება).

როგორ გროვდება სკოლის წინ ასაკის ბავშის ტვინში ცოდნა, როგორ იკრიბება გაღიზიანებისაგან დატოვებული დიფერენცირული კვლები? თუ შევისწავლით ბავშს,—მივცემთ დასათვალიერებლად სხვადასხვა ნახატს და ამ დროს დავუკვირდებით მას,—ადვილად შე-ვამჩნევთ, რომ იგი მშვენივრად ერკვევა მოხაზულებებში. ეს გარემოე-ბა მის თვალსაჩინო განსაკუთრებულებას წარმოადგენს.

თვით ამ ასაკის ბავშების მიერ გაკეთებული ნახატები გვიჩვე-ნებს, რომ ბავშები ვერ ამჩნევენ პროპორციას და ვერ აღნიშნავენ ხოლმე სწორედ ურთიერთობას მოხაზულობის ნაწილებს შორის, რად-გან გამოსახულების პირველი ფორმა სქემას წარმოადგენს.

აგრეთვე, თუ დავუკვირდებით ბავშის მიერ ფერების გარჩევას, აღმოჩნდება, რომ ბავშები არჩევენ მხოლოდ ძირითად ფერებს: წი-თელს, ყვითელს, თეთრსა და შავს; შერეულ ფერებს კი—ვარდისფერს, ნარინჯისფერს, იისფერს და სხვა—დიდის სიძნელით არჩევენ.

ბავში არჩევს საგნების შედარებით სიდიდესაც; სამი წლის ბავშს რომ სხვადასხვა სიგრძის ორი ჯოხი მივცეთ, იგი შესძლებს აღნიშნოს და გაარჩიოს, რომელია გრძელი და რომელი მოკლე.

უფრო საძნელოა სინთეზი, საგნებსა და მოვლენათა შორის და-მოკიდებულების გაგება. იმ დროს, როცა სკოლის წინა ასაკის ბავში ადვილად შეამჩნევს გამოხატულების ყოველგვარს ნაკლსა და უსწორ-მასწორობას, მას სრულებით არ ძალუძს გაიგოს სურათზე გამოხა-ტულის აზრი, ე. ი. დაამყაროს კავშირი საგნებსა და მოვლენათა შორის.

განვითარების ამ სტადიაში ჯერ არავითარი ნიშანიც არ არის იმისა, რომ ბავშს ესმის საგნის სახის და გვარის ცნებათა ურთიერ-

თობა, მისი კონკრეტული თვისებები და მიზეზობრივი დამოკიდებულება: საგანი არსებობს უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ კაცს პრაქტიკულ ცხოვრებაში განსაზღვრული სამსახური გაუწიოს.

სივრცეს, როგორც უსაზღვროსა და დაუსრულებელს, სკოლის წინა ასაკის ბავში სრულებით ვერ ითვისებს. მხოლოდ ოთხი წლის ასაკში შეუძლია ბავშს ცოტად თუ ბევრად ნათლად წარმოიდგინოს, რომ მისი ლოგინი ოთახშია, ოთახი ბინაშია და ბინა კი სახლშია.

თვალზომა, სივრცის თვალით განსაზღვრის უნარი,—სკოლის წინა ასაკის ბავშს მეტად სუსტი აქვს.

ასეთივე კონკრეტული წარმოდგენა აქვს ბავშს დროზე. ექვს წლამდე ბავშებისათვის დრო წარმოადგენს კონკრეტულ მანძილს, რომელიც შემოფარგლულია ნაცნობი, კონკრეტული შემთხვევა-მოვლენებით.

მხოლოდ სკოლის წინა ასაკის დასასრულს შეუმუშავდება ბავშს საკმაოდ ნათელი წარმოდგენა წარსულსა და მომავალზე, თუმცა დროს პერიოდების განსაზღვრა სათანადო სისწორით ჯერ კიდევ არ შეუძლია. ექვსი წლის ბავშების უმრავლესობა ვერ ერკვევა კარგად შემდეგი სიტყვების მნიშვნელობაში: წუთი, საათი, კვირა, თვე.

ასეთია უმთავრესი განსაკუთრებულებანი, რომლებიც ახასიათებენ სკოლის წინა ასაკის ბავშთა უმაღლეს ნერვულ მოქმედებას, უპირველეს ყოვლისა--გაღიზიანების დიფერენციაციის უნარი, ე. ი. გარემო ქვეყნიერებიდან გარკვეულ შთაბეჭდილებათა მიღების ნიჭი. ამ მხრივ სკოლის წინა ასაკის ბავშებს დიდი წარმატება აქვთ. მეიმანის აზრით, სკოლის წინა ასაკის დასასრულს ცნობა და განსხვავება ფერებისა და კილოების, შეგრძნება წნევის, ტემპერატურის, ყნოსვითი და გემოვნებითი შეგრძნებები მოზრდილის სათანადო შეგრძნებებთან შედარებით დიდ განსხვავებას არ წარმოადგენს.

სივრცითი მანძილის გარჩევა (თვალზომა) შვიდი წლის ბავშებს ხშირად ისეთივე სწორი და უტყუარი აქვთ, როგორც საშუალოდ მოზრდილებს.

რაც შეეხება ფორმის გარჩევას, იგი იწყება ამ ასაკში და ბავშის სკოლაში ყოფნის დროს თანდათან ვითარდება სწავლის ზეგავლენით.

აქედან ცხადი ხდება სკოლის წინა ასაკის პედაგოგიკის მთავარი ამოცანა—მივცეთ ბავშს სწორი, დიფერენცირებული ცოდნა, შევძლოთ პასუხის მიცემა კითხვებზე: რა არის ეს, როგორ, რატომ, რისთვის, ვუპასუხოთ იმ კითხვებზე, რომლებითაც ბავში მუდამ დაჟინებით მიმართავს სხვებს. თავისთავად ცხადია, რომ აქ უდიდესი

მნიშვნელობა აქვს დიდაქტიური მასალის საკითხს, იმის საკითხს, თუ რით და როგორ მოვახდინოთ გავლენა ბავშზე, რომ მას დარჩეს თავის ტვინში სწორი და გარკვეული კვალი. ეს არის კარდინალური მნიშვნელობის საკითხი.

რომ საშუალება გვექნეს წარმოვიდგინოთ სკოლის წინა ასაკის ბავშის უმაღლესი ნერვული მოქმედების განვითარების საერთო მსვლელობა, მოვიყვანთ ტერმანის მიერ დამუშავებულ განსაკუთრებით დამახასიათებელ მიღწევებს ყოველი წლისათვის, ბინე-სიმონის სკალის მიხედვით.

3 წ ე ლ ი. თავისი სხეულის ნაწილების ჩვენების უნარი: ცხვირის, თვალების, პირისა; დასახელება ოჯახში სახმარებელი საგნებისა, მაგ. საათი, გასაღები, კაპეიკიანი სპილენძის ფული და სხვ.; ჩამოთვლა სურათზე დახატული საგნებისა; თავისი სქესის დასახელება; დასახელება თავისი გვარისა; 6—7 მარცვლისაგან შემდგარი ფრაზის გამეორება, მაგ. „ძაღლსა და კატას ძინავთ"; გამეორება სამი ციფრისა. მაგ. 3,5,2.

4 წ ე ლ ი. ორი პარალელული ხაზის სიგრძის შედარება, მაგ. 60 და 45 მმ.; სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურების ფორმების გარჩევა; კვადრატის გადმოხატვა; პასუხის მიცემა მაგ. ასეთ კითხვაზე: რა უნდა ჰქნა, როცა გეძინება? როცა ცივა? როდესაც ჭამა გინდა? ოთხი ციფრის გამეორება; 12—13 მარცვლისაგან შემდგარი წინადადების გამეორება, მაგ. ჩვენ გვიყვარს ზაფხულში აგარაკზე თამაშობა.

5 წ ე ლ ი. ორი სიმძიმის შედარება, მაგ. ორი ერთნაირი ფორმის მუყაოს კოლოფისა, წონით 3 გრამის და 15 გრამის; ოთხი ფეის დასახელება სხვადასხვა ფერად შეღებილ ქაღალდის ზოლზე; სხვადასხვა ნახატების ესთეტიური შეფასება, მაგ. ქალის სახეების; საგნის განსაზღვრა მისი ხმარების წესის მიხედვით, მაგალითად: რა არის სკამი, ცხენი, ჩანგალი, დედოფალა, ფანჭარი, მაგიდა? ერთდროულად მიცემული სამი დავალების შესრულება, მაგ. გასაღების დადება სკამზე, მერე კარის გაღება და განსაზღვრულ ადგილზე მდებარე ყუთის მოტანა.

6 წ ე ლ ი. მარჯვენა მხარის გარჩევა მარცხენასაგან, მაგ. ჩვენება მარჯვენა ხელის, მარცხენა ყურის, მარჯვენა თვალის; სურათში, რომელშიც რაიმე დაუმთავრებელია, ნაკლის მონახვა; პასუხის მიცემა ასეთ კითხვებზე: „რა უნდა ჰქნა, თუ წვიმა მოდის და საბავშო ბაღში წასვლა კი საჭიროა?" ოთხი ფულის დასახელება: შაურიანის, აბაზიანის, ათშაურიანის და მანეთიანის; 16—18-მარცვლიანი ფრაზის გამეორება; დღის დროის განსაზღვრა.

7 წელი. ხელის თითების რიცხვის ცოდნა; განმეორება ხუთი ციფრისაგან შემდგარი რიგისა; მოგონებით ორი საგნის ერთმანეთან შედარება (მაგ., პეპელა და ბუზი, ქვა და კვერცხი, ხე და ღერო); რომბის გადმოხატვა (მელნით); კვირის დღეების ჩამოთვლა; სამი ციფრისაგან შემდგარი რიგის გამეორება უკუღმა.

პირველი საფეხურის სკოლის ასაკის ბავშის თავისებურობანი

1. დავალების მიზანი

ნათელი წარმოდგენის მიღება პირველი საფეხურის სკოლის მოწაფის თავისებურობებზე (ან მოწაფესთან აქვს საქმე მასიურ მასწავლებელს).

II. შესავალი და დავალების დამუშავების გეგმა.

ა) ბიოლოგიური თავისებურობანი. ბავშის—პირველი საფეხურის მოწაფის—თავისებურობანი ყველა ასაკში ერთიდაიგივე არ არის, 11—13 წლის ბავშები იმგვარი როდი არიან, როგორიც 8—10 წლის ბავშები. სკოლაში ყოფნის პირველ წლებში ბავშები შენელებული ზრდის სტადიაში არიან; ბავშის შეფარდებითი სიმაღლე შედარებით ცოტას მატულობს. ორგანიზმში არ ხდება მკვეთრი ცვლილებანი, ვინაიდან ამ დროს გაბატონებული შინაგანი სეკრეციის ჯირკვალთა (ჩიყვის ჯირკვალი და ტვინის დანამატი) ურთიერთმოქმედება საკმაოდ შეწონასწორებულია.

ბ) ყოფაქცევის თავისებურობანი. შინაორგანიული პროცესების ასეთი წონასწორობა ჰქმნის ხელსაყრელ პირობებს უმაღლესი ნერვული მოქმედიანობისათვის. სკოლის ასაკამდე ასაკის ბავში ცოტად თუ ბევრად სწორ ცოდნას იძენს საგნებისა და მოვლენების შესახებ, სასკოლო ასაკის დასაწყისში კი ბავში ცდილობს საგნებსა და მოვლენებს შორის შეფარდება გამონახოს.

პედაგოგიური ხასიათის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ა პერიოდში ახალი ცნობების მიწოდება საგნებისა და მოვლენების მათი კავშირისა და ურთიერთმოქმედების საფუძველზე უშუალოდ შესწავლის გზით. ამიტომ აუცილებლად საჭიროა სწავლების თვალსაჩინოება, ლაბორატორიული, კვლევითი მეთოდის ფართოდ გამოყენება ყველგან, სადაც კი ეს შესაძლოა.

გ) ბიოლოგიური ცვლილებანი 11 წლის შემდეგ. შემდეგ იწყება ღრმა ცვლილებები ბავშის ორგანიზმში, სქესობრივი მომწიფების პროცესების დაწყებასთან დაკავშირებით. 11 წლის შემდეგ გოგონების (ვაჟების კი ცოტა უფრო გვიან) ტვინის დანამატი თავისუფლდება ჩიყვის ჯირკვლის მჩაგვრელი გავლენისაგან, და ამის

მეოხებით ბავშვები სწრაფად აიყრიან საერთოდ ტანს, განსაკუთრებით კი ფეხები უგრძელდებათ. ამის გამო მოწაფეთა კონსტიტუციონალური ნიშნები იცვლება, ასტენიური (გაბრაზების, აღგზნების) თავისებურებანი ძლიერდება. ამავე დროს ტვინის დანამატის ზეგავლენით იწყება სქესობრივი ორგანოებისა და ჯირკვლების ზრდა და მომწიფება, თავს იჩენს მეორადი სქესობრივი ნიშნები (უფრო მკაფიოდ ჩნდება მენჯის ძვლების განვითარების თავისებურობანი, ბალანი ამოდის ტანზე და სხვ.).

დ) ყ ო ფ ა ქ ც ე ვ ი ს შ ე ც ვ ლ ა. ამასთან დაკავშირებით იცვლება ბავშვების უმაღლესი ნერვული მოქმედიანობა: სუსტდება დასწავლისა და დამახსოვნების პროცესები, სუსტდება სასკოლო სწავლების საგნების მიმართ ყურადღება, იცვლება მშობლებისა და პედაგოგებისადმი მოპყრობა (უფრო ცუდად ეპყრობიან მათ ბავშვები, არ უჯერებენ, თავხედობენ, ანჩხლობენ); იმათ უმთავრესად თავისი თავი აინტერესებსთ და ყოველგვარად ცდილობენ დიდებს დაემსგავსონ, უმთავრესად კი ცოცხალ ან წიგნში გაცნობილ გმირებს. სასკოლო საგნებს საგრძნობად უფრო სუსტად ითვისებენ.

ე) ს ქ ე ს ო ბ რ ი ვ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა ნ ი. იმის გამო, რომ ეს პროცესები გოგონებს უფრო ადრე ეწყებათ, ვიდრე ვაჟებს, ერთისადაიმავე ასაკის, მაგრამ სხვადასხვა სქესის 11—13 წლის ქალ-ვაჟნი ერთნაირი კი არ არიან, პირიქით, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს გარემოება მუდამ უნდა ახსოვდეს პედაგოგს,—ამას დიდი მნიშვნელობა აქვს,— და მუშაობის დროს ანგარიში უნდა გაუწიოს მას, მუშაობა ვაჟებისა და გოგონების დამახასიათებელ თავისებურობებს უნდა შეუფარდოს. თუ ანგარიში არ გაეწია ამ თავისებურობებს, ამას შეიძლება მეტად სამწუხარო შედეგები მოჰყვეს.

I საფეხურის სკოლის ასაკი

ა) საერთო დახასიათება.

სასკოლო ასაკი, რომელსაც I და II საფეხურის სკოლები უჭირავს, რამდენიმე წელს შეიცავს, დაახლოვებით 8-დან 18 წელიწადს. საბავშო ასაკის ძველი ფსიქოლოგია ამ ასაკს საერთო ძასაში იხილავდა. ამჟამად ეს არ შეიძლება მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული. ბიოლოგიის, რეფლექსოლოგიის და ექსპერიმენტარული ფსიქოლოგიის დასკვნები გვაიძულებს სამ პერიოდად მაინც გავყოთ სასკოლო ასაკი. ეს პერიოდები სავსებით დამოკიდებულია შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედებაზე, უმთავრესად სასქესო ჯირკვლებზე.

სრულიად ბუნებრივად შეიძლება ეს სამი ასაკი ერთიმეორესაგან ამგვარად განისაზღვროს:

1) სქესობრივი მომწიფების წინა ასაკი, საშუალოდ 7—12 წლამდე.

2) სქესობრივი მომწიფების პერიოდი—12 წლიდან 16—17 წლამდე.

3) მესამე პერიოდი—სქესობრივი სიმწიფის, სიჭაბუკის დაწყების ხანა. უნდა ითქვას, რომ ამ მესამე ასაკის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა ვიცით. ეს ასაკი სპეციალურად არ არის გამოკვლეული, სპეციალურად არ არის შესწავლილი, ამიტომ მის შესახებ ცოტა რაიმე შეიძლება ვთქვათ.

ბევრად უკეთ არის შესწავლილი მეორე ასაკი—სქესობრივად მომწიფების პერიოდი.

პირველი საფეხურის ასაკი, ე. ი. პერიოდი 8-დან 12 წლამდე, თუმცა უფრო ნაკლებ არის შესწავლილი, მაინც ვიცით მისი თავისებურებანი, და ამ ასაკზე შევაჩერებთ ჩვენს ყურადღებას.

დავიწყოთ ჩვეულებრივ კონსტიტუციონალურ თავისებურებათა და იმ მიზეზთაგან, რომლებიც იწვევს და ქმნის ამ თავისებურობათ. როცა სკოლის წინა ასაკს ვახასიათებდით, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ იგი უმთავრესად იმყოფება შინაგანი სეკრეციის ჯირკვალთა შემდეგი სისტემის ზეგავლენის ქვეშ: თანდათან შესუსტებული ჩიყვისა და ჯალღუზისებრი ჯირკვლებისა, თანდათან გაძლიერებული თავის ტვინის სართის და ფარისებრი ჯირკვლისა, რომლის წონაც 8—9 წლებში უცებ საგრძნობლად დიდდება. ჯალღუზისებრი ჯირკვალი მე-7 წლის დასასრულს სწყვეტს თავის მოქმედებას. ეს ნიშნავს, რომ მისი დამაქვეითებელი გავლენა სასქესო ჯირკვლებზე ქრება და, მაშასადამე, სასქესო ჯირკვლებს შეუძლიათ უკვე თავისი მოქმედება გამოააშკარაონ. და მართლაც, ერთის მხრით, სპეციალისტ-გინეკოლოგთა გამოკვლევებმა ქალის ორგანიზმის თავისებურობის შესახებ და, მეორე მხრით, სპეციალურმა გამოკვლევებმა ანტროპომეტრიაში გვიჩვენეს, რომ მე-7 წელიწადზე უკვე გარკვეულად აშკარავდება ორგანიზმის სქესობრივი თავისებურობანი, როგორც საერთოდ ჩონჩხის ძვლების საერთო აგებულებისა და კონსტიტუციონალური განსაკუთრებულების მხრივ, ისე, კერძოდ, მენჯის ძვლების აგებულობის მხრივ. შვიდი წლის შემდეგ ქალის მენჯი გარკვეულად იწყებს განსხვავებას ვაჟის მენჯისაგან.

გარდა ამისა, მოქმედ ჯირკვალთა სისტემიდან ჯალღუზისებრი ჯირკვლის გამორიცხვამ გავლენა უნდა მოახდინოს სიმაღლეზე ზრდის

პროცესზე -- შეაფერხოს იგი, რასაც სინამდვილეშიც კარგად ვამჩნევთ.

დანარჩენ მოქმედ ჯირკვალთა შორის საკმაოდ რთული ურთიერთობაა, რის გამო, როგორც ეტყობა, გიპოფიზი და ფარისებრი ჯირკვლები წარმოადგენენ ცენტრალურ მოქმედ ჯირკვლებს და აძლიერებენ შინაგანი მომწიფების პროცესებს. ბავშვი შედის ზრდის შეფერხების პერიოდში, მაგრამ სამაგიეროდ მას უძლიერდება შინაგანი მომწიფების პროცესები, კერძოდ—ცენტრალური ნერვული სისტემის მომწიფებისაც.

იმ ფაქტებს შორის, რომლებიც ახასიათებს ამ ასაკს, უნდა აღინიშნოს სარძეო კბილების მუდმივი კბილებით შეცვლა (24 კბილი).

ამ პროცესის ნორმალური მიმდინარეობა რამოდენიმედ ბავშის საერთო განვითარების ნორმალურობის კრიტერიუმსაც წარმოადგენს.

გარდა ამისა, გემოგლობინი მატულობს და სისხლის თეთრი ბურთულები მცირდება სისხლში, რაც აგრეთვე გვიჩვენებს გამჟავების და ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის პროცესების გაძლიერებას სისხლში.

ბ) უმაღლესი ნერვული მოქმედება

თუ ამ ასაკის ბავშის ყოფაქცევის განხილვას ამ თვალსაზრისით მივუდგებით, სრულ შესაბამობას დავინახავთ. თავისთავად იგულისხმება, რომ სასკოლო ასაკსა და სკოლის წინა ასაკს შორის მტკიცე საზღვარი არ არსებობს. ცხადია, რომ სკოლაში მოსულ ბავშს დასრულებული აქვს, ასე ვთქვათ, სკოლის წინა არსებობა. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ის გამოკვლევები, რომელიც მოხდენილია სკოლაში ახლადმოსულ ბავშებზე, იმის გამოსარკვევად, თუ რა ცოდნის მარაგით მოდიან ისინი სკოლაში. აღმოჩნდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, 8—9 წლის ბავშის წარმოდგენებს კონკრეტული ხასიათი აქვს. ესე იგი, თუ ლაპარაკია სინთეზზე, ზოგიერთ ელემენტარულ ზოგად წარმოდგენაზე,—აქ საქმე გვაქვს მდაბიო ხარისხის პირობით რეფლექსებთან, რომლებიც უშუალოდ თან სდევენ უპირობო რეფლექსებს, გარემო სინამდვილის რეალურ გაღიზიანებებს.

6—8 წლის ბავშებმა, ჩვეულებრივ, იციან მხოლოდ ის დროებითი განწყობილება-ურთიერთობანი, რომელთაც ისინი, ძალაუნებურად, საჭიროების გამო, უნდა გაცნობოდენ ჩვეულებრივ ცხოვრებაში. მაგ. 8 წლის ბავშებმა იციან, რა არის საათი, რამდენი წუთია საათში; იციან აგრეთვე ნახევარი საათი და მეოთხედი საათიც.

მაგრამ, რაც სეთი ყოველდღიური ცნობების საზღვრებს ცილდება, ბავშები იმას სრულებით არ იცნობენ, მაგ. არ იციან, რამდენი საათია დღედაღამეში, რამდენი დღეა წელიწადში.

შემდეგ ცნებები: წელიწადი, თვე, რიცხვი, ფული, საათი — ბავშებისათვის საკმაოდ გარკვეული ხდება, ხდება წარსულის, აწმყოსი და მომავლის გარკვეული კვალიფიკაცია, რაც, სხვათა შორის, ზმნების სწორედ ხმარებაშიც გამოიხატება, მაგრამ განყენებული წარმოდგენა დროზე ჯერ კიდევ არ არსებობს მთელი პირველი საფეხურის განმავლობაში. სპეციალურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ბავშებს 12 წლამდე ცუდად ესმით ისტორიული თარიღების აზრი და მნიშვნელობა და საერთოდ ისტორიის გაცნობა ფართოდ, საუკუნეთა ფარგლებში, ვერ აძლევს მათ ნათელ წარმოდგენას.

არ არსებობს აგრეთვე ჯერ კიდევ განყენებული წარმოდგენა სივრცეზე. უფრო ნათლად აქვთ წარმოდგენილი სივრცე სივრცეში (ბინა, სახლი, ქუჩა, ქალაქი, მაზრა, ოლქი) და კარგად ცნობილი და ხშირად ხსენებული ცნებების საზღვრებს ბავშები არ სცილდებიან; ასეთ საზღვარს ჩვეულებრივ სახელმწიფო წარმოადგენს.

საერთო წარმოდგენა სივრცეზე, ჩვეულებრივ, ასეთი სიტყვებით გამოიხატება: „ფართო“, „ხალვათი“, „ცალიერი“, „ბევრი ადგილი“, „ფართო მინდორი“. აქ უკვე არის სივრცის განყენებულად წარმოდგენაზე რამოდენიმედ მიახლოვება, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან შორეული. რაც შეეხება ზომას,—ამ ასაკის ბავშები იცნობენ მხოლოდ პრაქტიკულ საზომებს: არშინს, ვერშოკს, საჟენს, ვერსს. ყოველ შემთხვევაში, სიგრძეზე აზროვნება გარეშე საგნებისაგან დამოუკიდებლად ბავშებს ძალიან ცოტად ეხერხებათ.

ამგვარად, სივრცისა და დროის წარმოდგენათა განვითარებაში ამ ასაკში შეგვიძლია აღვნიშნოთ მხოლოდ ოდნავი მიახლოვება განყენებულ ცნებათა შეთვისებისადმი.

ცოტაოდენი პროგრესი ემჩნევა ამ პერიოდში მოვლენათა და საგანთა დაკავშირების პროცესთა განვითარებას, ეს დაკავშირება გამოიხატება მსჯელობის ფორმაში, რის დაკვირვებაც ადვილად შეიძლება. მაგ. ბავშის მიერ სურათების დათვალიერების დროს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სკოლის წინა ასაკის ბავში არა თუ საგნებს, არამედ მათ მოქმედებასაც აღნიშნავს ხოლმე. 9—12 წლის ბავში უკვე აღნიშნავს მიზეზობრივ, სივრცობრივ და დროის ურთიერთობას საგნებს შორის. 10 წლის ბავში სურათზე დახატულს ასე განმარტავს: „ქალი ღუმელთან ზის და სტაფილოს ჭრის; მის უკან ქოთნიდან ორთქლი ამოდის; იატაკზე დგას თეფში სტაფილოთი.

გოგონა ზის იატაკზე და ხელში დედოფალა უჭირავს, მის მახლობლად კატა ბურთს ათამაშებს; მაგიდის მახლობლად გოგო ამზადებს თაბახს, თეფშებს, მეორე გოგო კი კარადასთან დგას და გამოაქვს იქიდან დანა, ჩანგლები და ყველაფერი“ და სხვ..

აქ ჩვენ ვხედავთ ნაბიჯის წინ წადგმას, მაგრამ აქ მაინც საქმე გვაქვს შემთხვევისა და მოქმედების წმინდა რეალისტურ აღწერასთან; აქ სრულებით არაა სურათის, როგორც მთლიანი მხატვრული ნაწარმოების, გაგება; ბავშებს არ ესმით ჩვეულებრივ „გუნების“, „განცდის“ სურათები.

ამგვარად ამ ასაკის ბავშვი ვიწრო რეალისტია.

მაგრამ წარმოდგენათა სიღარიბე, დაკვირვების უგეგმობა და თვისების დაწვრილებითი ანალიზის უქონლობა აიძულებს ბავშს თავის ცოდნათა დანაკლისი ყველაფრის მიმართ, რასაც მას არ ასწავლიან და რაც მისი უშუალო გამოცდილების საზღვარს სცილდება, შეავსოს ფანტასტიური რაიმეთი.

მაგრამ სასკოლო ასაკში ჩვენ უკვე აღარ ვხვდებით იმ უშუალო ფანტაზიას, რომელიც სკოლის წინა ასაკში ახსნა-განმარტების დროს არაფრის წინაშე არ ჩერდებოდა, არავითარ კრიტიკას არ უკეთებდა თავის შემოქმედების ნაყოფს და ყველაფერს ხსნიდა მსგავსებისა და განხორციელება-გაპიროვნების მეშვეობით.

ამის მაგიერ სასკოლო ასაკის ბავშის შემოქმედება ფაქტიურ ხასიათს იღებს და ცდილობს დაუახლოვდეს სინამდვილეს.

უნგრელი ნოდის კლასიფიკაციით, ეს არის ობიექტური ინტერესის საფეხური, რომელიც ჭარბობს 7—10 წლის ასაკში. ახლა ყურადღებას იქცევს და იზიდავს საგნების ობიექტური, კონკრეტული საფასური და არა ამ საგნების დამოკიდებულება მოქმედებისადმი მის პირად მისწრაფებასთან. ბავშის იდეალიზმი ქრება და იწყება რეალური მოქმედების პერიოდი; ახლა ბავში ცნობს საგნის პრაქტიკულ ღირებულებას, „ყველაზე უფრო საინტერესო ის საგნები ხდება, რომლებიც მის პირად საზოგადოებრივ და პრაქტიკულ მოღვაწეობას ემსახურება; ბავშს განზრახვა აქვს გაიცნოს სინამდვილე და შეაგროვოს ობიექტურ გამოცდილებათა შედეგები“.

10 წლის შემდეგ ვითარდება „მუდმივი“ ინტერესი, შეიქმნება ინტერესთა წრე, რომლიდანაც მოზარდი დიდხანს არ გამოდის: მოგროვება მარკებისა, კოჭების, ხატვა, საღებავებით გაფერადება; ამასთანავე ინტერესებს თავისი ემპირიული და ობიექტური ხასიათი ენახება.

თავისთავად იგულისხმება, რომ ზემოაღწერილ აზროვნებაზე გადასვლა სკოლის წინა ასაკის ბავშის აზროვნებიდან უცებ არ ხდება; საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბავშს ემჩნევა მიდრეკილება ახსნას და გაიგოს ბევრი რამ იმის ანალოგიით (მიმსგავსებით), რაც მისთვის უკვე ნაცნობია, ან გაუგებარი სიტყვების და სურათების მეშვეობით.

პედაგოგმა უნდა მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას, რომ თვით არავითარ შემთხვევაში ბოროტად არ გამოიყენოს ანალოგია. პირიქით, როგორც ნეიმანი გვირჩევს, მან ახლის თავისებურობის და განმასხვავებელ ნიშნებს მკაფიოდ უნდა გაუსვას ხაზი.

ბავშის ამ მიდრეკილებას ყოველგვარად უნდა ვებრძოლოთ და, კერძოთ, ზღაპრებით, როგორც სასწავლო მასალით, ძალიან ფრთხილად უნდა ვისარგებლოთ. ზღაპარი, ერთის მხრივ, ბევრ ისეთ მასალას შეიცავს, რომელიც ბავშის გამოცდილების წრეში არ შედის და ამიტომ ხელს უწყობს ბავშის მიდრეკილებას ბუნდოვანი და გაურკვეველი საგნობრივი წარმოდგენებისადმი და გაუგებარი სიტყვებისადმი; მეორე მხრით, ზღაპარი ხელს უწყობს სუბიექტურად ათვისებას და რეალური საგნებისადმი საკუთარი შინაგანი განცდებისა და გრძნობების მიხედვით მიდგომას.

აღნიშნული თავისებურობანი (I საფეხურის სკოლის ასაკისა) საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თავისებურობა ახალი პირობითი რეფლექსების შემუშავებისა (დასწავლა) და მათი განმტკიცებისა (დახსომება), ე. ი. თავისებურობა ხსოვნის განვითარებისა.

ბავში ყველაფერს ერთნაირი სიამოვნებით და სიადვილით არ იმახსოვრებს. არის ისეთი მოვლენები და ისეთი კითხვები, რომელიც ბავშს უფრო მეტად აინტერესებს. მას აქვს რაღაც ინერტული, მტკიცე დომინანტები, რომლებითაც განისაზღვრება ბავშის ინტერესების წრე. და თავისთავად ცხადია, რომ ბავში განსაკუთრებით ადვილად იმახსოვრებს ყველაფერ იმას, რაც ამ გაბატონებულ ინტერესებთან, გაბატონებულ დომინანტებთან არის დაკავშირებული. აქ თქვენ ამჩნევთ, რომ ბავში განსაზღვრულ ინტერესს იჩენს ზოგიერთი საგნებისა და მოვლენების მიმართ. აქ დაახლოვებით იგივე ხდება, რასაც ადგილი აქვს მოზრდილთა შორის, რომელთაც აქვთ პროფესიონალური ან სხვა რაიმე ინტერესები. მაგ. ყოველი პედაგოგისათვის ცხადია, რომ როცა რაიმე წიგნს კითხულობს, იგი განსაკუთრებით ადვილად და მტკიცედ იმახსოვრებს იმას, რასაც მის სპეციალობასთან აქვს კავშირი,—რომელიმე ფაქტს, რომელიმე შენიშნვას, რომელიც გაკვრით არის ნათქვამი და რომლისთვისაც თვით ავტორს ყურადღება არ მიუქცევია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მაინც გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს მექანიკური დამახსოვრების პროცესები. ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ ამ ასაკის პედაგოგიურ ღირებულებას, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ამ ასაკში შედარებით ადვილად იმახსოვრებენ გაუგებარ და ძნელად შესაგნებ ცნობებს, წესებს, რომელთა ასე თუ ისე დასწავლა მაინც საჭიროა: ყოველგვარ ქრონოლოგიურ ცნობებს, გამრავლების ცხრილს, მართლწერის წესებს და სხვა ამგვ. უმჯობესია ამგვარი ცნობები შევასწავლოთ ბავშებს ამ ასაკში, რადგან მათ ბავში განსაკუთრებით უმტკივნეულოდ სწორედ ამ ხანაში იმახსოვრებს. იგივე უნდა ითქვას უცხო ენების შესახებაც; უცხო სიტყვების დასწავლა, დამახსოვრება ყველაზე ადვილია ამ ასაკში.

ნათქვამიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ I საფეხურის სკოლის ასაკის შესახებ: ფანტაზიის უსაზღვრო ბატონობიდან ბავში გადადის, რეალიზმის მეშვეობით, ზოგად განყენებულ ცნებათა შემუშავებაზე. ამ პერიოდს, 10 წლის შემდეგ, ყველაზე მეტად ახასიათებს რეალიზმის სტადია.

ამ დასკვნას ადასტურებს აგრეთვე I საფეხურის მოსწავლეთა ლიტერატურული ინტერესების შესწავლაც.

როგორც ჩვენი გამოკვლევის შედეგები და სხვა ავტორთა ცნობები გვიჩვენებს, I საფეხურის მოსწავლეთა ლიტერატურული ინტერესი ამგვარად შეიძლება დახასიათდეს: საყვარელი საკითხავი 8—10 წ. ბავშებისათვის ზღაპრები და ლექსებია. განსაკუთრებით იტაცებს ბავშებს დასურათებული ზღაპრები, ხოლო ლექსებში მათ ხიბლავს ლექსის მუსიკა, მელოდია. რაც შეეხება წაკითხულის შინაარსს, აზრს, — ეს ბავშს ჯერ კიდევ ცოტად აინტერესებს.

ამიტომ ცხადია, რომ აზრების მთელ მსვლელობას ბავში ხსოვნაში ვერ შეინარჩუნებს: ხშირად ამახსოვრდება ზღაპრის სათაური, შინაარსი კი მახსოვრობიდან უკვალოდ ქრება; ხანდახან კი პირიქით: შინაარსი ამახსოვრდება, ხოლო სათაური კი ავიწყდება. გარდა ამისა, უფრო გვიანი ასაკის ბავშებს (10 წლის შემდეგ) უყვართ საბავშო მოთხრობები ბავშის ცხოვრებაზე სკოლაში და ოჯახში, შორეული ქვეყნების ბუნებისა და ცხოვრების აღწერა, ველურებით დასახლებული ქვეყნების ამბები, მოთხრობები ცხოველთა ცხოვრებიდან; დიდ ინტერესს იწვევს ისეთი თავგადასავალის აღწერა, რომელიც არის, „რობინზონ პრუზო“-ში, ან „ბიძია თომას ქოხ“-ში და სხვ.

ამასთანავე მეტად თვალსაჩინოა ერთი გარემოება: ბავშებს მოსწონთ წმინდა კონკრეტული და არა განყენებული აღწერები; ეს

არის, ზოგიერთი ავტორების გამოთქმით, წმინდა - ამთვისებელი (რეცეპტორული) პერიოდი.

ამგვარად, ყოველგვარი ცნობა ამ პერიოდის შესახებ საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ეს ასაკი, როგორც სრულიად თანაბარი ფსიქოფიზიკური განვითარების ხანა. დამახასიათებელი ცოდნა და ჩვევები ამ პერიოდისათვის, ტერმანის მიერ დამუშავებულ ბინეს მიხედვით, შემდეგია:

8 წ ე ლ ი. უკულმა დათვლა 20 დან 0-მდე; პასუხის გაცემა შემდეგ კითხვებზე: რა უნდა ჰქნა, როცა სხვის ნივთს ამტვრევენ; როცა სკოლაში მიდიხარ და ამჩნევ, რომ გაგვიანდება, თუ უცაბედად ამხანაგი დაგეჯახა? მოგონებით მსგავსების გამორკვევა ორ საგანს შორის—ხესა და ნახშირს შორის, ნავსა და ავტომობილს შორის, ხესა და ნახშირს შორის, რკინასა და ვერცხლს შორის; დასახელება ფულის ექვსი ნიშნის: 5, 10, 20, 50 კაპ. 1 მან. და 3 მან.

9 წ ე ლ ი. თარიღის ჩვენება, მაგ. კვირის რომელი დღეა დღეს, რომელი თვეა, რიცხვი, წელიწადი; წონის მიხედვით 5 სიმძიმის დალაგება, მაგ. შესახედავად სრულიად თანასწორი კოლოფების—3, 6, 9, 12 და 15 გრამის წონით, შედგენა შესიტყვებისა, რომელშიც ესა თუ ის სიტყვა შედის, მაგ. ბიჭი, ქვა, მდინარე; რითმის შერჩევა, თვეების ჩამოთვლა.

10 წ ე ლ ი. განზრახ ნათქვამი უსწორო ფრაზის უაზრობის გაგება; მახსოვრობით ორი სურათის აღდგენა; მოსმენილი მოკლე ამბის აღდგენა; 3 წუთში 60 სიტყვის გამეორება; 6 ციფრისაგან შემდგარი რიგის გამეორება; ოცი სიტყვისაგან შემდგარი შესიტყვების გამეორება.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენს მიერ აღებული პერიოდი—8 დან 12 წლამდე—საკმაოდ საერთო და დაახლოვებით პერიოდს წარმოადგენს, ამასთანავე ქალებისა და ვაჟების განვითარების სხვადასხვა ფაზები სხვადასხვა დროს მიმდინარეობს.

სასკოლო პერიოდი (ა. ა. სმირნოვი)

(ვაჟების—7-დან 14 წლამდე და ქალების—12 წლამდე).

ვერც ამ პერიოდში ვნახავთ ჩვენ ვერაოდეს ბავშს პასიურ-მოვლემარე მდგომარეობაში. იგი მუდამ რაიმეთია გართული: ხან ყურადღებით უკვირდება ქუჩაში ჩხუბს, ხან გატაცებით კითხულობს ახალ წიგნს „მოგზაურობის“ შესახებ, ხან მიცოცავს ხეზე ან სახურავზე, რომ იქიდან გადმოხედოს გარემოს, ხან მირბის გზაში მოუ-

ლოდნელად გაჩერებულ ავტომობილთან, რომელსაც ასწორებენ, მირბის, რომ დაათვალიეროს მისი მოწყობილობა, ან თლის რაღაც „სასტვენს“, ხან საკუთარი ინიციატივით ეხმარება ვინმეს ურემზე თივის დაყრაში ან ცხენის შებმაში, ხან ეკითხება მამას, თუ როგორ არის გაკეთებული ხარბაზანი და როგორ უნდა მისი გასროლა, ხან ჩაუსაფრდება სადმე შესახვევში ძაღლს, რომ მოახვედროს მას ქვა და ნახოს, როგორ აწკავლდება იგი, ხან გულმოდგინედ უკვირდება და სწავლობს სადმე ბალახში ნაპოვნი მწერის აგებულებასა და მოძრაობას, ხან სანაგვე ყუთში იჩიჩქნება და ეძებს რაიმე ნივთს თავის სხვადასხვაგვარი კოლექციებისათვის.

მასში ისევ ბევრია მოძრაობა, მაგრამ ახლა მის მოძრაობას სულ სხვა მიზნები აქვს. ახლა მას ამოძრავებს და ამოქმედებს ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვანებით და მრავალსახეობით, მაგრამ ცხოვრება არა ილიუზორული და ფანტასტიური, არამედ ნამდვილი, რეალური, გარემოცული.

ამ პერიოდში ბავში თანდათან ტოვებს ილიუზორულ ქვეყანას, რომელშიც იგი აქამდე იმყოფებოდა. ხელოვნური ჯარისკაცები, დედოფლები, ურმები, ხის ცხენები ჰკარგავს ბავშისათვის პირვანდელ მომხიბლველობას. ბავშს უქრება გულუბრყვილო რწმენა, რომ ამ საგნებს აქვთ სურვილები და მოთხოვნილება-საჭიროებანი. საკუთარი მისი მეტამორფოზა, გადაქცევა ხან მხედრად, ხან მწყემსად, ხან მეფურნედ ან მოვაჭრედ—ისეთივე სიადვილით აღარ ხდება და არც ისე იტაცებს, როგორც წინად. ბავში მიდრეკილია რეალური ცხოვრებისაკენ. იგი აღარ არის უკვე მისტიკოსი და მეოცნებე. იგი რეალისტია.

სასკოლო ასაკის ბავშის რეალისტურ ტენდენციას მეტად მკაფიოდ გამოხატავს ბავშის მიდგომა-განწყობილება მისივე მოქმედების ნაყოფისადმი. წინად, მაგ., როცა ბავში რაიმე ნივთს გააკეთებდა, იგი კმაყოფილდებოდა ამ ნივთის სინამდვილესთან შორეული მსგავსებით, რადგან თამაშობის ინტერესის დასაკმაყოფილებლად საკმარიყო სიმბოლიური პირობა. ახლა კი ჩვენ ადვილად შევამჩნევთ, რომ მას აღარ აკმაყოფილებს ნივთის როგორმე, ასე თუ ისე „გაკეთება“, ე. ი. შორეული მიმსგავსება. ახლა მას სურს გააკეთოს იგი „ნამდვილი“, ისეთი, როგორიც არის სინამდვილეში მისი ნიმუში, გააკეთოს რაც შეიძლება მეტად შესაფერი და მიახლოვებული ამ ნიმუშთან. იგი თვით აკრიტიკებს თავის ნაწარმოებს, თხოულობს მითითებას, თუ როგორ ასცდეს შეცდომებს. შეგვეძლო გვეთქვა, რომ ბავშს უნდა დაისწავლოს ამა თუ იმ ნივთის კეთება; თავისი მო-

ქმედებით იგი ცდილობს შეიძინოს განსაზღვრული ჩვევები, სრულიად რეალური, ე. ი. რეალური საგნობრივი ღირებულების შემქნელი.

და თუ წინად პრაქტიკულად-სასარგებლო ჩვევათა შეძენა თამაშობის დროს მხოლოდ შემთხვევითი იყო, როგორც ბავშის უნებურად მომხდარი და როგორც თვით თამაშობის შედეგი,—ახლა იგი წარმოადგენს უშუალო მიზანს, შეგნებული გულმოდგინეობის დამოუკიდებელ საგანს.

ამ ასაკის ძირითად რეალისტურ ტენდენციასთან სავსებით შეფარდებულია გამადიფერენცირებელი მოქმედებაც. მართალია, იგი ახლაც, როგორც წინა პერიოდში, მიმართულია უმთავრესად კონკრეტულ რამეზე, ე. ი. სხვადასხვა საგნებზე, სახეებზე, მათ თვისებებზე და მოქმედებაზე, მაგრამ ახლა ჩვენ მასში ორ თავისებურებას ვამჩნევთ. პირველი ისა, რომ უკვე სავალდებულო არ არის, რომ ეს კონკრეტული მოცემული იყოს აწმყოში თუ წარსულში პირადი გამოცდილებით, არა ნაკლებ, და ხანდახან უფრო მეტადაც კი, იწვევს ინტერესს ის, რაც ჯერ არ ყოფილა, და შეიძლება არც იქნეს უშუალოდ ნახული და განცდილი, ბავშის ყურადღებას საკმაოდ იპყრობს სხვა ქვეყნები, სხვა ერები და მათი მოღვაწეობა. მაგრამ ცოდნა, რომელსაც ბავში იძენს უფროსების ნაამბობიდან და ახსნა-განმარტებიდან, ვერ აღწევს სათანადო გარკვეულობას და სიცხადეს. ამისათვის, ე. ი. რომ უფროსების ნაამბობით შეძენილი ცოდნა სათანადოდ ნათელი და გარკვეული იყოს, საჭიროა ბავშმა თავისი თვალით ნახოს ის, რაზეც მას უამბობენ. შეიძლება ამის მიზეზი იყოს ფანტაზიის უქონლობა, გამოწვეული სახეების სიმკრთალე და ბუნდოვანება ან სხვა რაიმე მიზეზი. მაგრამ, ასე თუ ისე, ბავშის მიერ გადადგმულ ნაბიჯს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი გვიჩვენებს ბავშის გონებრივი წრის უაღრესად გაფართოებას. თუ პირველ და მეორე პერიოდში ბავში თანდათანობით სწევდა ფარდას, რომელიც უმალავდა მას გარემო წრეს, ახლა იგი ფანტავს იმ ბურუსს, რომლის იქით იმყოფება სივრცობრივ შორეული, მაგრამ არა ნაკლებ მომხიბლველი ქვეყანა. რამდენად გასაგებია, ამასთანავე, მოგზაურობის სიყვარული, რომელსაც ბავში იჩენს სწორედ ამ ასაკში, თუმცა ეს სიყვარული ხანდახან მეტად პრიმიტიულ ფორმებში იხატება, მაგ., მიდრეკილება მაწანწალობისადმი, სახლიდან უმიზნოდ გაქცევა და სხვ.

გამადიფერენცირებელი მოქმედების მეორე ახალი თვისებაა მოსახდენი გარჩევის სიზუსტე. წინა პერიოდში თამაშობა არ აყენებდა დიდ მოთხოვნას: მაშინ საკმაო იყო სულ მინიმალური მსგავსება სიმბოლიური თოფისა ნამდვილთან. ამით აიხსნება მაშინდელი სათამაშო

ნივთების თვისებები, ამ თვისებათა მცირერიცხოვანობა და უმნიშვნელობა. და მართლაც რისთვის უნდა შესწავლა იმ მოღუნული ჯოხის კანს, ფერს ან „შინაგნობას“, რომელიც სათამაშო ცხენის რკალს გამოხატავს. მაგრამ, გადადის თუ არა ბავში რეალური მოქმედების ხანაში,—ყოველ თვისებას, რომელიც ამა თუ იმ ობიექტს ახასიათებს, მნიშვნელობა ეძლევა. ახლა ხომ მის მისწრაფებათა მიზანს შეადგენს განსაზღვრული ნივთის გაკეთება, არა თუ უბრალოდ, „როგორმე“ გაკეთება, არამედ „რაც შეიძლება უკეთ“, ისე რომ „ჰგავდეს“, „სწორი“ იყოს. ამ შემთხვევაში კი მას ბუნებრივად უხდება გასაკეთებელი ნივთის ნიმუშის ნიშნების, ხელსაწყოს და მასალის თვისებების დეტალურად გარჩევა და დაკვირვება. არასაკმარისად დაკვირვებას და ცუდად გარჩევას თან სდევს ყოველთვის მარცხი, რომელიც მუშაობის პროცესში იჩენს თავს. ახლა კი ამის შერიგება უფრო ძნელია, იმიტომ რომ თამაშობის ერთგული დამხმარე—წარმოდგენა, ფანტაზია—უკვე აღარ გვემსახურება და არ ასწორებს რეალური სინამდვილის შეცდომებს. ამასთანავე, გარემო სინამდვილის შესასწავლად მიმართული ფხიზელი რეალიზმი უკვე აღარ კმაყოფილდება ზერელე გაცნობით და ანალიზს დეტალურს მოითხოვს.

გამადიფერენცირებელი მოქმედების წარმატება ემჩნევა სქემატიზაციის ნაყოფის ღირსების გაუმჯობესებასაც. წინანდელი უხეში, ხშირად სრულიად შეშცდარი სქემები უფრო სწორი და მდიდარი მასალით იცვლება.

წინად ადვილი იყო ერთ ცნებად გასაღება ობიექტურად სხვადასხვა საგნებისა. მაგრამ ახლა, როცა ყოველი ნივთი ხანდახან სრულიად გაუთვალისწინებულ თვისებას იჩენს და ამის მიხედვით მოითხოვს სულ სხვანაირ მოქცევას შრომის პროცესში,—საჭირო ხდება ძველი სქემის დაშლა, ან, თუ იგი დარჩა,—ზედ ახალი დაყოფის ნიშნების აღნიშვნა. ჯიბის დანის პირი, რომელიც წინად ყოველთვის ერთნაირი ჩანდა და ამიტომ ადვილად ექცეოდა „რკინა“-ს რუბრიკაში, ახლა სხვადასხვა შემთხვევაში სრულიად სხვადასხვაგვარად მოქმედობს. ამისდა მიხედვით „რკინა“-ს ცნების გვერდით წამოიჭრება მასთან თანაპარუფლებიანი ცნება—„ფოლადი“. ამით ორივე ცნება, ერთი მხრით, უფრო ზუსტად განისაზღვრა და, მეორე მხრით, ორივემ მიიღო უფრო მდიდარი შინაარსი.

ცნებათა ასეთი ზუსტად განსაზღვრა გავლენას ახდენს სისტემატიზაციის მომხდენ მოქმედებაზეც. ერთისადაიმავე საგნის სხვადასხვაგვარად წარმოდგენის შესაძლებლობა საგრძნობად კლებულობს, მცირდება. როცა ცნობები მგლის შესახებ გარკვეული და განსაზ-

ღვრული გექნება, უკვე აღარ შეიძლება გულწრფელად გჯეროდეს, რომ მგელს მუსაიფი შეეძლოს „წითელქუდასთან“. ხსოვნაში შენახული სახეები ისე მტკიცედაა ერთიმეორეზე გადაბმული, რომ პარალელურად ცხოვრება რამდენიმე ქვეყანაში თითქმის სრულიად შეუძლებელი ხდება. ყურადღება საერთო, უდავო სინამდვილისაკენ მიიმართება. ზღაპრებისა და ფანტაზიის მომხიბლველობა მცირდება, სუსტდება. ახალ შთაბეჭდილებებს წინ ეღობება საკუთარი წარსული გამოცდილების განსაზღვრული სისტემა. ამასთან დაკავშირებით სუსტდება შთაგონების ძალა და იღვიძებს კრიტიკული აზრი.

მაგრამ არამარტო ცნობიერების დარგს ემჩნევა დიდი ცვლილებები თამაშის პერიოდიდან რეალიზმის პერიოდში გადასვლის დროს. ნაკლებ მნიშვნელოვანი არ არის ბავშის მთელი ყოფაქცევის ცვლილება. თუ წინა პერიოდს ჩვეულებრივ ახასიათებდენ როგორც ეგოისტურს, — ახალი ეტაპი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ალტრუისტული გამოხატულების დასაწყისი.

იმ ძირითად ძისწრაფებათა მიხედვით, რომელთაც ახლა იჩენს ბავში, სრულიად გასაგები ხდება მისი განწყობილების შეცვლა ადამიანისა და ყოველი არსების მიმართ. ფართო რეალისტური ინტერესების წარმოშობა აიძულებს ბავშს მიაქციოს ყურადღება გარშემო პირების განცდებს, შეისწავლოს ეს განცდები „ობიექტურად“ და არა თავის მოთხოვნილებებთან შეფარდებით და იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვთ ამ მომენტში ბავშისათვის. ამის გამო ბავში უკვე იწყებს სხვისი ტანჯვის გაგებას, მას უკვე ესმის ამა თუ იმ ადამიანის ტანჯვა, მაგ. ამხანაგის, ან დედისა, როგორც მ ა თ თ ვ ი ს უსიამოვნო განცდა და არა როგორც პირადად მისთვის რაიმე უხერხულობის წყარო. კედელი, რომელიც მას გარეშე ცხოვრებას აშორებდა, დაინგრა; მისმა დარღვევამ ბავში შეაერთა ადამიანთა რეალურ ცხოვრებასთან და გადაუშალა მათი პირადი განცდები.

მეორე არსებითი ცვლილება საერთო ყოფაქცევის სფეროში არის რ ე გ უ ლ ა ტ ი უ რ ფ უ ნ ქ ც ი ა თ ა გ ა ძ ლ ი ე რ ე ბ ა. რა თქმა უნდა, ბავში ჯერ შორს არის იმ თავდაჭერილობისა და სიმტკიცისაგან, რომელიც ახასიათებს მოზრდილთა მოქმედებას. მაგრამ წინა პერიოდთან შედარებით დიდი ნაბიჯი არის გადადგმული. ყურადღებას ახლა უფრო ნებითი ხასიათი აქვს, ე. ი. ბავშის ყურადღებას ადგილი აქვს მაშინაც, როცა უშუალო ინტერესი სავსებით არ იპყრობს მას. თუ წინად მისი ყურადღების დასაყრდნობად რაიმე მოქმედეპაზე საჭირო იყო ძლიერი ემოციონალური ფაქტორები, ახლა ამისათვის საკმაოა მხოლოდ იმისი ცოდნა, რომ ამ მოქმედების შესრულება აუცილებლად საჭიროა.

ფართო ცნობიერებითი მუშაობისათვის, რომელსაც ახლა ბავში ასრულებს და რომელთანაც ხშირად დაკავშირებულია დამხმარე და ნაკლებ საინტერესო მომენტები (როგორც მაგ. ყოველგვარი დასწავლა),—ამ თვისებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ მისთვის ის მნიშვნელობა მიგვეცა, რომელიც წინად ეძლეოდა და რომელიც ამ ასაკის ბავშებისათვის სკოლას მოსაწყენ და მოსაბეზრებელ დაწესებულებად ხდიდა. ეს თვისება რომ სამართლიანად შევაფასოთ, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ყურადღების მეორე თავისებურება, რომელსაც ახლაც ისევე აქვს ადგილი, როგორც წინად, ეს არის—ყურადღების საერთო მერყეობა, გაფანტულობა, რომელიც მით უფრო ძლიერია, რამდენადაც ნაკლებ საინტერესოა საგანი, რომელზეც იგი ეყრდნობა. ბავშს შეუძლია განზრახ ჩაუკვირდეს რაიმე ნაკლებად საინტერესო საგანს, მაგრამ ასეთი საგანი დიდი ხნით ვერ მიიპყრობს ყურადღებას, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მის გარშემო მისი მომხიბვლელი და ჯერ კიდევ მეტად ძლიერია მასში ცვლილებების და მოძრაობის მოთხოვნილება. ამის გამო მის ყოფაქცევას მთლიანად ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ აწესრიგებს განსაზღვრული ნორმები. მიცემული დაპირებანი არ სრულდებიან. ყოველგვარი მაცდურობისათვის ჯერ კიდევ ფართო არეა გახსნილი.

თუ ახლა დავუკვირდებით ფიზიკური ორგანიზმის ცვლილებებს, შევამჩნევთ, რომ ძირითად თვალსაჩინო ცვლილებას წარმოადგენს წონის მნიშვნელოვანი გადიდება და იმავე დროს სიმაღლის მეტად მცირე მომატება, ხანდახან კი სრული შეჩერება. ამასთანავე ვამჩნევთ სხეულის ცალკე ნაწილების და შინაგანი ორგანოების თანაბარ და ნელ განვითარებას. ჩვენ ვიღებთ გარკვეულ შთაბეჭდილებას, რომ ბავში იმყოფება ძ ა ლ ი ს თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ მ ო კ რ ე ბ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა შ ი.

ამ აზრით, ჩვენ შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ფიზიკურ და ფსიქიურ განვითარებათა ერთგვარი ჰარმონია. ამ ასაკის გაძლიერებული ფსიქიური მოქმედება არ არის ენერგიის უსარგებლო ხარჯვა, თუმცა იმავე დროს იგი ჯერ კიდევ არ ჩაითვლება ცხოვრებად, მას რაღაც „შემდეგისათვის“ მზადების დაღი აზის. ბავში სწრაფად და გაფაციცებით აგროვებს სრულიად სხვადასხვაგვარ ცოდნას და ჩვევებს, იძენს იმ წყაროს, რომლითაც უნდა ისარგებლოს შემდეგ. თუ ბავშის სუბიექტურ განცდებს არ მივიღებთ მხედველობაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ობიექტურად საქმე გვაქვს მოსამზადებელ პერიოდთან: ვარჯიშობის და ერთგვარი წრთვნის ეპოქასთან. ანალოგიურ მზადებას

ვხედავთ ფიზიკურ განვითარებაშიც. ამითვე აღინიშნება ამ ასაკის საბოლოო საზღვარი: ინტენსიური ფსიქოფიზიკური დაგროვების შეწყვეტა ახალი, მეოთხე პერიოდის დაწყებას ნიშნავს.

საკონტროლო კითხვები

1. რატომ არ შეიძლება I საფეხურის სკოლის ასაკის ბავშთა ასაკი ბავშის განვითარების მთლიან პერიოდად მივიჩნიოთ?

2. რით აიხსნება მისი ორ პერიოდად გაყოფის აუცილებლობა (8—10 და 11—13 წელი)?

3. რა როლს ასრულებს ამ პროცესებში შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები დასახელდობრ რომელნი?

4. 8—10 წლის პერიოდს ზრდისა და ფიზიკური განვითარების რადაარა თავისებურობა ახასიათებს?

5. რით განსხვავდება ბავშის უმაღლესი ნერვული მოქმედება ამ ასაკში (დასწავლის და დანახსოვრების უნარი, შთაგონებულობა, ყურადღება და სხვ.)?

6. ეს პროცესები რა გავლენას ახდენს ბავშის უმაღლეს ნერვულ მოქმედიანობაზე და რაში გამოიხატება ეს?

ა. წ. 17 აპრილამდე დაუსწრებელ კურსებზე ჩაეწერა 177 მსმენელი, მათ შორის 61 ქალი და 116 ვაჟი.

მაზრების მიხედვით განაწილება ასეთია:

ზემო-სვანეთი—5.

აბრამიძე ვ.
აფაქიძე მ.
კედია თ.
ქულდანი ბ.
ჭკადუა ბ.

გორის მ.—3.

თოთლაძე მ.
მშველიძე ნ.
კიკნაძე ვ.

ტფილისის მ.—3.

საჭაია ნ.
კუტუბიძე ზ.
შველიძე.

კახეთის მ.—10.

ქიქოძე ანტონ.
სილატაძე მ.
ფხალაძე ნ.
გომელაური ვ.
ხარშილაძე ნ.
მალახიქ დიმ.
მირიანაშვილი გ.
იორდანიშვილი ბ.
ბურდიაშვილი ნ.
ნანობაშვილი ა.

ქუთაისის მ.—37.

ცერელაძე ვ.
სულავა თ.
წივწივაძე დ.

ფხაკაძე მ.
მესხი მ.
ქუთათელაძე ი.
ჯღარკავა.
გვეტაძე პ.
ჩიქვანაია თ.
ბახტაძე ევგენი.
ჯიქიძე ვალერიანი.
ეცეტაძე ილია.
კალაძე დავით.
ლეკვიაშვილი დ.
ბახტაძე კატ.
მაჭავარიანი ელ.
ფრანგიშვილი ნინო.
ტორონჯაძე სოფ.
ანჯაფარიძე ა.
ლაბახუა ვ.
კაკაბაძე ქ.
ჩახუნაშვილი ნ.
კვერნაძე ბარნ.
ჯვარშეიშვილი თ.
ფარცხალაძე მ.
გეგეშიძე ნ.
კეგურაძე.
ჩიმაკაძე ლ.
ჯავახაძე გ.
ჩიხლაძე ა.
ჩიხლაძე ნ.
ზერაგია ფ.
ჩიქობავა.
ჩიხლაძე რ.
სულაბანიძე ა.
ბალანჩივაძე ქ.
ბელთაძე გ.

შორაპნის მ.—15.

ცქიტიშვილი გ.
შუღლაძე ლ.
ბოჭორიშვილი მალ.
კახიძე მიხეილ.
არეევაძე ვასილი.
ჯიხვაშვილი ალ.
ალავიძე ალ.
გორგაძე მ.
მჟავანაძე თ.
ნიქაბაძე ლ.
ნიქაბაძე ტ.
ნიორაძე ო.
ყიფშიძე დ.
ჩიკვაიძე მ.
ფაიქრაძე. შ.

ზუგდიდის მ.—21.

სიჭინავა ამრ.
ჯანაშია მამია.
გულუა პეტრე.
სიჭინავა ვარლ.
გახარია თეოფ.
ქვარცავა აკაკი.
ჭანთარია არჩილ
კვირკველია ლ.
მალაზონია ი.
დარასელია კ.
კოკელიძე მ
ლუკავა იასონ.
კერძაია იასონ.
ბებია მ.
გვასალია გ.
სორჯია პ.
ჭირია ბ.
ქირია ნ.
ქვარცხავა ა.
ალანია ალექსანდრე.
ბურაია.

სენაკის მ.—22.

ჩიქოვანი მართა.
ოდიშარია ამბროსი.
მალაშხია მ.
თოფურია ევგენი.
ჭანტურია ა.
ჩოჩია ევგენი.
გოგიავა დ.
თოფურიძე ო.
საჯაია თ.
კილოსანია პ.
კერძაია ი.
მდინარაძე ლ.
თოფურია ო.
იოსავა ო.
კიზირია ნ.

მდინარაძე ლ.
ნადარეიშვილი.
ჩიგოგიძე ს.
ჩიგოგიძე ვ.
ჭანტურია ს.
ჯალაღანია ა.
დიხამინჯია დ.

რაჭა-ლეჩხუმი—7.

ბურკაძე ივანე.
ლეოდიანი ა.
ნემსაძე.
მიქაძე ეკ.
გიორგობიანი ლ.
აბუთიძე ა.
თვალჭრელიძე დ.

ოზურგეთის მ.—4.

ადეიშვილი ი.
კორიფაძე აქვსენტი.
საჯაია ალექსანდრე.
უნგიაძე ბ.

სამხრეთ-ოსეთი—1.

ადუშაშვილი ი.

აჭარისტანი—39.

ხობუა აკაკი.
თავართქილაძე გ.
ღლონტი ი.
ღლონტი ტასო.
დანელია ს.
იოსელიანი ეკ.
ცქიტიშვილი ონ.
არობელიძე ელენე.
ცინცაძე კ.
სარიშვილი ნ.
ებრაელიძე ზ.
წეროძე ნ.
წეროძე ნადია.
ბერაძე სალომე.
სურმანიძე სოფიო.
ხოფერია გრიგოლ.
ჭყონია ეგნატე.
ჩხიკვიშვილი ვარლამ.
ჩხაიძე ნინო.
თელია ალექსანდრე.
ორაგველიძე მარიამი
გიორგაძე ბენია.
გიორგაძე ელენე.
ნაჭყებია სილიბისტრო.
ხომერიკი პელაგია.
ურუშაძე ნინო.
ორაგველიძე ლოლია.
კარტოზია ალექსანდრე.
ჟღენტი თინათინ.
კორძაძე შალვა.
თოდრია ალექსანდრე.
წილოსანი მატრონა.
ბაქანიძე გალაქტიონი.
თავართქილაძე ივანე.
მდინარაძე დავითი.
ლორთქიფანიძე თამარ.
გოგიტიძე ვლადიმერ.
სურმავა დავითი.
სარიშვილი დავითი.

მსმენელთა შემადგენლობა:

პარტიულობა.

უპარტიო	123
კომკავშირელი	6
კ. პ. კანდიდატი	16
ა. ლ. კ. კ. წევრი	32

თანამდებობა.

გამგე მასწავლებ.	49
4-წლ. მასწავლებ.	128
კურსებზე არ ყოფილა	44
სხვადასხვა პედ. და პოლ.	133
წრეში მუშაობენ	63
ინდივიდუალურად	114

განათლება.

უმაღლესი	3
საშუალო	136
დაბალი	34
გაურკვეველი	4

სასწავლებლის ტიპი.		წლოვანების მიხედვით.	
9 წლედთან არს. 4	12	ოცამდე	9
7 „	34	20-25	78
4 „	128	25-30	50
სოფ. ახ. სკოლ.	1	30-35	21
რკ. გზის	1	35-45	19
სამკითხველო	1		

ჩაწერილ მსმენელთა რიცხვიდან მხოლოდ მცირე ნაწილი აწარმოებს აქტიურ მუშაობას: ა. წ. 17 აპრილამდე დაუსწრებელი კურსების მსმენელთაგან მიღებულია მხოლოდ 20 შესრულებული დავალება, რომელიც დაუბრუნდათ მათ რეცენზიით.

დავალება: I და II.	დავალება: III.
1. კორიფაძე შ.	1. გვეტაძე ა.
2. მალაშხია მ.	2. კილასონია პ.
3. ბურკაძე ი.	3. კერძაია ი.
4. ადეიშვილი ი.	4. ბურკაძე ი.
5. შულლაძე.	5. წივწივაძე დ.
6. მესნი.	6. ქუთათელაძე ლ.
7. ქობალავა მ.	7. გახარია თ.
8. სორბია ს.	8. ადეიშვილი ი.
9. შველიძე ვ.	
10. წივწივაძე დ.	
11. გვეტაძე ა.	
12. ქუთათელაძე ი.	

ამრიგად, მსმენელთა მიერ დავალებების შესრულება მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს. სასურველია, რომ თითოეულმა მსმენელმა გადმოგზავნოს თავისი ნამუშევარი ან გვაცნობოს, რა მიზეზით ვერ ასრულებს სავალდებულო (მე-3) დავალებას.

აგრეთვე მცირერიცხოვანია მომართვები, სადაც მსმენელები გვაწვდიან თავის შეხედულებას კურსების მასალის შინაარსისა და ფორმის შესახებ. დაბეჯითებით ვთხოვთ მსმენელებს მოგვაწოდონ ცნობები თავისი მუშაობის შესახებ.

მასწავლებელთა კვალ. ამაღლ. ინსპექტორი ბ. **კანდელაკი**.

ხელისმოწერთა საყურადღებოდ.

ამ წლიდან ჟურნალის ახალი საგამომცემლო წელი დაიწყება 1 ოქტომბრიდან. ხელისმოწერა მიიღება **ოქტომბრიდან ოქტომბრამდე.** ამას გარდა წინანდელი 4 ფორმის (64 გვ.) ნაცვლად გამოვა ყოველთვიურად კიდევ 1-2 ფორმა დამატების სახით, როგორც **„დაუსწრებელი კურსების“** მასალა. ამის გამო ჟურნალი ამ წლიდან ეღირება წელიწადში (12 ნომერი დამატებით) 5 მანეთი წინანდელი 4 მან. ნაცვლად.

ერთ წელზე ნაკლები ვადით ჟურნალის გამოწერა არ შეიძლება.

ცალკე ნომრები არ იყიდება.

არ შეიძლება აგრეთვე „დაუსწრებელი კურსების“ მასალის ცალკე გამოწერა.

ხელისმოწერის პირობები შემდეგია:

1. გამოწერისას არა ნაკლებ 2 მანეთისა.
2. შემდეგი გადასახადი (1 მან.) არა უგვიანეს თებერვლისა.
3. შემდეგი (1 მან.)—მარტ-აპრილში.
4. 1 მან. არა უგვიანეს მაისისა.

ჟურნალის წესიერი მიღებისათვის ვთხოვთ ერთიდაიმავე სკოლის მასწავლებლებს ერთად გაიწერონ ჟურნალი.

წარსული წლების დარჩენილი ვალი უნდა ახალი გამოწერის წინ იყოს განაღდებული.

შენიშვნა: ვთხოვთ ამხანაგებს დაწვრილებით აღნიშნონ ხოლმე ფულის გადმოსაგზავნ ბლანკზე, ჟურნალის რამდენ კომპლექტს იწერენ და რა მისამართით უნდა გაეგზავნოთ ჟურნალი. ვთხოვთ გამოწერისას სრული თანხა გამოგზავნონ ზემოაღნიშნული პირობის მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია.

დაუსწრებელი კურსების მსმენელთა საყურადღებოდ.

ჩვენ მოგვდის პასუხი სხვადასხვა მსმენელებისგან მასალის შინაარსისა და წყობის შესახებ. ერთი (ს. დარჩელი პ. სორდია) გვწერს:

„მასალა, რაც არის აღებული, მისაღებია, ენა სწორია, ხოლო შინაარსი აღებული მასალისა გადმოცემულია მოხსენების სახით (ნაწყვეტებია აღებული). ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა აღებული მასალის შინაარსი გადმოცემა კურსების ხელმძღვანელების გადამუშავებით, კონკრეტული ფაქტების მოყვანით, და საკითხების დამუშავება ისე, რომ ერთიდაიგივე აზრი საძებარი არ იყოს სხვადასხვა ადგილას; დავალების დამუშავების სიადვილისათვის სასურველია, რომ გეგმაში აღებული საკითხების გაშლის დროს შინაარსს ამოვუყენოთ გვერდზე, როგორც საზმეცნიერებაშია, მთავარი აზრი, რაც შუქდება და რის გარშემოც იქნება ლაპარაკი“.

საინტერესოა სხვების აზრის გაგება ამის შესახებ. თუ ზემომოყვანილი მითითება სხვებისათვისაც მისაღებია, ვეცდებით დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნილება.

კურსების გამგეობა.

შ ი ნ ა ა რ ს ი

83.

პირველი მაისი, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაული 3

საადგომო ანტირელიგიური კამპანია და სკოლა განათლების სახალხო კომისარიატი 13

ტყის დღე და სკოლა გან. სახალხო კომისარიატი . . 22

განსახკომის პირველი საცდელ-საჩვენებელი ბაღის საგაზაფხულო სამუშაო გეგმა 25

კულტურული რევოლუცია და სახელმძღვანელო ლიტერატურა გ. გოგუაძე 45

ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი ვ. თოფურია 50

„დედისერთა" ბავშის აღზრდის თავისებურებანი გიორგი დევდარიანი 55

საჭიროა თუ არა ზღაპარი მიხეილ ჩიქოვანი 65

ჩვენი სკოლების მუშაობიდან

აგეჯმვა-აღრიცხვის შესახებ გ. სებისკვერაძე 70

ცოტა რამ დისციპლინის შესახებ სკოლაში ალექსანდრე ქეიშვილი 73

სკოლა და სასოფლო მეურნეობა ალექსანდრე დუმბაძე 75

ფიზკულტურა და ჩვენი სკოლები ვ. ყრუაშვილი . . . 75

როგორ შევარჩიოთ ჯგუფის სახელმძღვანელოები მ. ჩიქოვანი 77

ოთხწლედდამთავრებულთა გამოცდების შესახებ იოსებ საღინაძე 79

ქიმია სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში ნ. ლაშხი . . . 81

ძ რ ო ნ ი კ ა

პროფ. ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა 83

ბიბლიოგრაფია

ჩვენი საბავშო ლიტერატურა გ. ჭუმბურიძე 91

გამარტივებული ფიზიკური ხელსაწყოები ნ. ჯაფარიძე 95

ისტორიული ატლასის ახალი ტიპი მ. პოლიევქტოვი 96

საბჭოთა სოც. რეს.—ის ატლასი ნ. ჯაფარიძე . . . 98

დაუსწრებელი კურსები

დაწყებითი სკოლების შინაარსი, მეთოდი და ორგანიზაცია . 138

პასუხისმგებელი რედაქტორი მარიამ ორახელაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი რ. ნიკოლაძე.

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა პლეხ. პროსპ. № 91.

მთავარლიტი № 628. შეკვეთის № 1210. დაიბეჭდა 4000.